ოცდაათი წელი ბუნდესტაგში

მწვანეების გავლენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე

ანდრეი ს. მარკოვიცის და იოზეფ კლავერის ესე

წინამდებარე ესე წარმოადგენს ვორკშოპზე „**Creating Participatory Democracy: Green Politics in Germany since 1983**“ ანდრეი ს. მარკოვიცის მონაწილეობის შედეგს, სადაც ის მთავარ მომხსენებლად იყო მოწვეული. ხსენებული ღონისძიება ჩატარდა ჩეპელ ჰილში ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გერმანიკული კვლევების (**NCGS**) ციკლის ფარგლებში **2013** წლის **28** თებერვლიდან **1** მარტის ჩათვლით.

ოცდაათი წელი ბუნდესტაგში

მწვანეთა პარტიის გავლენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე

ანდრეი ს. მარკოვიცის და იოზეფ კლავერის ესე

გამოცემულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ

ISBN: 978-9941-0-6071-7

ფოტო გარეკანზე: ანტიატომური დემონსტრაცია ბერლინში, რომელსაც მთელი გერმანიიდან 50 000-მდე ადამიანი შეუერთდა. ფოტო: Bündnis 90/Die Grünen. წყარო: www.gruene.de

ფოტო მე-11 გვერდზე: 29.03.1983 პარლამენტისკენ მიმავალი მწვანეები. მარცხიდან მარჯვნივ: გერტ ბასტიანი, პეტრა კელი ახლადმოკრეფილი ყვავილების თაიგულით, ოტო შილი და მარილუიზე ბეკი, რომელსაც მხარზე მჟავიანი წვიმებისგან გამხმარი ფიჭვი აქვს შემოდებული. copyright: dpa.

ფოტო მე-17 გვერდზე: 10.11.1994: კავშირი 90/მწვანეების დეპუტატები მზესუმზირის ყვავილებით პარლამენტში. copyright: Darchinger IFJ.

ფოტო 25-ე გვერდზე: 1988: „დემოკრატია მოდის ქვემოდან“ – მწვანეების საარჩევნო პოსტერი 1988 წლის ბადენ-ვიურტემბერგის რეგიონალურ არჩევნებზე. წყარო: Archiv Grünes Gedächtnis.

ფოტო 47-ე გვერდზე: 1983: მწვანეები პარლამენტში, მარცხნიდან მარჯვნივ: ოტო შილი (ზურგით კამერისკენ), მარილუიზე ბეკი, მის უკან დგას ვალტერ შვენინგერი, პეტრა კელი (ზურგით კამერის-კენ), უკანა ფონზე - ჰელმუტ კოლი. copyright: vario.

ფოტო 51 გვერდზე: „Zeit, dass sich was dreht“ („დროა, რაღაც დაიძრას“). კავშირი 90/ მწვანეების წინასაარჩევნო კამპანია. ფოტო: Bündnis 90/Die Grünen Nordrhein-Westfalen. წყარო: flickr. CC BY-SA 2.0

შინაარსი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის 5

წინასიტყვაობა 7

შესავალი 11

მწვანეები – რიცხვები 17

მწვანე იდენტობის ოთხი საყრდენი 25

მწვანე იმიჯის ტრანსფორმაცია: ადაპტაციის ნიშანი? 47

ბოლოსიტყვაობა 51

ავტორები 57

შენიშვნები 59

2013 წლის 22 სექტემბრის ბუნდესტაგის არჩევნებმა ერთი გამოკვეთილი გამარჯვებული გამოავლინა: ანგელა მერკელმა, ორი მოკავშირე პარტიისაგან შემდგარი კონსერვატული სამყაროს მბრძანებელმა, ტრიუმფით დაასრულა პროცესი, დაიმსახურა პრესტიჟი, გაიმყარა მდგომარეობა და თავი მსოფლიოს ორი ლეგენდის – კონრად ადენაუერის და ჰელმუტ კოლის – ღირსეულ შთამომავლად წარმოაჩინა. დიახ, ერთ დროს კოლის „პატარა გოგონა“ საკუთარი პარტიის „დიდი ქალბატონი“ გახდა. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა (CDU) და ქრისტიან-სოციალური კავშირის (CSU) ბრწყინვალე გამარჯვებასთან შედარებით სხვა პარტიების შედეგები აშკარა წარუმატებლობად გამოიყურება. ერთადერთი, რაზეც კამათია შესაძლებელი, წარუმატებლობის ხარისხია. ყველაზე ხელმოცარული მაინც თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP) აღმოჩნდა, რადგან იგი, პირველად გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საპარლამენტო ისტორიაში, ბუნდესტაგიდან გაუჩინარდა.[1] ეგრეც მოუხდებათ, იტყვის ბევრი ამ პარტიაზე, რომელმაც სრულებით დაკარგა საკუთარი პროფილი, და რომლის არსებობის ერთადერთი გამართლება „დიდი ბიჭების“ (ბოლო ხანს ეს მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის და ბავარიის ქრისტიან-სოციალური კავშირის გაერთიანება (CDU/CSU) იყო) მმართველობით შესაძლებლობებთან დანამატობა იყო.

ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ, მრავალი თვალსაზრისით, გერმანული ლიბერალიზმის ისედაც სუსტი ტრადიცია (ყოველთვის გაცილებით ნაკლებად განვითარებული, ვიდრე დასავლეთის სხვა დემოკრატიებში) დიდი ხანია, რაც მწვანეების მიერ არის უზურპირებული. მათ შეძლეს და გერმანიის ლიბერალიზმის ყველაზე სიცოცხლისუნარიან ძალად ჩამოყალიბდნენ.

როგორც არ უნდა უყურებდეთ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის (FDP) სავარაუდოდ გრძელვადიან (თუ არა სამუდამო) გაქრობას პარლამენტიდან, სიხარულით თუ მწუხარებით, ფაქტი ფაქტად რჩება: ამ ახალი სიტუაციის გამო კოალიციების არითმეტიკა და ვექტორები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიან-სოციალური კავშირის გაერთიანებას თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, მართალია მცირე, მაგრამ მაინც, პარტნიორობის იმედი ვეღარ ექნება. მნიშვნელოვანია, რამდენი პარტია იღებს კოალიციურ თამაშებში მონაწილეობას – ოთხი თუ ხუთი (აქ ბავარიის ქრისტიან-სოციალურ კავშირს (CSU) ფედერალურ თამაშში ცალკე მოთამაშედ არ ვთვლით).

ამ არჩევნებში კიდევ ერთი ძლიერი მარცხი გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (SPD) განიცადა. მან თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ბოლოდან მეორე შედეგი უჩვენა. ალბათ ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ იგი ამ წარუმატებლობის გაბათილებას ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიან-სოციალური კავშირის გაერთიანებასთან (CDU/CSU) „დიდი კოალიციის“ შექმნის გზით მთავრობაში მოხვედრით შეეცდება. თუმცა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მართვის ასეთ „ავსტრიულ“ მოდელში (რომელიც ორივე ქვეყანაში მხოლოდ უკანასკნელი საშუალების სახით, ანუ უკეთესი ალტერნატივის არქონის გამო გამოიყენებოდა) მეორეხარისხოვანმა როლმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დააკმაყოფილოს. ძლიერი მერკელის სუსტი პარტნიორის სტატუსი ვერ გააძლიერებს პარტიის პოლიტიკურ პროფილს, რომელიც 1983 წელს მწვანეების ასპარეზზე გამოჩენის დროიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდის.

და ჩვენი მწვანეები რაღას აკეთებენ? ამ კვირას ისინიც წაგებულთა სიაში მოხვდნენ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მათი წარუმატებლობა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის მარცხივით მძიმე არ ყოფილა. მწვანეების ოდესღაც ბრწყინვალე აბჯარზე შეინიშნება მკვეთრი ბზარები, მიუხედავად იმისა,

რომ მათ, სოციალ-დემოკრატების მსგავსად, კარგად აქვთ დიფერენცირებული საკუთარი პროდუქტი, ისინი ჯერაც ეკოლოგიის დამცველ პარტიად რჩებიან და დადებითად ასოცირდებიან გარემოსდაცვით საკითხებთან; ეს საკითხები კი იმ სამოქალაქო თავისუფლებებს მიეკუთვნება, რომლებიც ოდესღაც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის იდენტიფიკაციის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა.

როგორც წინამდებარე წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, 1983 წლის მარტში ბუნდესტაგში შესვლის დღიდან დაახლოებით 20 წლის განმავლობაში ეს პარტია იყო „მაგარი“, ეს პარტია იყო „ავანგარდული“, ეს პარტია იყო „მოდური“; იგი ხალხის მზერას იპყრობდა და პრესის ინტერესს იწვევდა. ყოველივე ეს ჯერ კიდევ გარკვეულწილად შეინიშნება, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბებში, ვიდრე ადრე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკის ყოველდღიურმა ორომტრიალმა მწვანეთა ნათება გააფერმკრთალა. ფუკუსიმას შედეგების დამსახურებაა, რომ გერმანულ საზოგადოებას ყოველივე ბირთვულის მიმართ პანიკური შიში გააჩნია. ასე რომ არ ყოფილიყო, ვშიშობ, რომ ბოლო არჩევნებზე მწვანეების შედეგები გაცილებით უარესი იქნებოდა. ასე რომ, ახლა ჩვენ მწვანეთა პოლიტიკური ცხოვრების ახალ ფაზაში შევდივართ. შესაძლოა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის და ქრისტიან-სოციალური კავშირის გაერთიანების „შავებთან“ კოალიციის შექმნა (როგორც ეს არაერთხელ მომხდარა როგორც ადგილობრივ, ასევე ფედერალური მიწების დონეზე) მწვანეთათვის სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტილება აღმოჩნდეს. მწვანეთა ბევრი ვეტერანი წევრისთვის და ამომრჩევლისთვის ამ ზღვარის გადალახვა, ალბათ, ადრეა, რადგან ისინი ყველაფერს, რაც კონსერვატიული გაერთიანების ორ პარტიასთან არის დაკავშირებული, ჯერ კიდევ ანათემას გადასცემენ. თუმცა, სავარაუდოდ, მწვანეთა დამფუძნებელი თაობის ამ ბირთვის ასაკის მატებასთან ერთად, ეს ვარიანტი მწვანეთა ახალი რეალობის ნაწილი გახდება.

ერთ რამეზე შეგვიძლია ჩამოვყალიბდეთ: ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის გერმანიის, პოლიტიკა იმაზე ბევრად უფრო მოულოდნელი მოვლენების მომსწრეა, ვიდრე ფედერალურ დონეზე „მწვანეების“ და „შავების“ გაერთიანება. ვინ იცის, იქნებ მწვანეებს უფრო მოეწონოთ ხელისუფლებაში სხვა უფროსი პარტნიორის გვერდით დგომა, ვიდრე ეს ოდესღაც მათ სოციალ-დემოკრატ მამებს და დედებს მოსწონდათ?

ანდრეი ს. მარკოვიცი

ენ არბორი, მიჩიგანი, 2013 წლის 23 ოქტომბერი

საინტერესო გამოცდილებაა, როდესაც კარგად ნაცნობ ფენომენებს გარე დამკვირვებლის თვალით უყურებ. ბევრი რამ, რასაც მანამდე თავისთავადად აღიქვამდი, განსხვავებულ შეფერილობას იძენს. სწორედ ასეთი განცდა მეუფლება, როდესაც ანდრეი მარკოვიცის და იოზეფ კლავერის ესეს ვკითხულობ. ტექსტი ისეა დაწერილი, თითქოსდა ავტორები მწვანეებს სიყვარულს უხსნიდნენ. მკითხველი მუდმივად გრძნობს მარკოვიცის აღტაცებას ხსენებული პოლიტიკური ფორმაციის მიმართ, რომლის ახლოდან დაკვირვების შესაძლებლობის ნაკლებობას ავტორი არასოდეს განიცდიდა. აშკარაა, რომ სწორედ მწვანეებში ხედავს იგი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების და იმედების დიდი ნაწილის ანარეკლს. მწვანეთა მოძრაობას მარკოვიცი აფასებს, როგორც 1960-იანი წლების დიდი პოლიტიკური და კულტურული გარღვევის შედეგს: როკმუსიკა და ჰიპების მოძრაობა, ანტიავტორიტარული რევოლუცია და ახალი მემარცხენეები, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები, ფემინიზმი და ეკოლოგიური ცნობიერების გამოღვიძება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მეტად ჭრელმა მოძრაობამ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე მხოლოდ არაპირდაპირი ასახვა ჰპოვა (თუმცა, მის გარეშე ბილ კლინტონის და ბარაკ ობამას ფიგურების არსებობა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა). გერმანიაში კი ის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფორმაციად ჩამოყალიბდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწვანეთა პარტიის დაარსების პროცესში კონსერვატორული და ლიბერალური სპექტრიდან გადმოსულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. გერმანიის კვლავ გაერთიანების შემდეგ კი აღმოსავლეთგერმანელი უფლებადამცველების სახით დასავლეთის მემარცხენე-ალტერნატიულ მოძრაობას ახალი ელემენტი, განსხვავებული აქცენტები და განსხვავებული ისტორიული გამოცდილება შეემატა. არავინ იცის, მოახერხებდნენ თუ არა მწვანეები 1990 წლის საარჩევნო კრახის შემდეგ რეაბილიტაციას, რომ არა აღმოსავლეთგერმანელი დეპუტატები „კავშირი 90“-დან და მათი დროული დახმარება. თუმცა, მარკოვიცი მართალია, როდესაც მწვანეებს იმ დიდი გარღვევის გრძელვადიან შედეგს უწოდებს, რომელიც „68“-ის სახელითაა ცნობილი.

გერმანიის ბუნდესტაგში მწვანეთა ფრაქციის პირველი შესვლის მომენტში, 1983 წლის გაზაფხულზე, ეს წინაისტორია ჯერ კიდევ აშკარად თვალშისაცემი იყო – არა მარტო ანტიბურჟუაზიული ჰაბიტუსის გამო, არამედ მაშინდელ ბუნდესტაგში ახლადშესული ცალსახა ინდივიდუალისტების (და ეს ეხება როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს) მეტყველებიდან, ტემპერამენტიდან და თემებიდან გამომდინარე. ამ დროისთვის უკვე გარკვეული იყო, რომ მწვანეები, მათი პირველი სლოგანის მიუხედავად – „არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, არამედ პირდაპირ“, საკუთარი არსით, ახალი მემარცხენეების პროექტს წარმოადგენდნენ – აქ აქცენტი „ახალზე“ უნდა გაკეთდეს – რადგანაც მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში ახალი თემები შემოჰქონდათ და ახალ პოლიტიკურ სტილს ავითარებდნენ, რომლებიც მათ განასხვავებდა როგორც მემარცხენე რადიკალური ჯგუფებისგან, ისე სოციალ-დემოკრატიისგან.

მწვანეთა ევოლუცია ასევე შესაძლებელია წავიკითხოთ, როგორც გამიჯვნის ისტორიაც: თავდაპირველი, როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული გამოყოფა კონსერვატიული კოალიციური პარტნიორებისგან, მოგვიანებით კი – სოციალისტური მიმდინარეობებიდან, რომლებსაც აღარ სურდათ მემარცხენე ლიბერალური და ეკოლოგიური რეფორმატორული პარტიისკენ მიმავალი გზის გაგრძელება. პარტია ადრეული წლების მრავალმა გამოჩენილმა მოთამაშემ დატოვა: ჰერბერტ გრულმა, ოტო შილიმ, იუტა დიტფურტმა, ვოლფ-დიტერ ჰაზენკლევერმა, რაინერ ტრამპერტმა, ვილი ჰოსმა და სხვებმა. ბუნდესტაგში პირველი ფრაქციიდან მხოლოდ მარილუიზე ბეკი და ქრისტი-

ან შტობერლეღა დარჩნენ. იმ აღტაცების უკან, რომლითაც ორივე ავტორი ადრეული წლების სიჭრელეს და მონდომებას აღწერს, სასტიკი ბრძოლა იმალება, რომელიც მწვანეთა პოლიტიკური ორიენტაციის გარშემო გაჩაღებული იყო და 1990-იან წლებამდე არ წყდებოდა. ამ ქარიშხლებთან შედარებით, დღემდე შემორჩენილი ფლანგური ბრძოლების ნიშნები მხოლოდ თბილ ნიავს შეიძლება შევადაროთ. მწვანეთა რიგებში არასოდეს ყოფილა ყოველმხრივი კონსენსუსის დონე ისეთი მაღალი, როგორიც დღესაა.

მარკოვიცისთვის და კლავერისთვის – რომლებსაც შესანიშნავი ნაშრომისთვის მადლობა უნდა მოვახსენოთ – მწვანეები ბოლო 30 წლის ყველაზე წარმატებულ პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენენ – არა მარტო გერმანიის მასშტაბით. „მწვანე“ უკვე ჩამოყალიბდა გლობალურ სამარკო ნიშნად როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის სფეროში. მას აიგივებენ ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასთან, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებთან, პოლიტიკურ ჩართულობასთან, კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებასთან და გენდერულ დემოკრატიასთან, ანუ ადამიანთა უმეტესობისთვის ყველაზე მიმზიდველ გამოწვევებთან. მოკლედ და კონკრეტულად: „მწვანე უბრალოდ მაგარია!“

გერმანიაში მწვანეები ახალ პოლიტიკურ განზომილებაში გადასასვლელად ემზადებიან. სწორედ ისინი წარადგენენ მწვანეების და სოციალ-დემოკრატების კოალიციის სახელით პრემიერმინისტრს გერმანიის ფედერაციის ყველაზე უფრო ინდუსტრიულ ფედერაციულ მხარეში, ქალაქის მერის არჩევნებში აგროვებენ ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას და გერმანულ პოლიტიკაში აყალიბებენ აშკარად დისტანცირებულ მესამე ძალას. მიმდინარე წლის შემოდგომაზე მწვანეები ხელმეორედ შეუტევენ ბუნდესტაგს, თუმცა, 1998 წელთან შედარებით, ბევრად უფრო მყარი პოზიციებიდან. თუკი წარსულს გავაანალიზებთ, ეს ყოველივე ზღაპარს წააგავს. მაგრამ მწვანეთა წარმატება გერმანიაში გამოცანა არ არის. ის ემყარება ნიჭიერი, უაღრესად ერთგული და სწავლის უნარის მქონე პოლიტიკური აქტივისტების უნიკალურ ნაკრებს, რომლებიც წლების განმავლობაში მოიპოვებდა პატივისცემას საკუთარი პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობისა და შრომისმოყვარეობისთვის. თავისუფალი დემოკრატიული პარტიისგან განსხვავებით, მწვანეები დღეს სერიოზულობის და, ამავდროულად, ტემპერამენტის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენენ. ამასთან, გერმანიის მწვანე ელიტა მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. მწვანეთა წარმატებების საფუძველს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ამ პარტიას მყარად აქვს ფეხი მოკიდებული კომუნალურ პოლიტიკაში. ბევრ ქალაქში მწვანეებს თანასწორის პოზიციიდან შეუძლიათ ელაპარაკონ როგორც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ისე ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირს. ჩვენი ორი ავტორი ამას შემდეგნაირად აღწერს: მწვანეები შევიდნენ ისტებლიშმენტში ისე, რომ თვითონ არ ქცეულან ისტებლიშმენტად. ამ პოზიციას, შესაძლოა, მოწინააღმდეგეები გამოუჩნდეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია – სწორედ ეს თავისებურება განაპირობებს მწვანეთა სპეციფიკურ განსხვავებულობას ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისგან, სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიებისგან: მაშინაც კი, როდესაც მწვანე პოლიტიკოსები მაღალ თანამდებობებს იკავებენ, როგორც წესი, იგრძნობა გარკვეული კონფლიქტი პიროვნებას და ფუნქციას შორის, იქნება ეს მართვის უჩვეულო სტილი თუ მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შინაარსი. იოშკა ფიშერი სულით და ხორცით სახელმწიფო მოხელე იყო, თუმცა, სახელმწიფოებრივი მანტიის ქვემო„დან დროდადრო თავს გამოყოფდა მოხულიგნო მიდრეკილებების მქონე ფრანკფურტელი მემარცხენე ექსტრემისტი. ყველგან, სადაც ხელისუფლებაში მწვანეები არიან, ისინი საკუთარ სტატუსკვოს არ სცილდებიან. ყოველი შემთხვევისთვის, მათგან სწორედ ამას ელიან. ამდენად, პარტიას დღემდე აქვს პრეტენზია ალტერნატიული პოლიტიკის შეთავაზებაზე, იმის მიუხედავად, რომ ადრეული

წლების რადიკალური პროფილის ადგილი თანდათან სამოქალაქო ჰაბიტუსმა დაიკავა.

არ იქნებოდა სწორი, მწვანეთა წარმატება მხოლოდ მათთვის რომ მიგვეწერა. გადამწყვეტი ფაქტორი სხვა იყო: მწვანეებმა წამოჭრილი თემებით ზუსტად დააფიქსირეს საკუთარი ეპოქის მაჯისცემა. თავიდანვე არსებობდა უშუალო კავშირი მწვანეთა პრინციპებსა და ცნობილ „ცაიტგაისტს“ შორის. აქედან გამომდინარე, მწვანეები საზოგადოების სიღრმეებში არსებული ტენდენციების პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენენ. მარკოვიცი და კლავერი გამოკვეთენ მწვანეთა პროგრამის ოთხ ძირითად საყრდენს: ეკოლოგია, ქალთა და გენდერული პოლიტიკა, მშვიდობის პოლიტიკა და საპარლამენტო-წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაფართოება პოლიტიკური ჩართულობის ახალი ფორმების საშუალებით.

მწვანეები პირველები იყვნენ ღირებულებათა სოციალური გადაფასების საქმეში, ამავე დროს, საზოგადოებაც მწვანეებისკენ იყო ორიენტირებული. საზოგადოების მხრიდან ზურგის გამაგრების გარეშე მწვანეები ვერასდროს შეძლებდნენ საკუთარი თემების პოლიტიკურ დღის წესრიგში ესოდენ წარმატებულ რეალიზაციას.

მწვანეთა ისტორია იდეალური წარმატების ისტორიას რომ არ წარმოადგენდა (და არ წარმოადგენს), ნათლად ჩანს თემაში „მშვიდობა“. არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჰუმანიტარული მიზნით სამხედრო ინტერვენციების თემის განხილვის პროცესში მწვანეებმა მძიმე რყევები გადაიტანეს – როგორც ცნობილია, დებატებმა ბოსნიაში, კოსოვოს ომსა და ავღანეთში ბუნდესვერის[2] მივლენის შესახებ პარტია გახლეჩის პირას მიიყვანა. მარკოვიცი სამართლიანად შენიშნავს, რომ გერმანელთა გამოკვეთილი ზიზღი ნებისმიერი სახის სამხედრო ინტერვენციების მიმართ არ არის მხოლოდ მშვიდობისმოყვარეობის შედეგი. არსებობს წმინდა ეგოისტური მიდგომაც: „ჩვენ გარეშე!“ – მორალისტური აღმატებულობის სარჩულში მოქცეული პოზიცია, რომლიდანაც ვერმახტის თაობის წარმომადგენელთა შვილები და შვილიშვილები ამერიკის შეერთებულ შტატებს და ისრაელს გადმოჰყურებენ. ისევე, როგორც წარმოუდგენელია მორალურად შეუბღალავი სამხედრო ინტერვენციების არსებობა, ადვილი წარმოსადგენია, რომ საერთაშორისო სამხედრო მისიებში მონაწილეობაზე უარის თქმამ, შესაძლოა, დახმარებაზე უარის თქმის შეფერილობა შეიძინოს. მწვანეებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გაკვეთილს წარმოადგენს იმის შემეცნება, რომ ლატენტური კონფლიქტი ისეთ ხედვებს შორის, როგორებიცაა „აღარასოდეს ომი“ და „აღარასოდეს გენოციდი“, შეუძლებელია ცალმხრივად იქნას ამოხსნილი.

თუკი ამ უაღრესად ჭრელი პოლიტიკური გუნდის ბუნდესტაგში შესვლიდან გასულ ოცდაათ წელს გადავხედავთ, გამოიკვეთება ორმაგი ტრანსფორმაციის პროცესი: მწვანეებმა შეცვალეს საზოგადოება, ხოლო გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობამ შეცვალა მწვანეები. დღეს ისინი ამ კონტექსტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, მაგრამ მაინც სხვებისგან განსხვავებულები რჩებიან. მწვანეები მხარს უჭერენ გლობალურ ცვლილებებს და, ამავდროულად, მყარად დგანან მიწაზე, რათა არ დაუშვან საზოგადოების ჩათრევა სარისკო ავანტიურებში.

მწვანეთა წარმატების უმთავრესი ინდიკატორი მათ მიერ ინიცირებული პოლიტიკური პროექტებია – ატომურ ენერგიაზე უარის თქმით დაწყებული და იმიგრანტთა შესახებ კანონით დამთავრებული. ამასთან, ხაზგასასმელია წარმატების ორი დიდი ისტორია: ენერგეტიკის და გარემოს დაცვის პოლიტიკა და ახალი პოლიტიკური კულტურა. ამ მიმართულებით მწვანეებმა ფუნდამენტური ცვლილებების ინიცირება შეძლეს: აქვე უნდა აღინიშნოს როგორც ქალთა როლის გაძლიერება, ისე ჰომოსექსუალი და ლესბოსელი წყვილების თანასწორუფლებიანობა, პოლი-

ტიკაში მიგრანტების ჩართულობა, ახალი კანონი გერმანიის მოქალაქეობის შესახებ და სამოქალაქო ჩართულობის უამრავი და მრავალფეროვანი ფორმა, რომლებიც დროთა განმავლობაში ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ ტრანსფორმაციის პროცესში მწვანეები ღირებულებათა ცვლილების რუპორს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ. ლაპარაკია იმ ღირებულებებზე, რომელთა ერთგულებაც სხვა პარტიებს ხშირად იმაზე უფრო ხანდაზმულებად წარმოაჩენს, ვიდრე ისინი რეალურად არიან.

ნუ დავასრულებთ პესიმისტურ ნოტაზე. მწვანეებმა უკვე ბევრს მიაღწიეს, თუმცა ეკოლოგიური და სოლიდარული საზოგადოებისკენ მიმავალ გზაზე გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

რალფ ფიუქსი
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თავმჯდომარე

ბერლინი, თებერვალი, 2013

შესავალი

2013 წლის 6 მარტს შესრულდება[3] ოცდაათი წელი იმ ღირსშესანიშნავი მომენტიდან, როცა ევროპული კონტრკულტურის წარმომადგენლები, უპირველესად, ძველი „ახალი მემარცხენეების“ საკვანძო ფიგურები, ცნობილი სამოცდარვიანების ცოცხალი მომსწრეები, მოკლედ რომ ვთქვათ – იმ ბურჟუაზიული კულტურის ჰეგემონიის დასასრულის, შესაძლოა, ყველაზე ძლევამოსილი სიმბოლოები, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოებრივ ცხოვრებას ვიქტორიანული ეპოქიდან მოყოლებული განსაზღვრავდა, ბად გოდესბერგის შტადტჰალეში[4] მთელი ღამე ზეიმობდნენ. საუბარია მწვანეებზე.[5] მიზეზი: მათი ტრიუმფალური შესვლა ბუნდესტაგში და ამით ახალი ეპოქის დასაწყისი როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში, ისე, გარკვეული თვალსაზრისით, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც განვითარებული სამრეწველო კაპიტალიზმი ლიბერალურ-დემოკრატიულ წყობაზეა დაფუძნებული.[6] მერწყულის ერამ ბოლოს და ბოლოს დატოვა ბერკლის, კოლუმბიის, პარიზის და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტების კამპუსები – არ უნდა დაგვავიწყდეს არც ნიუ-იორკის ბროდვეი და ლონდონის ვესტ ენდი, რომლებმაც მიუზიკლით „თმები“ („This is the dawning of the age of Aquarius“) დანარჩენ მსოფლიოს ახალი და მნიშვნელოვანი განზომილება შემატეს – მართალია, კომერციალიზებული, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ძალზე ექსპრესიული მუსიკის და სიმღერის წყალობით – და ტრიუმფალურად დაიპყრეს მართლაც უმნიშვნელოვანესი სცენა: თანამედროვე მსოფლიოს გლობალური წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტი, ანუ ევროპის ეკონომიკური ჰეგემონის სახალხო წარმომადგენლობა, რომელიც ექსპორტში მსოფლიოს მრავალგზის მოქმედი ჩემპიონია, უაღრესად ამაყობდა თვითმარქვია ეკონომიკური გიგანტის სტატუსით, თუმცა – ამ მდგომარეობის მიუხედავად, პოლიტიკური ჯუჯასავით უწევდა საკუთარ თავს რეკლამირებას.

სხვათა შორის, მაშინ როდესაც მემარცხენეობის თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში ინოვაციები ევროპაში იღებდა სათავეს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მათი თეორიული და პრაქტიკული რეალიზაცია, ახალი მემარცხენეების შემთხვევაში – რომლებიც ჩვენი ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენენ – მდგომარეობა სრულიად საპირისპიროდ გამოიყურებოდა. გერმანელი (ან ევროპელი) მემარცხენეები ვერასოდეს იარსებებდნენ ამერიკის სამხრეთის ქალაქების ავტობუსებში ე. წ. თავისუფლების მგზავრების (Freedom Riders), ვულვორთის სუპერმარკეტების კაფეებში მჯდომარე აქციების და სამოქალაქო პროტესტის სხვა ფორმების გარეშე, რომლებიც სამოქალაქო უფლებების დამცველთა მოძრაობიდან (მაგალითად, მარტინ ლუთერ კინგი) და მისი Black-Power-ვარიანტიდან (მაგალითად, მალკოლმ იქსი, შავი პანტერები) იღებდნენ სათავეს. ჩვენ ასევე ნამდვილად არ გვინდა „Sex & Drugs & Rock'n Roll“-ის მნიშვნელობის დაკნინება, განსაკუთრებით, მესამე ცნება ამ ტრიადაში ერთმნიშვნელოვნად საპატიო ადგილს იკავებს. უბრალოდ, წარმოუდგენელია ევროპელი ახალი მემარცხენეების სათავეების და მთავარი მახასიათებლების არსის გაგება, თუკი არ გვეცოდინება ისეთი სახელები, როგორებიცაა ჯონ ბაეზი, ბობ დილანი, ჯიმი ჰენდრიქსი, გრეითფულ დედი სან-ფრანცისკო-საუნდით, ჯენის ჯოპლინი, ჯეფერსონ ეირფლეინი და ქუიქსილვერ მესინჯერ სერვისი და მრავალი სხვა.

1983 წლის 6 მარტის კვირადღის გამარჯვებამ ახალბედების ეს საოცრად ჭრელი გუნდი გადააქცია – ამის ხმამაღლა წარმოთქმას იმ დროს ჯერ ვერავინ ბედავდა – ისტებლიშმენტად!

Horribile dictu – წარმოთქმაც კი შემზარავია! კონტრკულტურამ მეინსტრიმის ციხესიმაგრე აიღო. როგორ შეიძლებოდა,

ასეთი რამ მომხდარიყო? რა სახის ხარკს და რა კომპრომისებს მოითხოვდა ამგვარი გიგანტური ნაბიჯი ახალგაზრდა ადამიანებისგან, რომლებიც საკუთარ თვითმყოფადობას და მრწამსს სწორედ ანტიისტებლიშმენტის – რომ არ ვთქვათ, რევოლუციის – ავანგარდში ყოფნასთანაც კი აიგივებდნენ?

რასაკვირველია, 1983 წლის 6 მარტს გერმანიის ბუნდესტაგის წმინდა დარბაზებში პარლამენტის 28 ახალი წევრის შესვლა მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში მუდმივად ამტკიცებდა ანტიისტებლიშმენტად დარჩენის სურვილს. მაგალითისთვის, სასესიო დარბაზში იჯდა გრძელ, ხელით ნაქსოვ პულოვერში გამოწყობილი ვალტერ შვენინგერი, მის გვერდით დიტერ დრაბინიოკი და გერტ იანსენი ხშირი კულულებით და ველური გრძელი წვერით; მარილუიზე ბეკი პარლამენტის შენობაში მხარზე შემოდებული მჟავიანი წვიმებისგან გამხმარი ფიჭვით გამოცხადდა; ამ დროს პეტრა კელიც იქ იყო ახლადმოკრეფილი ყვავილების უზარმაზარი თაიგულით ხელში და ბოლოს – ელეგანტურ შავ სმოკინგში თუ სმოკინგის მსგავს მამაკაცურ კოსტიუმში გამოწყობილი გაბრიელა პოტჰასტი, რომელსაც საკუთარი გარეგნული იერით არაორაზროვნად გამოჰქონდა დღის შუქზე გენდერული საკითხები და ისტებლიშმენტს სქესთა როლების შესახებ მოძველებულ წარმოდგენებთან, უინტერესო ბურჟუაზიულ ჰაბიტუსთან და შესაბამის მოპყრობის ფორმებთან აპირისპირებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ავადსახსენებელ სექსისტურ განწყობებზე. ორი წლის შემდეგ, სამინისტროების დონეზე მწვანეების გამოჩენამ პოლიტიკურ კონტექსტს კიდევ ერთი ანტიბურჟუაზიული აქსესუარი შემატა: იოშკა ფიშერი ჰესენის ფედერალური მხარის გარემოს დაცვის მინისტრის რანგში ფიცს ჯინსის შარვალსა და სპორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი დებდა და ამით მკვეთრად გამოირჩეოდა ჰოლგერ ბიორნერისგან, რომელიც ფიცს მუქ კოსტიუმში იბარებდა – ტანისამოსის ეს ფორმა გერმანელი პოლიტიკოსებისთვის სავალდებულო იყო ამ სახის ნებისმიერი ღონისძიების შემთხვევაში.

რას ნიშნავს ეს ყველაფერი დღეს ჩვენთვის? და, ქრისტა ვოლფის ცნობილი მოთხრობის სათაური რომ მოვიშველიოთ: რა რჩება? სწორედ ამაზეა საუბარი წინამდებარე ესეში. ჩვენი თეზისი შემდეგნაირად ჟღერს: მწვანეთა გავლენა როგორც გერმანულ პოლიტიკაზე, ვიწრო გაგებით, ისე – და ეს ალბათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და იმიჯზე, უაღრესად დიდია. მოკლედ და კონკრეტულად: ბევრი რამ, რაც გერმანიის ყოველდღიურობის კონტექსტში უკვე დიდი ხანია, რაც ჩვეულებრივ მოცემულობად აღიქმება, სათავეს იმ კულტურული და პოლიტიკური გარემოდან იღებს, რომელიც, შეიძლება ითქვას, მხოლოდ უჩვეულო ურბანულ სივრცეებში, განსაკუთრებით კი ისეთ ქალაქებში, როგორებიცაა ფრანკფურტი და ბერლინი, ვითარდებოდა, თუმცა მანამდე, გერმანიის ყოველდღიურ ცხოვრებაში წლების მანძილზე მარგინალურ რეჟიმში არსებობდა.

დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა!

თავისთავად ცხადია, რომ ამგვარი ელემენტების შესვლა მეინსტრიმში ამ უკანასკნელის „სიწმინდის“ ხარჯზე მოხდა, რომლის უკანაც, ბუნებრივია, საკუთარი აშკარად გამოკვეთილი ექსკლუზიურობის გაცნობიერება იმალებოდა. საზოგადოებრივი რელევანტურობის და პოლიტიკური წონის მოსაპოვებლად, ამ ალტერნატიულ სამყაროს მრავალი, ძალზე ღირებულად ქცეული ხატის და დოგმის მსხვერპლად შეწირვა მოუწია, რომლებიც საკუთარ არსებობას თვითკმარ გეტოში არასაკმარისი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობით ამართლებდნენ. თუმცა, დარწმუნებულები ვართ, რომ ხანგრძლივი პროცესი, სადაც მწვანეებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს (და, შედეგად, პირველსახე დაკარგეს), საბოლოოდ, შედეგიანი და რეალურად წარმატებული წამოწყება გამოდგა.

დღევანდელმა მწვანეებმა, გარკვეული თავშეკავების მიუხედავად, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვუწოდოთ კომპრომისი, შესაძლოა კოოპტაციაც კი, პროგრესული ღირებულებების ფართო სპექტრი განავითარეს. როგორც უკვე ითქვა, მწვანეებმა, შესაძლოა, უკვე დაკარგეს საკუთარი პირველსახე, რომლის შენარჩუნებისთვისაც მათი წინაპრები გვიანი 1970-დან და ადრეული 1980-იანებიდან გაბედულად იბრძოდნენ, სამაგიეროდ, მწვანეები დღევანდელი გერმანიის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

სხვანაირად რომ ვთქვათ: გასული ოცდაათი წლის განმავლობაში მწვანეებმა გერმანიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მეინსტრიმში წარმატებულად შემოიტანეს პროგრესული პოლიტიკის ბრენდირებული პროდუქტი, რომელსაც სამი ათწლეულით ადრე, უკეთეს შემთხვევაში, სპეციალიზებულ მაღაზიებში თუ შეხვდებოდით და რომლის მომხმარებლებიც მხოლოდ პოლიტიკურად უმნიშვნელო ჯგუფების წევრები იყვნენ.

მწვანეებმა თავი დაიმკვიდრეს ისე, რომ თვითონ არ ქცეულან ისტებლიშმენტად.

მწვანეთა ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი დღესაც ისე ატარებს კოსტიუმს, თითქოს აქამდე არავის ბოსი არ ყოფილიყოს. მწვანეები დღეს ძალზე ფართო წრეებისთვის არიან მიმზიდველნი – ეს რეალობა ოცდაათი წლის წინ, უბრალოდ, არ არსებობდა.

როგორ შეძლეს მწვანეებმა გერმანიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს დისკურსებსა თუ საკვანძო საკითხებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებზე ამგვარი მასშტაბური გავლენის მოპოვება? მწვანეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმატება ისაა, რომ ისინი გერმანული პოლიტიკის პირველ ლიგაში აშკარად დიფერენცირებული და ყველასთვის ცხადი სამარკო ნიშნის, „მწვანე“ ფერის საშუალებით გადავიდნენ, რომლის ზემოქმედებაც ძალზე ძლიერი და მიმზიდველი აღმოჩნდა. დანამდვილებით ვიცით, რომ მწვანეთა ძალიან ბევრი მიმდევარი გააპროტესტებს მათი წარმატებების ანალიზისას მარკეტინგისთვის ტიპური ცნებებით და ანალოგიებით ოპერირებას – „რა მკრეხელობაა, რა მასხარაობაა?!“ – თუმცა, ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვაკეთებთ, რომ ვინმე გავაღიზიანოთ, არამედ გვჯერა, რომ ჩვენი მთავარი თეზისების განმარტების საშუალებას ყველაზე უკეთ სწორედ ხსენებული ანალოგიები იძლევა. თუკი არ გვსურს, რომ განსაზღვრული ნიშან-თვისებებით შემოვიფარგლოთ, რაც, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მწვანეებს თავიდანვე არ უნდოდათ – ამაში კი დავრწმუნდებით, თუკი იმ დიდ და, შეიძლება ითქვას, გიგანტურ თემატურ მრავალფეროვნებას გავითვალისწინებთ, რომლებსაც მწვანეები საკუთარი თვითმყოფადობისთვის და გლობალური გადარჩენისთვის მნიშვნელოვნად აღიქვამდნენ – მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი სამარკო ნიშნის წარმატება მასშტაბურობის ხარისხით, ცნობადობით, ზემოქმედებით და მისი იმიტირების მცდელობებით განისაზღვრება (ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან თითოეული, ამავდროულად, წარმატების მახასიათებელიცაა). შეუძლებელია არსებობდეს რაიმე სახის ეჭვი იმის თაობაზე, რომ მწვანე სამარკო ნიშანმა ფართო აღიარება და ლეგიტიმურობა მოიპოვა და გერმანიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან და მიმზიდველ შემადგენელ ნაწილად იქცა.

ბუნებრივია, რომ ასეთ პოპულარობას და აღიარებას მხოლოდ მწვანეების გონიერებას და მარკეტინგულ მოხერხებულობას არ უნდა ვუმადლოდეთ. მიმდინარეობდა მრავალმხრივი აღებ-მიცემობის უმნიშვნელოვანესი პროცესი, აქტიური ინტერაქცია მოქმედ პირსა (მწვანეები) და არსებულ სტრუქტურებს (ქვეყანა და კულტურა, რომელშიც ისინი არსებობდნენ და მოქმედებდნენ) შორის, რამაც მწვანე სამარკო ნიშანი გასული ოცდაათი წლის განმავლობაში ასე პოპულარული გახადა.

კონტექსტი ყოველთვის მნიშვნელოვანია. ასე მაგალითად – ვერავინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ გერმანელებში ღრმად ფეხმოკიდებულმა ბუნების სიყვარულმა, რომელიც რომანტიზმის ეპოქიდან, მე-19 საუკუნის ადრეული წლებიდან იღებს სათავეს, განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა მწვანეთა აქტიურობას გარემოს დაცვის და ეკოლოგიურად სწორი ცხოვრების წესის დამკვიდრების კუთხით. რაიმე სახის გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად ვიტყვით – ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ბუნების შესახებ გერმანელთა რომანტიკული წარმოდგენებიდან მწვანეთა ეკოლოგიურ აქტივობამდე უწყვეტი ლოგიკური ჯაჭვი არსებობს. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ გერმანელმა მწვანეებმა ეკოლოგიის სფეროს პოლიტიკურ კონტექსტში აღიარებამდე ბევრად უფრო ადვილი გზა განვლეს, ვიდრე მათმა დებმა და ძმებმა რეინის მეორე სანაპიროზე – საფრანგეთში, ან თუნდაც ევროპის სხვა უმეტეს რეგიონში.

იგივე ეხება პაციფიზმსა და მშვიდობას. გერმანიის ომებით გაჯერებული ისტორიის – ეს განსაკუთრებით მე-20 საუკუნის პირველ ნახევარს ეხება – და ომების წარმოების წყურვილის გამანადგურებელი შედეგების გამო, ეს თემაც, რომელიც მწვანე იდენტობის საკვანძო ელემენტს წარმოადგენდა, მნიშვნელოვან სტრუქტურულ დონეზე დომინანტური გერმანული ნარატივისთვის უცხო არ ყოფილა – იმის მიუხედავადაც კი, რომ მრავალი პაციფისტი მწვანეთა რიგებში ნატოს კატეგორიულ მოწინააღმდეგედ გვევლინებოდა. მაშასადამე, გერმანული მენტალობის და მსოფლმხედველობის, ტრადიციების და დისკურსებისგან შემდგარმა კონტექსტმა მწვანეებს წარმატების მიღწევაში ხელი შეუწყო, თუმცაღა, ამავდროულად, ამ წარმატების ცალსახა წინაპირობას არ წარმოადგენდა.

დასკვნა: მწვანე სამარკო პოლიტიკა უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. პაციფიზმი – რომელიც დროდადრო მხოლოდ სარისკო გადაწყვეტილებებისგან თავის შეკავების ფორმას იძენდა – და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ცნობიერება, დღეს ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებითაც გერმანია წარმატებულ საშუალო ბიზნესთან, ეკონომიურობასა და ექსპორტთან ერთად მსოფლიოში იწონებს თავს. იმის მიუხედავად, რომ დღეს ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს *გერმანულ მოდელზე,* აშკარაა, რომ სწორედ ძირითადმა მწვანე ღირებულებებმა შეუქმნა გერმანიას საფუძველი პოზიტიური განმასხვავებელი ნიშნებისა და საერთაშორისო აღიარებისათვის, ყოველივე იმისთვის, რითიც გერმანია დღეს დივიდენდებს იღებს. სწორედ ამიტომაა, რომ გერმანელები – მათ შორის, ძალიან ბევრი მათგანი, ვისაც მწვანეებთან არანაირი შეხება არ აქვს – ამაყობენ ამ ღირებულებებით, რომლებსაც ისინი არა მარტო მორალურად მიზანშეწონილად და გონივრულად მიიჩნევენ, არამედ რომლებიც, ამავდროულად, გერმანიის სწორი და მომგებიანი კუთხით აღქმას და მის დადებით სახეს უზრუნველყოფენ, როგორც საქონლის და მომსახურების სულ უფრო ძლიერ კონკურენტულ ბრძოლაში, ისე კულტურათა და ღირებულებათა კონფლიქტის თვალსაზრისით. კაპიტალიზმის მოქიშპე სახეობებისგან განსხვავებით, კაპიტალიზმის გერმანული სახეობა შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც მნიშვნელოვანწილად ეკოლოგიური, მშვიდობიანი, ინკლუზიური, ზომიერი და მზრუნველი – ერთი სიტყვით, მომწვანო, ადამიანური სახის მქონე ფორმა, იმის მიუხედავადაც, რომ მას „მწვანე კაპიტალიზმს“ ან „მწვანეთა კაპიტალიზმს“ ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

როგორ მოახერხეს მწვანეებმა ეს ყველაფერი?

01

მწვანეები – რიცხვები

უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში გერმანიის მწვანეთა პარტიამ განვლო ტრანსფორმაციის გზა თვითგამოცხადებული „ანტიპარტიული პარტიიდან“ კოალიციურ პარტიამდე, რომელსაც სამივე სამთავრობო დონეზე – როგორც ფედერაციის, ისე სამხარეო და მუნიციპალურ/თემების დონეზე ენდობიან. იმ აუტსაიდერული ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მწვანეებმა თავისთვის თვითონვე შეარჩიეს, მათი განვითარების გზა, სუსტად შეკრული, წინააღმდეგობრივი ორიენტაციის მქონე და სისტემისადმი კრიტიკულად განწყობილი წრიდან მოწიფულ საპარლამენტო პარტიამდე, ბობოქარი და სამომავლოდ კონფლიქტებით აღსავსე აღმოჩნდა. ნაწილობრივ ქაოტური პროცესების მიუხედავად, მწვანეები, როგორც ირკვევა, თანდათან ბუნდესტაგის მუდმივ წევრებად იქცნენ (იგივე ეხება ბევრ სხვა ქვეყანასაც, სადაც მწვანეთა ინსტიტუციონალური წარმომადგენლობა რეგულარულ ხასიათს ატარებს).

მწვანეთა საპარლამენტო აღმასვლა 1979 წელს ბრემენში, სამხარეო დონეზე მათი პირველი საარჩევნო გამარჯვებით დაიწყო. მანამდე მწვანეთა წონა არჩევნებში ყველაზე უფრო მეტად მაშინ გამოიკვეთა, როდესაც მათ ჰამბურგსა და ქვედა საქსონიაში ხმების იმ ოდენობის მოგროვება შეძლეს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ამ ორი ფედერალური მხარის პარლამენტებში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის შესვლის თავიდან აცილება.[7] ბრემენში არჩევნებში მწვანეებმა მე-4 ადგილი მოიპოვეს. დღეს გერმანიის სამხარეო პარლამენტებში მწვანე ადგილების რაოდენობა 250-ს აღწევს. 1983 წლის გერმანიის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეებმა ამომრჩეველთა ხმების 5,6% და, შესაბამისად, 28 ადგილი მოიპოვეს. ბუნებრივია, რომ ეს კოლოსალური წარმატება იყო.

მრავალრიცხოვანი ახალი სოციალური მოძრაობების სახით წარმოდგენილ მწვანეთა წინამორბედებს შორის, რომლებიც გვიან 1970-იანებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ყალიბდებოდნენ, ადრეულ 1980-იანებამდე, როდესაც მწვანეებმა უკვე პარტიის სახე შეიძინეს, აქტიური დისკუსია მიმდინარეობდა იმის თაობაზე, რამდენად ქმედითი საშუალებაა პარტიის დაფუძნება მოძრაობის მიზნების მისაღწევად; თუ უმჯობესი იქნებოდა აქცენტის აღება მოძრაობის საბაზისო ორიენტაციის მქონე, ადაპტაციის და კონვენციონალიზმის ღერძს მორგებულ სტრუქტურებზე? ხსენებულ დისკუსიას იმდროინდელი მწვანეები გულგრილად უყურებდნენ. თუმცა, მათ შორისაც საკმაოდ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მწვანეთა მიზნები ყოველმხრივ ამართლებს ხელისუფლებისკენ მიმავალი ნებისმიერი საპარლამენტო გზისთვის თანმდევ კონვენციონალიზმის რისკზე წასვლას. და იმის გამო, რომ პარლამენტები წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში პოლიტიკური საქმიანობის მთავარ არენას წარმოადგენს, თუკი გსურს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტიტუტებში წონადი ხმა გქონდეს, როგორმე პარლამენტში უნდა მოხვდე. პარლამენტში შესვლისთანავე მწვანეები მედიის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. გარდა ამისა, ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა ის ფინანსური საშუალებებიც, რომლებსაც გერმანიის სამთავრობო სისტემა პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისთვის გამოყოფს.

გერმანიის კვლავ გაერთიანების შემდგომი წლის, 1990 წლის კრიზისს თუ არ ჩავთვლით – როცა საპარლამენტო არჩევნებზე მწვანეებმა ვერ მოახერხეს ყოფილ დასავლეთ გერმანიაში 5%-იანი ბარიერის გადალახვა და 8 ადგილი პარლამენტში მხოლოდ იმის გამო მოიპოვეს, რომ ხმების საჭირო რაოდენობა აღმოსავლეთ გერმანიაში მოაგროვეს[8] – მწვანეების ბუნდესტაგის მანდატების რაოდენობა ათწლეულიდან ათწლეულამდე თანდათან იზრდებოდა და აქამდე საუკეთესო შედეგს 2009 წელს მიაღწია, როდესაც მწვანეებმა ამომრჩეველთა ხმების 10,7 პროცენტით 68 საპარლამენტო ადგილი მიიღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ მწვანეთა წარმატებები არჩევნებში სულ უფრო ხშირი და

მასშტაბური ხდებოდა და მათი შიდა სტრუქტურები და პროცედურები დიფერენცირებულ და პროფესიულ სახეს იძენდა, პარტია ველარ მისცემდა თავს იმის უფლებას, რომ გერმანიის პოლიტიკაში მხოლოდ ოპოზიციური როლი ეთამაშა; უფრო მეტიც, მწვანეები დადგნენ მმართველ კოალიციებში გაერთიანების საჭიროების წინაშე. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უკვე ნახსენები დისკუსიების გამო, რომლებიც რესპექტაბელურობას და კონვენციონალიზმს ეხებოდა, თუმცა, უპირველესად, მწვანეთა მთავრობაში შესვლასთან დაკავშირებული უაღრესად მწვავე დებატების გამო: 1980-იან წლებში ეგრეთ წოდებული ფუნდამენტალისტები და ზომიერი რეალისტები ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს საკითხზე, უნდა აერჩიათ მწვანეებს ფუნდამენტური ოპოზიციის გზა, თუ უკეთესი იქნებოდა იმ მიდგომებისთვის უპირატესობის მინიჭება, რომლებიც პარტიას „კოალიციისუნარიანს“ გახდიდა.

მწვანეები მმართველ კოალიციაში თავდაპირველად ჰესენის ფედერალურ მხარეში გაერთიანდნენ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ფაქტმა მოხსნა მრავალი ბარიერი და მწვანეებს საპარლამენტო პოლიტიკის გზით სიარულის შესაძლებლობა მისცა.[9] მწვანეები ფედერალური მხარეების დონეზე ათი სხვადასხვა კოალიციის წევრები იყვნენ მანამ, ვიდრე პირველად შეუერთდებოდნენ მმართველ ალიანსს ნაციონალურ დონეზე. 1998 წელს შეიქმნა პირველი წითელ-მწვანე[10] მმართველი კოალიცია; იოშკა ფიშერი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცეკანცლერი. მწვანეების და სოციალ-დემოკრატების ამ კოალიციამ გაუძლო 2002 წლის არჩევნებს და 2005 წლამდე ქვეყნის ხელისუფლებაში რჩებოდა. ამ პერიოდში, ხსენებული კოალიციის მიერ მთელი რიგი წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა: დაწყებული გერმანიის მოქალაქეობის შესახებ კანონით და ატომურ ენერგეტიკაზე უარის თქმით დამთავრებული (სწორედ ეს არის ის ორი თემა, რომლებიც – და ამას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი – მწვანეთა იდენტობის ძირითადი ელემენტების რიცხვს მიეკუთვნება).

მაშინაც კი, როცა მწვანეებს უფრო დიდ კოალიციურ პარტნიორთან ურთიერთობისას გარკვეულ კომპრომისებზე უწევდათ წასვლა და ბუნდესრატში – გერმანიის კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან „ზედა პალატაში“, რამდენიმე მარცხიც განიცადეს, დიდწილად სწორედ მწვანეთა ინიციატივით და ძალისხმევით მოხერხდა ძირეული პოლიტიკური ტრანსფორმაციის ინიცირება. როგორც წითელ-მწვანე კოალიციაში ხშირად ხდებოდა, ამ შემთხვევაშიც უმცროსი კარნახობდა უფროსს და არა – პირიქით.

2012 წლის ზაფხულის და ადრე შემოდგომის პერიოდისთვის – როდესაც ეს ტექსტი იწერება, წითელ-მწვანე კოალიცია ოთხი ფედერალური მხარის ხელისუფლებაშია: ბრემენი, ნორდრაინ-ვესტფალენი, ბადენ-ვიურტემბერგი და რაინლანდ-პფალცი. უნდა აღინიშნოს ბადენ-ვიურტემბერგი, რადგანაც აქ გერმანიის ისტორიის მანძილზე პირველადაა წარმოდგენილი სამხარეო დონეზე მწვანეების მიერ მართული, ანუ სრული გაგებით მწვანე-წითელი მთავრობა.[11] 2011 წლის ლანდტაგის (სამხარეო პარლამენტი) არჩევნებში მწვანეებმა ხმების 24,1 პროცენტი მოიპოვეს, ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე წინა არჩევნებში. ეს შედეგი სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ მწვანეები სიძლიერით მეორე პარტია გამხდარიყო ლანდტაგში, სადაც მათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად მწვანე-წითელი მთავრობა ჩამოაყალიბეს, ხოლო ვინფრიდ კრეჩმანი გერმანიის ისტორიაში პირველი მწვანე პრემიერმინისტრი გახდა.[12] მწვანეები ამგვარ რამეს პარტიის საწყის პერიოდში, გვიან 1970-იანებსა და ადრეულ 1980-იანებში ვერც კი წარმოიდგენდნენ, როდესაც პარტია საკუთარ თავს ჯერ კიდევ „ანტიპარტიულ პარტიად“ მოიაზრებდა. მაგრამ ის, რაც მაშინ წარმოუდგენელი იყო, სულ რაღაც სამი ათწლეულის შემდეგ, რეალობად იქცა.

გამოკითხვები ცხადყოფს, რომ გერმანელთა ეკოლოგიური ცნობიერება გარკვეული მიმართულებებით გაზრდილია. ამგვარ მიდგომებს მწვანეთა პარტიის მზარდმა პოპულარობამ კიდევ უფრო გაუმყარა საფუძველი და ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არაა.[13] რა თქმა უნდა, ამ ყოველივეს ვერ დავუკავშირებთ მხოლოდ და მხოლოდ მწვანეთა აქტიურობას პოლიტიკურ სცენაზე და მათ პოპულარობას – ბოლოს და ბოლოს, სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ღირებულებათა ამგვარი ცვლილებაა მწვანეთა მზარდი პოპულარობის გამომწვევი წინაპირობა, თუმცა ამ ორი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად – ეკოლოგიის მნიშვნელობამ გავლენა იქონია პარტიის მნიშვნელობაზე, ხოლო პარტიამ გაზარდა ეკოლოგიის მნიშვნელობა – ჩამოყალიბდა სიმბიოზი, რომელმაც გერმანიაში ახალ პოლიტიკურ დისკურსს, შეიძლება ითქვას, ახალ პოლიტიკურ რეალობას დაუდო საფუძველი.

გარემოზე ზრუნვამ დღევანდელ გერმანიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. გარემოს მიმართ გულგრილობის გამოხატვა ცალსახად არაპატრიოტულად, „არაგერმანულადაც“ კი აღიქმება და დისკურსის და აზროვნების ყველა დასაშვებ ზღვარს სცდება. ბუნების გადარჩენაზე და ფრთხილ მოპყრობაზე ორიენტაცია დღესდღეობით ჩვეულებრივ მეინსტრიმს წარმოადგენს. რაოდენობრივად მცირე პარტიისთვის ეს მართლაც რომ შთამბეჭდავი შედეგია!

გერმანიის იმ რეგიონებშიც კი, სადაც მწვანეები არჩევნებში ვერ აღწევდნენ განსაკუთრებულ წარმატებას, ისინი ინსტიტუციონალურ დონეზე დამაჯერებლად არიან წარმოდგენილები. გერმანიაში სამოქალაქო ინიციატივების გააქტიურებამ – 1972 წელს ამ ტიპის დაახლოებით 1 000 ჯგუფი არსებობდა, 1977-ისთვის კი მათმა რიცხვმა 50 000-ს მიაღწია – მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმგვარი გარემოს შექმნა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, დასავლეთგერმანული მწვანეთა პარტიის წარმატებულ განვითარებას ხელი შეუწყო და ეს პროცესი დააჩქარა.[14]

მართალია, არჩევნებში მოპოვებულ წარმატებებს თავისთავადი შედეგის სახით თან მოჰყვა პარტიის ფარგლებში ალტერნატიული მოძრაობების ტიპური ელემენტების შესუსტება, თუმცა, ისინი ბოლომდე მაინც არ გამქრალა და შიდაპარტიული აზრის თავისუფლების ჯანსაღი დოზის ფორმით დღემდე არსებობს. ერთი რამ უცვლელი რჩება: თემებმა, რომლებიც მწვანეთა იდენტობის ბირთვს წარმოადგენს – მოგვიანებით ამ საკითხს კიდევ შევეხებით – მეტად მჭიდრო და გაუმჭვირვალე პოლიტიკურ ბაზარზე პარტიას კონკურენტებთან შედარებით მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობა მისცა. იმის გამო, რომ ხდება მწვანეთა იდენტიფიცირება ამ ანგარიშგასაწევ თემებთან და ღირებულებებთან, ეს უაღრესად ჭრელი პარტია, რეალურად, ძალზე წარმატებული და კონსოლიდირებული სახით წარუდგება ფართო საზოგადოებას.

ამ მომენტისთვის მწვანეებს მთელი გერმანიის მასშტაბით 400-ზე მეტი სამხარეო და უფრო მეტი საოლქო გაერთიანება აქვთ, სწორედ ისინი ქმნიან პარტიის ორგანიზაციულ საფუძველს. საინტერესოა, რომ ამ ინსტიტუტების გავრცელებამ ამერიკის შეერთებულ შტატებამდეც კი მიაღწია. 2008 წელს რამდენიმე გერმანელმა საოლქო გაერთიანება ვაშინგტონშიც დააარსა, რათა რეგიონში მცხოვრები გერმანელებისთვის მიეცა ბუნდესტაგის 2009 წლის არჩევნებისთვის მობილიზების საშუალება. ამავე დროს, სურდათ მწვანე პიკნიკების ორგანიზება, ფილმ *„Die Feuerzangenbowle“*-ს[15] ჩვენება და სხვა სოციალური აქტივობების ინიცირება.[16] რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ესაა ამ ტიპის პირველი პარტიული ორგანიზაცია გერმანიის ფარგლებს გარეთ, რაც ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისათვის მეტად ნიშანდობლივ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.[17] გარდა ამისა, ესაა იმის ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეინარჩუნეს მწვანეებმა ტრადიციული

და „ჩვეულებრივი“ ინსტიტუციონალიზაციის ფონზე ორგანიზაციულ-სტრუქტურული კავშირი საკუთარ საწყისებთან, რომლებიც არსებობას საბაზო-დემოკრატიულ პრინციპებს უნდა უმადლოდენ. ვაშინგტონის საოლქო გაერთიანების გერმანულ პარტიასთან აშკარა კავშირის მიუხედავად – ამერიკაში მოქმედი გაერთიანების ვებგვერდი იყენებს ინტერფეისს, რომელიც მთელი გერმანიის მასშტაბით მწვანეთა პარტიის ყველა გაერთიანების ვებგვერდზე ჩნდება – გერმანული პოლიტიკური პარტიის ამერიკული წარმომადგენლობის დაფუძნების იდეას, რომელიც გერმანიის პოლიტიკის მიმართ ექსპატრირებული გერმანელების ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად, რაღაც უაღრესად დემოკრატიული უდევს საფუძვლად. უფრო მეტიც: სტივენ მილდერი, მწვანეთა ადრეული ისტორიის და ანტიატომური მოძრაობის ექსპერტი, მიანიშნებს იმაზე, რომ ამგვარი უცხოური წარმომადგენლობის იდეას ღირსეული ისტორია უძღვის წინ, რადგანაც, როგორც მილდერი ამბობს, აწგარდაცვლილმა პეტრა კელიმ, მწვანეთა ერთ-ერთმა პირველმა ხელმძღვანელმა, რომელსაც განსაკუთრებული კავშირები ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გამოთქვა სურვილი, რომ მწვანეებს რაიმე სახის წარმომადგენლობა დაეარსებინათ, რაც ამერიკაში მსგავსი იდეების წარმომადგენლებთან დიალოგს შეუწყობდა ხელს.

მწვანეთა მოძრაობამ განვლო განვითარების გზა სუსტად შეკრული კულტურული და პოლიტიკური წრიდან ტრადიციულ, თუმცა, ამავე დროს, ანგარიშგასაწევი წონის მქონე პარტიამდე, რომელიც გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ყველა დონეზეა წარმოდგენილი და ფართო ინსტიტუციონალურ ბაზას ფლობს.

თუკი პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა საკუთარი განვითარების შესახებ პარტიის წევრთა რაოდენობების მიხედვით გაკეთებული დასკვნების საშუალებით მსჯელობს (იქნება ეს მატება, კლება თუ მდგრადობა), მწვანეების შემთხვევაში მდგომარეობა უფრო კომპლექსურია. ეს ყოველივე უკავშირდება პარტიის (მოძრაობის, წრის), როგორც „ანტიპარტიული პარტიის“ ისტორიას და მის სკეპტიციზმს, თუ არა ზიზღს და აშკარა მტრულ დამოკიდებულებას ინსტიტუციონალიზებულ და ნორმალურ პარტიად განვითარების ნებისმიერი პერსპექტივისადმი. თავდაპირველად სწორედ ამიტომ იყვნენ მწვანეები პარტია, რომელიც არ ნადირობდა ახალ წევრებზე. შედეგად, წევრთა ყველაზე დიდი შემოდინება – მეტად ნიშანდობლივი მომენტი, შესაძლოა, უკეთესი ალტერნატივის არარსებობის გამო – ხდებოდა პარტიისთვის გადამწყვეტ მომენტებში: 1993 წელს, „კავშირ 90“-ში გაერთიანებისას; 1998 წელს წითელ-მწვანე ფედერალური მთავრობის ჩამოყალიბებისას, ქრისტიან-დემოკრატების და ქრისტიან-სოციალისტების კოალიციური მთავრობის მიერ ატომური ელექტროსადგურების მოქმედების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ინიცირებული დებატების და 2011 წლის ფუკუსიმას კატასტროფის კომბინაციის ფონზე. მწვანეთა რიგების გაფართოების თვალსაზრისით, პარტიაში წევრების მოზიდვისკენ მიმართულ აქტივობებზე დიდი როლი სწორედ ამ გარეშე ფაქტორებმა ითამაშეს. დღევანდელი მონაცემებით, მწვანეთა პარტიაში გაწევრიანებულია 60 000-მდე ადამიანი. ამ მაჩვენებლით მწვანეები თავისუფალი დემოკრატების და მემარცხენეთა პარტიებს უახლოვდებიან, რომლებსაც, სავარაუდოდ, უახლოეს წლებში გადაუსწრებენ.

2011 წელს მწვანეები ბუნდესტაგში წარმოდგენილი ერთადერთი პარტია იყო, რომლის წევრთა რაოდენობა გაიზარდა – ეს განსაკუთრებით კარგი შედეგია პარტიისათვის, რომელსაც მოწინააღმდეგეები დროდადრო ჩავლილი ეპოქის წარმომადგენლებად და 68-იანების ეკოლოგიურ პარტიად მოიხსენიებენ, რომელიც მოძველებული და არარელევანტური „სცენის“ განსახიერებას წარმოადგენს. გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების კონტექსტში შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორი თუ მოწმობდეს პარტიის ამბი-

ციურ ბუნებაზე (ვცდილობთ, მოვერიდოთ ისეთი არასასურველი ცნების გამოყენებას, როგორიცაა „ისტებლიშმენტი“). ერთ-ერთი ასეთი ინდიკატორია ფონდი, რომლითაც მწვანეთა პარტია ამაყობს – ფონდი, რომელიც პარტიისგან ნომინალური დამოუკიდებლობის მიუხედავად, მისი იდეოლოგიური მოქმედების სფეროს განუყოფელი ნაწილია და რომელიც დაარსებიდან 25 წლის მანძილზე დიდად გაიზარდა. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს გერმანიის ყველა ფედერალურ მხარეში აქვს წარმომადგენლობები და, დღეის მონაცემებით, 30 საზღვარგარეთის ბიურო – ისეთი „ჩვეულებრივი“ და „პოპულარული“ ქალაქებით დაწყებული, როგორებიცაა ვაშინგტონი, პეკინი და ბრიუსელი და ისეთი „ეგზოტიკური“ ადგილებით დამთავრებული, როგორებიცაა რამალა, პნომპენი და სან სალვადორი. ამ ბიუროების პარალელურად, ფონდის მხარდაჭერით ათობით სხვა ქვეყანაშიც ხორციელდება კონკრეტული აქტივობები. დღესდღეობით ფონდის ბიუჯეტი უკვე დაახლოებით 52 მილიონ ევროს შეადგენს. შედარებისთვის: 2004 წლის ბიუჯეტი 34 მილიონი იყო.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს უაღრესად დიდი წვლილი შეაქვს მწვანეთა/მწვანე იდეების ინსტიტუციონალურ რეპრეზენტაციაში როგორც გერმანიაში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იგი მწვანეთა ღირებულებების არაოფიციალურ ელჩად იქცა.[18] თუმცა ამ განსაკუთრებული ინსტიტუტის ცენტრალური ბიუროს სტუმრობა, რომელიც ბერლინის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ კვარტალშია განთავსებული, აშკარად ცხადყოფს, რომ მართალია, მწვანეები ისტებლიშმენტში შემოვიდნენ, თუმცა არ გამხდარან ისტებლიშმენტის ნაწილი: არაოფიციალურ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები და, პირველ რიგში, ქალები, რომელიმე დიდ ევროპულ ან ამერიკულ კვლევით დაწესებულებაში მომუშავე სოციოლოგებს უფრო ჰგვანან. თანამშრომლები უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ, მეტად შთამბეჭდავ, ჰიპერთანამედროვე შენობაში გადაადგილდებიან, შენობაში, რომელსაც მოკრძალებულს დიდი სურვილის მიუხედავადაც ვერ ვუწოდებდით. ეს ყოველივე ზოგჯერ მილიონიანი ქალაქის არქიტექტურული ბიუროს დრესკოდისგან თავისუფალი პარასკევი დღის ან სოციოლოგიური ინსტიტუტის ყოველდღიური ჰაბიტუსის შთაბეჭდილებას ტოვებს.

პარტიული პოლიტიკა განვითარებული დემოკრატიის პირობებში არანაირად არ არის წვრილმანი. გულახდილად რომ ვთქვათ, აქ ლაპარაკია დიდ ბიზნესზე (რამდენად მიუღებელიც უნდა იყოს ამ თითქმის მკრეხელური ცნებით ოპერირება მწვანეებისთვის და მწვანე იდეოლოგიის მატარებლებისათვის). დიდი კამპანიების განსახორციელებლად, საკუთარი აპარატების ადამიანური რესურსით შესაბამისი სახით დასაკომპლექტებლად და სხვა ტიპის აქტივობების კოორდინირებისთვის, პარტიებს ბევრი ფული სჭირდებათ. მათ შორის, მწვანეთა პარტიის ბიუჯეტიც და შემოსავლებიც დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1983 წელს, როდესაც მწვანეები ბუნდესტაგში შევიდნენ, მათი შემოსავლების საერთო მოცულობა 19 757 967 გერმანულ მარკას შეადგენდა.[19] ახლადგამომცხვარი საპარლამენტო პარტიისთვის ეს დიდი ფული იყო. ევროზე გადასვლის მომენტში ბიუჯეტი უკვე 56 976 167 მარკას მოიცავდა – ეს იყო 1998 წელი, წელი, როდესაც მწვანეები პირველად გაერთიანდნენ კოალიციაში ფედერალურ დონეზე.[20] 2010 წელს მწვანეებმა თავიანთ ისტორიაში ბიუჯეტის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს – 31 240 990 ევრო.[21]

ერთი მხრივ, ნიშანდობლივია, რომ ყოფილი „ანტიპარტიული პარტია“ მნიშვნელოვანი თანხებით ოპერირებს, თუმცა ამ თანხების წარმომავლობა კიდევ უფრო მეტის მთქმელია. მაგალითისთვის, 1983 წელს დაახლოებით 19,8 მილიონი მარკიდან, რომელიც მწვანეებმა მიიღეს, 11 მილიონი მარკა სახელმწიფოს მიერ პარტიების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულ სახსრებზე მოდიოდა, თითქმის ორი მილიონი მარკა საწევროებზე

და დაახლოებით 150 000 მარკა პარტიის საპარლამენტო დეპუტაციის, ეგრეთ წოდებული მანდატის მქონე პირების სადეპუტატო ხელფასებიდან გადარიცხულ თანხებზე. ეს უკანასკნელი პარტიის საერთო შემოსავლის 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა, პირველ ორ კომპონენტზე მოდიოდა 55,6% და, შესაბამისად, 10,1%.[22] ეს რიცხვები მნიშვნელოვნად განსხვავდება 2010 წლის ანალოგიური მონაცემებისგან, როდესაც მწვანეებმა 11 415 217 ევრო ეგრეთ წოდებული სახელმწიფო სახსრების სახით, 6 597 014 ევრო საწევროებიდან, ხოლო 6 979 775 ევრო სადეპუტატო მანდატის მქონე წევრებისგან მიიღეს, რაც ამ შემთხვევაში საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 36,5, 21 და 22,3%-ს შეადგენს.[23] ეს მატება, განსაკუთრებით კი დეპუტატებისგან შემოსული თანხების წილობრივი მაჩვენებლები, ცხადყოფს, თუ რამდენად დიდი (მათ შორის, მატერიალური) სარგებელი ნახეს მწვანეებმა პოლიტიკურ მეინსტრიმში ინსტიტუციონალიზაციის შედეგად.

დაბოლოს – რამდენიმე მნიშვნელოვან რიცხვზე ოდნავი თვალის შევლებითაც კი ცხადი ხდება მწვანეთა ფარული, თუმცა მდგრადი ჩართულობა გერმანიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნებისმიერი კრიტერიუმი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გერმანული პოლიტიკური პარტიის წარმატებული ინსტიტუციონალიზაციის შესაფასებლად – იქნება ეს ყოველდღიური წარმოდგენილობა მუნიციპალურ, კომუნალურ, სამხარეო და ფედერალურ დონეზე, ადმინისტრაციებში, პარლამენტსა და მთავრობაში – მოგვცემს იმის თქმის საშუალებას, რომ მწვანეები გერმანიაში მნიშვნელოვან, მყარად ფეხმოკიდებულ პოლიტიკურ ფაქტორად იქცნენ, რომლის შესუსტებაზე – რომ აღარაფერი ვთქვათ გაქრობაზე – არაფერი მიუთითებს.

ამას მარტივად მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ეწოდოს: დიდი წარმატება!

02

მწვანე იდენტობის ოთხი საყრდენი

ეკოლოგია

ეკოლოგია არის ყველაზე სახასიათო და, ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი იმ ოთხიდან, რომლებსაც ეგრეთ წოდებული პოსტმატერიალისტური ღირებულებების ბაზა ეფუძნება. სწორედ ეს ღირებულებები განაპირობებს მწვანეთა თვითმყოფადობას. მხოლოდ ის ფაქტიც, რომ პარტიას ჰქვია „მწვანეები“ და არა „მტრედები“, „ფემინისტები“ ან „დემოკრატები“, მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ გარემო და ეკოლოგიაა პირველი თანასწორთა შორის დანარჩენ სამ სვეტთან მიმართებით: ქალები და ფემინიზმი, მშვიდობა და პაციფიზმი, საბაზისო დემოკრატია.[24] ამ განსაკუთრებული როლის ფესვები მეტად კომპლექსურია და რიგ განმარტებებს საჭიროებს. ეკოლოგიისთვის გერმანული რომანტიზმის, ბუნების სიყვარულის და ანტიმოდერნიზმის ტრადიციების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ბევრი დაწერილა.[25] ეკოლოგიის მწვანე იდეალი „სათავეს იმ პოლიტიკური ტრადიციიდან იღებს, რომელიც მსგავს მოთხოვნებს – ხშირ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული კონტექსტის მიუხედავად – წარსულშიც აყენებდა“.[26] თუმცა, გერმანელებისთვის დამახასიათებელი ბუნების განსაკუთრებული სიყვარულის მიუხედავად, მწვანეებმა შეცვალეს ეკოლოგიის როლი ქვეყნის პოლიტიკაში და, ამასთან, გააფართოეს გარემოს დაცვისთვის აუცილებელი რეგულაციების კონტექსტი.

მწვანეებმა ეკოლოგია აქციეს თემად, რომელიც მთელი პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით ახდენს გავლენას ამომრჩევლის გადაწყვეტილებებზე.

გარემოზე ზრუნვა უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ რადიკალურ გარემოსდამცველთა კომპეტენციის სფეროს. სინამდვილეში, მწვანეებმა, გარემოს დაცვაზე მიმართული ხანგრძლივი და აქტიური ქმედებებით, შეძლეს ის, რომ გერმანიაში ფართოდ გავრცელებული სიყვარული ბუნების მიმართ, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე სახის განსაზღვრული ფორმა, ექციათ ურყევ ვალდებულებად უკეთესი მსოფლიოს წინაშე, რომელშიც მდგრადობის პოლიტიკა ცენტრალურ ადგილს იკავებს.

ანუ მათ წარმატებით მიაღწიეს ბუნდოვანი სიმპათიების და სენტიმენტალური გრძნობების კონკრეტულ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ქმედებებად ტრანსფორმირებას – ეს არ არის ცუდი შედეგი პარტიისთვის, რომელიც დასაწყის ეტაპზე ხშირად ხდებოდა დაცინვის და კრიტიკის ობიექტი მისი გამოკვეთილი ემოციურობისა და პრობლემების რაციონალური გადაწყვეტის უუნარობის გამო. ამ მიმართულებით მწვანეთა წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ სხვა პარტიებს მათთვის ფეხის აწყობა და მიბაძვა მოუწიათ. კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ საუკეთესო კომპლიმენტია, როდესაც ვიღაც შენს იმიტირებას ცდილობს.

ამის მიუხედავად, ასოციაცია „მწვანე უდრის ეკოლოგიას“ ხელშეუხებელი და უცვლელი გახდა. ნებისმიერი სამარკო ნიშანი მუდმივ ძიებაშია, რათა მიაგნოს ასეთ წარმატების მომტან, ავტომატურ ასოციაციებს. მწვანეებმა ამას მნიშვნელოვანწილად მიაღწიეს – მათი წარმატების კიდევ ერთი თვალსაჩინო მახასიათებელი.

ენერგიის გენერირების ატომური პერსპექტივის მოსპობა – გერმანიის პოლიტიკაში განსაკუთრებული ყურადღების და გადაუდებელი აუცილებლობის საგნად იქცა – მწვანეები პირველი პოლიტიკური პარტია იყო გერმანიაში, რომელიც ბირთვული ენერგეტიკის აკრძალვას ითხოვდა. მწვანეებმა, რომლებიც დაარსების დღიდანვე გამოდიოდნენ ატომური ელექტროენერგიის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, გერმანიის მიერ ატომურ ენერგეტიკაზე უარის თქმის შემდეგაც შეინარჩუნეს ამ სფეროს მიმართ გამოკვეთილად მტრული დამოკიდებულება. ეს მახასიათებელი დღეს, ისევე როგორც აქამდე, კვლავ წარმოადგენს მწვანეთა იდენტობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

თავიდან მწვანეთა ამგვარი მიდგომა, ბუნდესტაგში წარმოდგენილი სხვა პარტიების მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. თუმცა 2000 წელს წითელ-მწვანე ფედერალურმა მთავრობამ დაამტკიცა „შეთანხმება ფედერალურ მთავრობასა და ენერგომომარაგების კომპანიებს შორის“, რომელმაც სათავე დაუდო ბირთვულ ენერგიაზე ეტაპობრივი უარის თქმის პროცესს, რითაც მიღწეულ იქნა მწვანეთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი.[27]

2010 წელს ქრისტიან-დემოკრატების/ქრისტიან-სოციალისტების და თავისუფალი დემოკრატების კოალიციურმა მთავრობამ ატომური ენერგეტიკის შესახებ კანონში ცვლილება შეიტანა, რითაც გერმანიაში არსებულ ბირთვულ ელექტროსადგურებს სიცოცხლისუნარიანობა გაუგრძელა – ეგრეთ წოდებული მოქმედების ვადის გაგრძელება.[28] ის ფაქტი, რომ მემარჯვენე ცენტრისტულ მთავრობას მხოლოდ იმის უნარი თუ აღმოაჩნდა, რომ ატომური ელექტროსადგურების გრძელვადიან პერსპექტივაში გაუვნებელყოფის/დემონტაჟის ნაცვლად, მათი მოქმედების ვადა კიდევ უფრო გაეგრძელებინა, ბევრ რამეზე მეტყველებს. ამასთან, ისიც კი იყო შესაძლებელი, რომ ხსენებულ მთავრობას ატომური ენერგეტიკიდან გამოსვლის პროცესი მთლიანად შემოებრუნებინა. თუმცა მყარმა ანტიბირთვულმა განწყობამ, მათ შორის, შავ-ყვითელი[29] მთავრობის რიგებშიც, ეს შესაძლებლობა გამორიცხა. ასე და ამგვარად, ის, რაც ოდესღაც მხოლოდ პოსტმატერიალისტი ჰიპების ჯგუფის იდენტობის ღერძს და მათ მთავარ პოლიტიკურ მოთხოვნას წარმოადგენდა, გერმანული პოლიტიკის და საჯარო დისკურსის აბსოლუტურ მეინსტრიმად იქცა.

იმას, თუ რამდენად ღრმად შემოიჭრა ეკოლოგიის და მდგრადობის თემა გერმანიის პოლიტიკის ფართო სპექტრში, ცხადყოფს ის ფორმები და მეთოდები, რომლებითაც სხვა პოლიტიკური პარტიები საკუთარ პროგრამებში აფიქსირებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ თემებს. ქრისტიან-სოციალური პარტიის რამდენიმე ახალგაზრდა ექსპერტის, ეგრეთ წოდებული ეკოლოგი პოლიტიკოსების მიერ 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევა კიდევ ერთხელ მიანიშნებს ხსენებულ ინსტიტუციონალიზაციაზე.[30] დოკუმენტი დასათაურებულია, როგორც „კრეაციის მიმართ პასუხისმგებლობის გამო“ და მოითხოვს, რომ მთელი ზემო ბავარია კლიმატურად ნეიტრალური გახდეს. შემდგომი მოთხოვნებია, რომ ბავარია ფულად ინვესტიციებს მხოლოდ სოციალური, ეთიკური და ეკოლოგიური კრიტერიუმების გათვალისწინებით ახორციელებდეს და რომ წითელ-მწვანეების ხელისუფლებაში ყოფნის დროს შემუშავებული სოციალური პროგრამა ხელახლა დადგეს დღის წესრიგში. ქრისტიან-სოციალური კავშირის დოკუმენტში განხილული პრობლემები და მიზნები ეხება ტრადიციულად მწვანე თემებს, ავტორები მწვანეთა ლექსიკით ოპერირებენ და ამით კიდევ ერთხელ ცხადყოფენ პოლიტიკურ სტატუსკვოზე მწვანეთა გავლენას – ისეთი პარტიის შემთხვევაშიც კი, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში მწვანეებისგან, შეიძლება ითქვას, პოლარულად საწინააღმდეგო მხარეს იკავებს.

მწვანეთა იდეური სიმდიდრის საკუთარ იდეოლოგიაში ინტეგრირებით სხვა პარტიებს შეუძლიათ, მწვანეთა, როგორც გარემოს და ეკოლოგიური აზროვნების ერთადერთი დამცველის, სტატუსი შეასუსტონ და საფუძველი შეურყიონ მწვანეთა პრეტენზიას, იყვნენ ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ერთადერთი ჭეშმარიტ ინტერესთა გამტარებელი ძალა. ეკონომიკური ბაზრისგან განსხვავებით, სადაც სამარკო ნიშნებს საკუთარი ორიგინალობის და ავთენტურობის დაცვა უამრავი მექანიზმით შეუძლიათ – იქნება ეს კანონი საავტორო უფლებების შესახებ თუ სხვა ღონისძიებები, პოლიტიკურ არენაზე ამგვარი რამ შესაძლებელი არ არის, რადგანაც აქ კონკურენტთა კარგი იდეების – და, საბოლოო ჯამში, მათი სამარკო ნიშნების კოოპტაციას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით. ერთადერთი, რაც ორიგინალი ბრენდების ავტორებს დარჩენიათ, არის გადაუდებელი აუცილებლობა, იბრძოლონ, რათა დაარწმუ-

ნონ ამომრჩევლები საკუთარი პროდუქტის და მოთხოვნების ავთენტურობაში და ჰქონდეთ იმედი, რომ ამომრჩეველი ამას დაინახავს, ჭეშმარიტ ავტორს დააჯილდოებს, იმიტატორს კი – დასჯის.

ქდკ/ქსკ-ის და თდპ-ის კოალიციური მოლაპარაკებების დროს, 2009 წელს, საგრძნობი დაპირისპირება მოჰყვა MONS810-ის – გენმოდიფიცირებული სიმინდის გაშენების საკითხს, ამასთან ქდკ, განსაკუთრებით კი ქსკ, გერმანიის მასშტაბით ამ ჯიშის გაშენების აკრძალვას ითხოვდა.[31]

ბუნებრივია, მწვანეები უკვე დიდი ხანია იბრძვიან გენეტიკურად სახეცვლილი საკვები პროდუქტის წინააღმდეგ და ითხოვენ სავალდებულო მარკირების დაწესებას იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც გენეტიკურად მოდიფიცირებულ კომპონენტებს შეიცავენ. ამავდროულად, ისინი შექმნის დღიდანვე გამოდიან ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მხარდამჭერებად. რენატე კიუნასტი, წითელ-მწვანე ფედერალურ მთავრობაში სოფლის მეურნეობის და მომხმარებელთა დაცვის საკითხების მინისტრი, ცდილობდა რა „თემების ქურდობის“ სხვადასხვა შემთხვევებისგან თავის დაცვას, მოჰყავდა არგუმენტი, რომ ისეთი პარტიები, როგორებიცაა ქდკ და ქსკ, ფარისევლურად, მხოლოდ სიტყვებით უჭერდნენ მხარს მწვანე იდეებს, რეალობაში კი არაფერს აკეთებდნენ მწვანე კანონმდებლობის შესაქმნელად. სხვანაირად რომ ვთქვათ: მწვანეთა მოწინააღმდეგეები ახდენდნენ მათი იდეების კოპირებას ისე, რომ არაფერს აკეთებდნენ მათ სისრულეში მოსაყვანად.

ბუნებრივია, რომ მწვანეები ხშირად საყვედურობდნენ პოლიტიკურ კონკურენტებს არასაკმარისი ავთენტურობის და სერიოზულობის ნაკლებობის გამო. ეს კეთდებოდა, მაგალითად, შემდეგნაირი ირონიული შენიშვნის ფორმით: „როდესაც ანგელა მერკელი მყინვარის ფონზე იღებს სურათს, ის ცდილობს, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული საფრთხე დაგვანახოს“.[32]

მიუხედავად იმისა, თუ რამდენადაა პოლიტიკური სპექტაკლი, ის ფაქტი, რომ პარტიები გარემოს და, განსაკუთრებით, გარემოს გადარჩენის მნიშვნელობას საკუთარ პოლიტიკურ ამოცანად აღიარებენ, მეტყველებს პოლიტიკურ ღირებულებაზე, რომელიც გარემოსდაცვითმა ბრძოლამ გერმანულ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ დისკურსში ბოლო პერიოდში შეიძინა. ეკოლოგიური საჭიროებების მიმართ საჯარო გულგრილობა დღევანდელ გერმანიაში პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. პოლიტიკური ამბიციების და იოტისოდენა ინტელექტის მქონე ადამიანი არ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ ეკოლოგიური პრობლემების მნიშვნელობა დააკნინოს.

გერმანიაში ეკოლოგიური აზროვნების მნიშვნელობის კიდევ ერთი მაგალითია პოლიტიკური ისტებლიშმენტის რეაქცია ფუკუსიმას ატომურ კატასტროფაზე. ამ უბედურებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მწვანეების და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მხრიდან გაისმა ქრისტიან-დემოკრატების/ქრისტიან-სოციალისტების და თავისუფალი დემოკრატების სამთავრობო კოალიციის კრიტიკა ატომული ელექტროსადგურების მოქმედების ვადის გაგრძელების გამო.[33] შედეგად, ანგელა მერკელმა თითქმის ერთ ღამეში გააუქმა საკუთარი გადაწყვეტილება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით და ახალი პოლიტიკური გეგმა წარმოადგინა: ბირთვული მორატორიუმი, რომელიც, საბოლოოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ატომური ენერგიის გენერირებაზე უარის თქმას გულისხმობდა.[34]

თუკი ეს არ იყო მწვანეთა მოძრაობის გრანდიოზული გამარჯვება, მაშ სხვას რას შეიძლება ეწოდოს ასეთი გამარჯვება?

გერმანიის მთავრობის პოლიტიკის – შესაძლოა, შინაგანი მრწამსისაც კი – ასეთი, 180-გრადუსიანი შემობრუნების მიუხედავად, როგორც გამოკითხვები ცხადყოფს, მწვანე-

თა პოპულარობამ ფუკუსიმას კატასტროფის შემდეგ წარმოუდგენლად იმატა. სხვადასხვა საკვირაო გამოკითხვები ცხადყოფდა შედეგს, რომლის მიხედვითაც მწვანეთა მხარდამჭერთა რაოდენობა 23 პროცენტს აღწევდა, რაც მოგვიანებით სამხარეო საპარლამენტო არჩევნებში შთამბეჭდავ წარმატებებში აისახა.[35] ჩვენ მოკლედ უკვე შევეხეთ ბადენ-ვიურტემბერგის შედეგებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს მნიშვნელოვან გამარჯვებებს მწვანეებმა მეკლენბურგ-ფორპომერნის და რაინლანდ-პფალცის ფედერალურ მხარეებშიც მიაღწიეს. პირველ მათგანში მოგროვილი ხმების რაოდენობა 8,7 პროცენტს შეადგენდა მაშინ, როდესაც 2006 წელს მწვანეებმა ხუთ-პროცენტიანი ბარიერის გადალახვაც კი ვერ შეძლეს. კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო რაინლანდ-პფალცში მიღწეული წარმატება, სადაც მწვანეებმა თავიანთი წინა შედეგი თითქმის გაასამმაგეს, მოაგროვეს რა ამომრჩეველთა ხმების 15,4 პროცენტი. ეს შედეგებიც წარმოაჩენს გერმანიაში ბირთვული და ეკოლოგიური პოლიტიკის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას და, განსაკუთრებით, კრიზისულ პერიოდებში, საზოგადოების მიერ მწვანეთა მოთხოვნებთან მნიშვნელოვან სოლიდარობას. ისევე როგორც ჩერნობილის კატასტროფა აისახა დადებითად მწვანეთა მოძრაობაზე, 25 წლის შემდეგ ფუკუსიმას ტრაგედიამაც გაამყარა მწვანეების პოზიციები როგორც გერმანიის პოლიტიკაში, ისე გლობალურად, საზოგადოებრივი აზრის კუთხით. ყველა განსაკუთრებული სამარკო ნიშნის შემთხვევაში ასე ხდება: ეჭვების და ყოყმანის პერიოდებში ავთენტურობა უდიდეს მხარდაჭერას პოულობს.

არ არის გამორიცხული, რომ სამხარეო საპარლამენტო არჩევნებში მიღწეულ წარმატებაზე უფრო მნიშვნელოვანი – ყოველი შემთხვევისთვის, სიმბოლურ დონეზე მაინც – იყო ბადენ-ვიურტემბერგის არჩევნების შემდგომ გამართული მწვანეთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების კოალიციური მოლაპარაკებების შედეგები. იქიდან გამომდინარე, რომ ამ არჩევნებში ხმათა 24 პროცენტით მათ უაღრესად მაღალ შედეგს მიაღწიეს, მწვანეებს მოლაპარაკებებში საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდათ. ისინი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის შემდეგ ყველაზე ძლიერ პარტიად იქცნენ და უკვე საკმარისად იყვნენ საკუთარ თავში დარწმუნებული საიმისოდ, რომ წითელ-მწვანე კოალიციაში შემოებრუნებინათ პოზიციონირება, რომლის ფორმულის მიხედვითაც ისინი თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე მუდმივად უმცროსი პარტნიორის სტატუსს სჯერდებოდნენ. ვინფრიდ კრეჩმანი გახდა პირველი მწვანე პრემიერმინისტრი, ხოლო მწვანეები ტურნირის გამარჯვებულებად – შეიძლება ითქვას, უაღრესად მნიშვნელოვანი ფედერალური მხარის აღმასრულებელი დონის ხელმძღვანელ პირებად იქცნენ[36]. Infratest-Dimap-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფდა, რომ ლანდტაგში წარმოდგენილ ნებისმიერ სხვა პარტიასთან შედარებით, მწვანეები ხმების მნიშვნელოვნად გაზრდილ რაოდენობას მოაგროვებდნენ.[37] ამ კუთხით განსაკუთრებით დაჩაგრული თავისუფალი-დემოკრატიული პარტია აღმოჩნდა, რომელსაც მწვანეებმა 60 000 ამომრჩეველზე მეტი წაართვეს.[38] ანალოგიურად, ქრისტიან-დემოკრატებსაც – 80 000 მწვანეთა მხარეს გადასული ამომრჩევლით – მოუწიათ საგრძნობ დანაკარგებთან შეგუება. მყარად ფეხმოკიდებული პოლიტიკური პარტიების ამომრჩეველთა ხმების ასეთი მასობრივი გადანაცვლებები იმ პარტიისკენ, რომელსაც არც ისე დიდი ხნით ადრე მარგინალურ მოვლენად განიხილავდნენ, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, მწვანეთა სხვადასხვა საკვანძო თემა ამასობაში პოპულარული, სხვანაირად რომ ვთქვათ, „უმრავლესობისუნარიანი“ რომ არ გამხდარიყო.

პოლიტიკური სფეროს მიღმაც კი, ეკოლოგია, მის თანმხლებ მოდურ სიტყვა „მდგრადობასთან“ ერთად, იქცა სამარკო ნიშნად, რომელსაც მუდმივად მიმართავენ საქონლის და მომსახურების უაღრესად ფართო სპექტრის რეკლამირებისთვის: იქნება ეს საკვები პროდუქტი, სამშენებლო მასალა, საბანკო მომსახურება თუ ავტო-

მობილები – მხოლოდ რამდენიმე მაგალითს რომ დავჯერდეთ. მდგრადობაზე ამგვარი აპელირება უკვე იმდენად ბანალური და, საუბედუროდ, უმეტეს შემთხვევაში, იმდენად დამაბნეველია, რომ უკვე რამდენიმე ვებგვერდიც კი შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით – სათანადო შეფასება მისცენ და შესაბამისი ადგილი მიუჩინონ ამ სახის თვითგანდიდებას. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასეთი ვებგვერდის სახელწოდებაა „Klima-Lügendetektor“ (კლიმატური სიცრუის დეტექტორი), რომლის საწყის გვერდზე დასმულია კითხვა: „მოულოდნელად ყველა გარემოს მხსნელი გახდა. მართლა?[39]“

თუმცა, პროდუქტის რეალური სარგებლიანობისგან დამოუკიდებლად, გამოყენების ფორმის ბუნდოვანების ხარისხის მიუხედავად, ისეთი სახელდებები, როგორიცაა „მწვანე“, „მდგრადი“ ან „ორგანული“, უკვე საკმარისია იმისთვის, რომ იმთავითვე დადებითი ასოციაციები გამოიწვიოს. ხშირად გაურკვეველი რჩება, თუ რას ნიშნავს ან რა პრაქტიკული სახე აქვს ამ ცნებებს, თუმცა დღევანდელ გერმანულ დისკურსში ატრიბუტი „მწვანე“ აპრიორულად გულისხმობს ფასდაუდებელ ლეგიტიმაციას და სერიოზულობას. ნებისმიერი მარკისთვის ის წარმატების უმაღლესი გამოხატვის ფორმაა.

მწვანე იდენტობის სულმა და გულმა, გარემოს გადარჩენამ, გერმანიაში იმგვარ კეთილისმყოფელურ მონოპოლიას მიაღწია, რომელიც არანაირ ადგილს არ ტოვებს რაიმე სახის განსხვავებული თვალსაზრისებისათვის.

სამარკო ნიშნის წარმატების განსახიერება გულისხმობს კონკურენტი ბრენდების თითქმის სრულ გამორიცხვას და იმ კონკურენტული ისტორიების მარგინალიზაციას, რომლებიც ლეგიტიმური ალტერნატივის შეთავაზებას ცდილობენ. მათ საკვანძო თემაში – ეკოლოგიაში – მწვანეებმა სწორედ ამგვარი სტატუსი დაიმკვიდრეს. ქებათა ქება მათ!

ქალები და ფენიმიზმი

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ქალები გერმანიის პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ეს ბევრად სცდება ისეთი ცნობილი მემარცხენეების ფიგურებს, როგორებიც იყვნენ კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი, იმის მიუხედავადაც კი, რომ ქალთა უმეტესობა, ისევე როგორც ყველა სხვა მსგავს ინდუსტრიულ საზოგადოებაში, საკუთარი ნების წინააღმდეგ, თუმცა მაინც გარეშე დამკვირვებლების ფუნქციას სჯერდებოდა. მკრეხელობა იქნებოდა, არ გვეხსენებინა ძირითადი კანონის „ოთხი დედა“: ელიზაბეტ ზელბერტი, ფრედერიკე ნადიგი, ჰელენა ვებერი, რომელსაც ვაიმარის კონსტიტუციის შემუშავებაშიც მიუძღვის წვლილი და ჰელენა ვესელი.[40] სწორედ ამ ქალების სახელს უკავშირდება კონსტიტუციის ის ნაწილი, სადაც „მამაკაცების და ქალების თანაბარი უფლებები“ კატეგორიული მოთხოვნის სახით ცალსახადაა გაწერილი და რომელმაც უდიდესი ბიძგი მისცა ქალების ჩართულობას გერმანიის პოლიტიკასა და საზოგადოებრივ საქმეებში.[41] ელიზაბეტ შვარცჰაუპტი, ბუნდესტაგის დეპუტატი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან, გერმანიის ისტორიაში პირველი ქალი, რომელმაც შეძლო გამხდარიყო მინისტრთა კაბინეტის წევრი (1961 წელი), ანემარია რენგერი (სოციალ-დემოკრატიული პარტია), გერმანიის ბუნდესტაგის პირველი პრეზიდენტი ქალი (1972 წელს იქნა არჩეული ამ მაღალ თანამდებობაზე) და ანგელა მერკელი (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერი ქალი, ინკლუზიისკენ სწრაფვის ამ ტენდენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები და ბენეფიციარები არიან.

თუმცა, ტენდენციები და ჟესტები შორსაა იმ ყოველდღიური ნორმისგან, რომელიც პოლიტიკური სისტემის სამივე დონეზე ქალთა წარმომადგენლობის დაბალ ხარისხში ვლინდება, უპირველესად, ეს ფედერალურ დონეს ეხება, სადაც ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით მაღალია. ზემოხსენებული მნიშვნელოვანი მიღ-

წევების მიუხედავად, ქალთა პროცენტული წილი ბუნდესტაგში 1957 წელს 10 პროცენტის ქვემოთ ჩამოვიდა და ამ დაბალ ნიშნულზე 1983 წლამდე რჩებოდა.[42] საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა წარმომადგენლობის ასეთი დაბალი ხარისხი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ძირითადი კანონით გარანტირებულ თანასწორობას და კვლავ და კვლავ ხდებოდა ფემინისტების და მწვანეთა პარტიის მხრიდან მწვავე კრიტიკის საგანი.[43]

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მწვანეებმა, როგორც გვიანი 1960-იანების და ადრეული 1970-იანების ემანსიპაციური მოძრაობის უმნიშვნელოვანესმა ინსტიტუციონალურმა წარმომადგენლებმა, როგორც „ახალი მემარცხენეების“ იდეალურმა წევრებმა, და მათივე ეგიდის ქვეშ ეგრეთ წოდებულმა ქალთა მეორე მოძრაობამ, საზოგადოებრივი ცხოვრება ყველა განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში მანამდე წარმოუდგენელი დოზით შეცვალა და ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკასა და საზოგადოებაში ქალის როლის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში ცალსახა და უცვლელი ლიდერის როლი იტვირთა. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ მწვანეთა პირველ საარჩევნო ვადას ბუნდესტაგში, გერმანიის პარლამენტში, შედეგად ქალთა პროცენტული წილის მატება მოჰყვა.[44]

მწვანეთა მოძრაობის გაძლიერებით, ქალთა უფლებებმა – რომ არ ვთქვათ „ფემინიზმმა“ მისი ყველაზე ექსპლიციტური და რადიკალური ფორმით – გერმანულ პოლიტიკაში მყარად დაიმკვიდრა უფრო მნიშვნელოვანი ადგილი.

მწვანეები იყვნენ პირველი საპარლამენტო პარტია გერმანიის ისტორიაში, რომელმაც ქალთა ღირსეული წარმომადგენლობა პარტიის ორგანოებსა და მის ფრაქციებში გაწერილი წესების საშუალებით უზრუნველყო. პარტია იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, პარტია თავის ვებგვერდზე შემდეგნაირად აყალიბებს: „ქალთა მწვანე დებულებაში გაწერილია, რომ ყველა თანამდებობის და მანდატის მინიმუმ ნახევარი მაინც ქალებზე უნდა მოდიოდეს. ამიტომ გამგეობის არჩევნების ან საპარლამენტო სიების შედგენისას, კენტ ადგილებს ქალები იკავებენ, რაც ნიშნავს იმას, რომ პირველი ადგილი ყოველთვის ქალისთვისაა გათვალისწინებული... ეს ყოველივე ჩვენს პოლიტიკაზეც აისახება: შანსების თანასწორობა მამაკაცებს და ქალებს შორის ჩვენს ერთ-ერთ ცენტრალურ პოლიტიკურ მოთხოვნას წარმოადგენს და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენ გვინდა შევქმნათ საჭირო პირობები იმისათვის, რომ ქალებს პროფესიულ ცხოვრებაში თანასწორი შანსები ჰქონდეთ და ასევე იმისთვის, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში პროფესიული საქმიანობის და ოჯახში ფუნქციების გადანაწილება ქალებსა და მამაკაცებს შორის სამართლიანად ხდებოდეს“.

ამ წესმა მართლაც შესაძლებელი გახადა პარტიის ორგანოებსა და ფრაქციებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაც და გაძლიერებაც, მაგრამ რამდენად იქონია ამან გავლენა სხვა პარტიებზე? მოხდა თუ არა ამ წესის გადაღება მწვანეთა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ?

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გარდა, რომელიც ბოლო ხანებში ძალზე ძლიერ შიდაპარტიულ წნეხს განიცდის, ანალოგიური რეგულაციის დამტკიცების მოთხოვნით, ბუნდესტაგში წარმოდგენილმა ყველა პარტიამ განახორციელა რეფორმები და შეიმუშავა იმგვარი წესები, რომლებიც მათ მწვანეთა ახალი გენდერული მიდგომების ანარეკლად თუ არა, მათ იმიტაციად მაინც აქცევს.[45]

მწვანეთა გენდერული პარიტეტისკენ მიმართულმა განსაკუთრებულმა ძალისხმევამ გერმანიის პოლიტიკურ სისტემაში მყარად მოიკიდა ფეხი და ფართო აღიარება ჰპოვა. აქაც შეგვიძლია გავიმეოროთ ის, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ: არ არსებობს იმაზე დიდი აღიარება და კომპლიმენტი, ვიდრე მიმბაძველობა შენივე პოლიტიკური მეტოქეების მხრიდან.

პირველი პოლიტიკური პარტია ბუნდესტაგში, რომელმაც მხარი აუბა მწვანეებს და მმართველ ორგანოებსა და დელეგაციებში ქალების კვოტა შემოიღო, სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. 1988 წელს მათ ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის 40-პროცენტიანი კვოტა დააწესეს, რაც რეალობაში ნიშნავდა იმას, რომ ქალების რაოდენობა შესამჩნევად უნდა გაზრდილიყო.[46] მართალია, ამ პოლიტიკამ ქალების წილი სოციალ-დემოკრატების საპარლამენტო დეპუტაციაში მართლაც გაზარდა, თუმცა პარტიამ დღემდე ვერ შეძლო სასურველი 40 პროცენტის მიღწევა.[47] 2009 წლიდან მოყოლებული სადეპუტატო მანდატების 38,3 პროცენტი ქალებს ეკუთვნის (მწვანეების შემთხვევაში ეს რიცხვი 54,4 პროცენტს შეადგენს), თექვსმეტივე ფედერალური მხარის პარლამენტში ქალ დეპუტატთა წილი 37 პროცენტია. თუკი ამ ციფრებს ინდიკატორებად დავამატებთ 46 პროცენტს პარლამენტის პრეზიდიუმში და 58 პროცენტს პარტიის ხელმძღვანელობაში, ცხადი გახდება, რომ ქალები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის დონეზე ამასობაში უკვე გადამწყვეტ როლს თამაშობენ.[48]

მწვანეები და სოციალ-დემოკრატები ემხრობიან გათანაბრების კვოტებს კერძო სექტორშიც, პირველ რიგში, დიდი გერმანული საწარმოების მმართველ დონეებზე. იმის მიუხედავად, რომ შესაბამისი კანონი აქამდე არ შესულა ძალაში, პოლიტიკური წნეხი და გენდერული თანასწორობის მზარდი მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან, სულ უფრო მეტ ფირმას აიძულებს, ამ მიმართულებით შესაბამისი რეფორმების გასატარებლად საკუთარი ჯიბიდან გაიღონ თანხები. მათ შორის ყველაზე დიდი და ცნობილია გერმანიის ტელეკომი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ 2015 წლისთვის საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯმენტი 30 პროცენტით ქალებით უნდა იყოს დაკომპლექტებული.[49]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომელიც ამ მიმართულებით ანალოგიურ რეფორმებს ატარებს, არის ver.di (მომსახურების სფეროს გაერთიანებული პროფკავშირი), რომელიც ორ მილიონზე მეტ გერმანელ დასაქმებულს წარმოადგენს. რამდენიმე წლის წინ პროფკავშირმა შემოიღო 50/50 კვოტა ქალებისთვის და მამაკაცებისთვის მენეჯმენტის ყველა დონეზე.[50]

იმის მიუხედავად, რომ წითელ-მწვანე მთავრობებმა გვიან 1990-იანებსა და ადრეულ 2000-ში ფედერალურ დონეზე ვერ მოახერხეს გენდერული თანასწორობის სამართლებრივი რეგულაციების რეალიზება, უკვე ის ფაქტიც, რომ ამგვარი კანონი უმაღლეს სამთავრობო დონეებზე განიხილება, აშკარად მიანიშნებს იმ მაღალ ხარისხზე, რომელიც ქალთა საკითხებმა გერმანიაში – უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში – დიდწილად მწვანეთა ძალისხმევის წყალობით შეიძინეს.

ტრადიციული მემარცხენეების ძველი თეზისის მიუხედავად, რომლის თანახმადაც, დაუღალავი სწრაფვა სოციალიზმისკენ – და, ბუნებრივია, მისი დამკვიდრება – თითქოსდა ავტომატურად და გარდაუვლად გამოიწვევდა ქალთა გათავისუფლებას კაპიტალიზმის ბურჟუაზიული ტირანიის და უსამართლობის უღლისაგან – ვფიქრობთ, არ არის აუცილებელი ამ ნაშრომში იმის წარმოჩენა, თუ რამდენად უმნიშვნელო წვლილი შეიტანა „რეალურად არსებულმა სოციალიზმმა“ და „რეალურად არსებულმა სოციალ-დემოკრატიამ“ ქალის ჭეშმარიტ გათავისუფლებაში; ეს, მათ შორის, ეხება როგორც ტრადიციული მემარცხენეების ინსტიტუციურ მოწყობას, ისე მათი აქტივობის არენას. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ: მაშინ, როდესაც ისინი ქალების გათავისუფლებას პროლეტარიატის გათავისუფლების უბრალო თანამდევ მოვლენად განიხილავდნენ, ძველ მემარცხენეებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ იმ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სექსიზმის აღმოსაფხვრელად, რომელშიც თვითონვე არსებობდნენ და მოქმედებდნენ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მათ თვითონვე მოირგეს ბურჟუაზიული კულტურის მრავალი ასპექტი, მათ შორის – სექსიზმიც.[51]

აქედან გამომდინარე, პარტიაში ქალთა კვოტის არსებობას მემარცხენეთა პარტია სწორედ მწვანეთა მემკვიდრეობას და საზოგადოებრივ გავლენას და ახალ მემარცხენეთა გარემოცვას უნდა უმადლოდეს და არ უნდა აპელირებდეს იმაზე, რომ ხსენებული ღირებულებები ძველი მემარცხენეების ტრადიციების შედეგს წარმოადგენს, იმ ძველი მემარცხენეებისა, რომელსაც ეს პარტია, როგორც ისტორიული, ისე კულტურული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ დღემდე მიეკუთვნება.[52] 1990 წლიდან მოყოლებული, როდესაც მემარცხენეთა პარტია პირველად შევიდა ბუნდესტაგში (იმ დროს „დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის“ სახელით) მათ ფრაქციას გერმანიის პარლამენტში არასოდეს ჰქონია 43,3 პროცენტზე დაბალი ქალთა კვოტა. როდესაც პარტიამ 2002-2005 წლებში დროებით დაკარგა ფრაქციის სტატუსი ბუნდესტაგში, მას მხოლოდ ორი ქალი – პეტრა პაუ და გეზინე ლიოჩი წარმოადგენდა, რომლებმაც სადეპუტატო მანდატები ბერლინის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით მოიპოვეს.

მეთოდი, რომლითაც მემარცხენეები ქალთა წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ, ძალიან წააგავს თავის დროზე მწვანეთა მიერ გამოყენებულ მიდგომებს და ერთ-ერთი მოთხოვნის სახით ადგენს საფუძვლიანი დასაბუთების აუცილებლობას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობების დაკავებისას არ ხდება 50/50-ზე პრინციპის დაცვა. პარტიული კულტურა მოითხოვს, რომ ამ ტიპის შეუსაბამობები არა მარტო განიმარტოს და დასაბუთდეს, არამედ ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რათა ისინი თავიდან იქნას აცილებული.[53]

და ქრისტიან-დემოკრატები? ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი ქალების შესამჩნევი წარმატებების მიუხედავად, 1980-იანი წლების ბოლოს ბუნდესტაგში ხსენებული პოლიტიკური პარტიის დეპუტაცია ქალებით მხოლოდ 8 პროცენტზე ნაკლებით იყო დაკომპლექტებული.[54] ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წევრებს, ისევე როგორც პარტიის ხელმძღვანელ პირებს შორის ეს პრობლემა დროთა განმავლობაში შეუმჩნეველი ვეღარ დარჩებოდა და ქდკ-მა თავის 1996 წლის პარტიულ ყრილობაზე ჰანოვერში მიიღო გადაწყვეტილება, შემოეღოთ დროებითი რეგულაცია ქალთა კვორუმის შესახებ, რომელიც 2001 წელს განუსაზღვრელი ვადით იქნა განახლებული.[55] პარტიის მიერ ერთი წლის შემდეგ, ზაფხულში დარიგებულ ბროშურაში ქდკ-მა ქალთა კვორუმის დეკლარირება შემდეგი სახით მოახდინა: „ჩვენ კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა ვიმუშაოთ ქალთა ჩართულობასა და ხელშეწყობაზე ჩვენი პარტიის ყველა დონეზე. ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა პარტიის ყველა დონისთვის. ქალთა წილი ქდკ-ის რიგებში, რომელიც დღესდღეობით დაახლოებით 25 პროცენტს შეადგენს, ძალზე დაბალია. ქალები ასევე უმცირესობაში არიან ჩვენი პარტიის თანამდებობის პირებს და დეპუტატებს შორის. პრინციპი, რომელსაც ჩვენ მყარად გავატარებთ, შემდეგია: ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პარტიული თანამდებობების და სადეპუტატო მანდატების ერთი მესამედი მაინც უნდა მოდიოდეს ქალებზე“.[56]

1994-1998 წლების საკანონმდებლო ვადაში ქრისტიან-დემოკრატების დეპუტაციის 13 პროცენტს ქალები შეადგენდნენ.[57] ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2002-2005 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ქდკ-ის მანდატების 23 პროცენტი ქალებზე გადანაწილდა. მიმდინარე საკანონმდებლო პერიოდისთვის ამ მაჩვენებელმა კვლავ იკლო და 20 პროცენტამდე ჩამოვიდა.[58] იმის მიუხედავად, რომ დღეს ადრინდელის მსგავსად ქდკ-ში აშკარა გენდერული დისბალანსია, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა კვორუმმა ქალებისთვის პარტიაში გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო. ამ შემთხვევაშიც, მწვანეების „თავდასხმების“ გარეშე ალბათ შეუძლებელი იქნებოდა რაიმეს ამოძრავება.

რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ, პოლიტიკის და საზოგადოების ყველა დონეზე ქალთა თანაბარი წარმომადგენლობისთვის

ბრძოლის იდეა ცალსახად მწვანე წარმომავლობისაა.

ქრისტიან-სოციალურ კავშირსაც კი მოუწია მწვანეების მიერ ინიცირებულ ქალთა პოლიტიკასთან დაპირისპირება. 2010 წელს პარტიამ გადაწყვიტა ქდკ-ის მსგავსი სისტემის შემოღება, რომლის მიხედვითაც – რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს – ქალები პარტიაში ქდკ-ზე უფრო მაღალი პროცენტით უნდა იყვნენ წარმოდგენილები: ქსკ-ის დირექტივის მიხედვით, სამხარეო და ადგილობრივ დონეზე პარტიული თანამდებობების 40 პროცენტს ქალები უნდა იკავებდნენ.[59] რთულია წინასწარი შეფასების გაკეთება, თუ რამდენად დიდი გავლენა ექნება ამ რეგულაციას პარტიის შიგნით, რადგან მისი დამტკიცების შემდეგ, არც ფედერალურ დონეზე და არც ბავარიის ფედერალურ მხარეში არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა. როგორც არ უნდა იყოს, ქსკ-ს გამოსწორებისთვის საკმაოდ დიდი სივრცე აქვს: ბუნდესტაგში ქსკ-ის 44 დეპუტატიდან მხოლოდ ექვსია ქალი.

ასეა თუ ისე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ქსკ-ს ქალთა კვოტა შემოიღებდა სხვა პარტიებში ანალოგიური მაგალითების და, ამავე დროს, გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ მზარდი საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე.

მაშინაც კი, თუ თავისუფალი დემოკრატიული პარტია ნებისმიერი სახის, ამ შემთხვევაში, ქალთა კვოტის ან კვორუმის შემოღებას უარყოფს (რაც ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს მათი პოლიტიკური ფილოსოფიიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, ლიბერალიზმის ფუნდამენტად მოწიფული (თითქმის მხოლოდ მამრობითი სქესის) და „თავისუფალ“ ბაზარზე აქტიური ინდივიდის ფენომენი განიხილება და პარტიაც სწორედ ამგვარი ინდივიდის იდეას ეფუძნება), შეიძლება ითქვას, რომ ამასობაში პარტიამ ხმამაღალი განცხადებების გარეშე ქალთა რაოდენობა პარლამენტში უკვე საგრძნობლად გაზარდა. 1983 წელს, როდესაც მწვანეები ბუნდესტაგში შევიდნენ, თდპ-ის 35 დეპუტატიდან მხოლოდ 3 იყო ქალი, რაც მხოლოდ 8,6 პროცენტს შეადგენს.[60] 1990 წლისთვის პროცენტული წილი უკვე 20,3 პროცენტამდე გაიზარდა.[61] სადღეისოდ ბუნდესტაგში თდპ-ის დეპუტატთა 24,7 პროცენტს ქალები შეადგენენ, რაც აშკარად აღემატება ქდკ-ის და ქსკ-ის ანალოგიურ მაჩვენებლებს და ეს ამ უკანასკნელთა დებულებების და დირექტივების მიუხედავად, რომლებიც ქალთა მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

1994 წელს თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ 1990 წელს დაფუძნებული „ლიბერალი ქალები“ პარტიის ოფიციალურ ქალთა ორგანიზაციად აღიარა.[62] ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც 2011 წელს საგრძნობი უსიამოვნებები მოხდა ლიბერალ ქალებსა და „თდპ-ის მამაკაცურ მმართველ გუნდს“ შორის, რომელიც ზოგადად პარტიაში ქალებთან დამოკიდებულებას და განსაკუთრებით კი შიდაპარტიული ქალთა კვოტის განსაზღვრას ეხებოდა.[63] ლიბერალი ქალების ფედერალურმა თავმჯდომარემ იანვარში თავისუფალი დემოკრატიული პარტია შემდეგნაირად დაახასიათა: „თდპ მამაკაცთა გაერთიანებაა. თუკი თქვენ ლიბერალი ქალების რიცხვს მიეკუთვნებით, უნდა იცოდეთ, რომ ამ პარტიაში საოცრად დიდ წინააღმდეგობასთან მოგიწევთ გამკლავება“. ამ კრიტიკას თდპ-ის წევრი სხვა გამოჩენილი ქალებიც დაეთანხმნენ, მათ შორის, ლიბერალი ქალების ფედერალური თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ბრიგიტე სუზანე პოპელი. პოპელი 2012 წელს გადადგა პარტიული თანამდებობიდან და პარტია დატოვა, „*Süddeutsche Zeitung*“-თან ინტერვიუში კი საკუთარი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ „თავისუფალ-დემოკრატიულ პარტიაში ქალების და ოჯახების მიმართ მტრულად განწყობილი ტონი დომინირებს როგორც კომუნალურ, ისე სამხარეო და ფედერალურ დონეზე“.[64]

თდპ-ის მიმართ გამოთქმული ეს კრიტიკა ტონალობით და შინაარსით ძალიან ჰგავს იმ პრეტენზიებს, რომლებსაც მწვანეები ადრეულ 1980-იანებში მთელ გერმანულ პოლიტი-

კურ სისტემას უყენებდნენ. ამ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის მცირე, მაგრამ ქმედით საშუალებად მწვანეები კვოტების სისტემის შემოღებას მოიაზრებდნენ, რომელიც ქალებს პოლიტიკური წინსვლის შესაძლებლობას მისცემდა; ამის საშუალებას კი იმდროინდელი სიტუაცია არანაირად არ იძლეოდა. მწვანეების მიერ გასული სამი ათწლეულის განმავლობაში ამ მიმართულებით მიღწეული წარმატების არსებითი ინდიკატორია ის ფაქტი, რომ ისეთი ჯგუფი, როგორიცაა „ლიბერალი ქალები“, გენდერული თანასწორობის სისტემას მიესალმება და ამით, საბოლოო ჯამში, მწვანე იდეას და პოლიტიკას იზიარებს.[65]

იდეა, რომ წარმომადგენლობის არსებითი ხარისხის უზრუნველსაყოფად ძირითადი კანონით ფორმალურად გარანტირებული ქალთა თანასწორობა კვოტების შემოღებას საჭიროებდა, საკუთარ არსებობას მწვანეებს უნდა უმადლოდეს, რადგანაც გერმანულ პოლიტიკაში – და მის ფარგლებს გარეთაც – პირველებმა სწორედ მათ დააფიქსირეს ეს მოთხოვნა; დააფიქსირეს კონკრეტულად და კონცეპტუალურად.

მშვიდობა და პაციფიზმი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გარემოს დაცვის მსგავსად მშვიდობის თემაც განსაკუთრებულ პოლიტიკურ იდეოლოგიად და საზოგადოების მობილიზაციის მახასიათებლად ჩამოყალიბდა. უპირველესად, ეს პროცესი მემარცხენე და ალტერნატიულ წრეებს შეეხო. ბუნდესვერის კვლავ შეიარაღების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციებით დაწყებული, ყოფილი დასავლეთ გერმანიის ნატოში გაწევრიანებით, გერმანიის ტერიტორიაზე 1950-იან და 1960-იან წლებში ატომური იარაღის განთავსების და ვიეტნამის ომის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი საპროტესტო აქციებით და 2011 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებით გაგრძელებული – სახელმწიფოს მხრიდან სამხედრო ძალის გამოყენების და მსგავს კამპანიებში გერმანელების ჩართულობის მიმართ მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ მახასიათებლად იქცა: კერძოდ, მოსახლეობის უმრავლესობის ფუნდამენტურ კრედოდ, რომელიც არ უშვებს არანაირ ეჭვს თუ კითხვას. შესაძლოა, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანიის ომებისაკენ ლტოლვა იქცა იმის მიზეზად, რომ დღევანდელი გერმანელები ხშირად ძალზე კომფორტულ, რისკების მიმართ სიფრთხილით ნიშანდებულ სამხედრო თავშეკავებას ანიჭებენ უპირატესობას. მაშინაც კი, როდესაც პაციფიზმმა მისი ყველაზე კატეგორიული გაგებით – ნებისმიერ გარემოებებში ნებისმიერი სახის და ფორმის ძალადობაზე კატეგორიული უარის თქმა – 1990-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე მოვლენების პროცესში საკუთარი მნიშვნელობა გარკვეულწილად დაკარგა, გერმანიის მოსახლეობაში სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული სკეპტიციზმი დღემდე მყარადაა ფეხმოკიდებელი – ამ დამოკიდებულებას, ბუნდესტაგში წარმოდგენილი ყველა პარტია იზიარებს.[66]

მწვანეები ამ მიმართულებითაც პირველ ადგილს იკავებენ. დაარსების დღიდან მწვანეთა პარტია მშვიდობის ურყევ ადვოკატად გვევლინებოდა – თუკი მხედველობაში არ მივიღებთ, მათ შორის, მწვანეთა რიგებშიც არსებულ სიმპათიებს ცალკეული ეგრეთ წოდებული განმათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ; თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამგვარი კატეგორიული მიდგომა შეასუსტა 1990-იანი წლების სასაკლაომ ყოფილ იუგოსლავიაში. სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივმა ჟლეტამ მწვანეთა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების წევრთა დიდი ნაწილი აიძულა, დაფიქრებულიყვნენ, თუ რამდენად თავსებადი იყო მათი ძველი მანტრას პირველი ნახევარი „აღარასოდეს ომი!“ მის მეორე ნახევართან „აღარასოდეს აუშვიცი!“.[67]

ამ დილემას თამაშში შემოჰყავს კიდევ ერთი, ანალოგიურად მგრძნობიარე საკითხი, რომელიც მწვანეთა მოძრაობის წარმოშობისთანავე პარტიაში ცენტრალურ როლს თამაშობდა: ადამიანის უფლებების უზენაესობისა და უნივერსალურობის საკითხი. იმაზე, რომ ადამიანის უფლებები მწვანეებისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია და არ არის მხოლოდ ერთ-ერთი თემა საკვირაო მოხსენებებში, მოწმობს მწვანეთა ინიციატივა გერმანიის მოქალაქეობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. კანონი, რომელიც 2000 წლამდე „წარმომავლობის პრინციპს“ (Jus Soli) ეფუძნებოდა, დღესდღეობით „საცხოვრებელი ადგილის პრინციპის“ (Jus Sanguinis) გონივრულ ელემენტებს შეიცავს და – იმის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიურ კანონმდებლობამდე ჯერ ბევრი აკლია – ცნებას „გერმანელი“ ახლებურ დეფინიციას აძლევს.

მაშინაც კი, როცა მწვანეთა პარტიაში პაციფისტური განწყობა ოდნავ გაფერმკრთალდა, განსაკუთრებით 1998 წლიდან სამთავრობო პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შემდეგ, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების და სამხედრო ძალადობის მიუღებლობის პრიორიტეტულობა მაინც დარჩა მწვანეების მრწამსის ცენტრალურ მცნებებად. ნებისმიერი სახის ძალის გამოყენება უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს საშუალებას; ძალის გამოყენება მხოლოდ კატეგორიულად შეზღუდული ფორმით და მხოლოდ იქ არის დასაშვები, სადაც გენოციდის ან ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების აუცილებლობა დგას.[68]

მშვიდობა გერმანელი მწვანეებისთვის ცენტრალური თემაა. პოზიციები, რომლებსაც 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე მწვანეები და, გულახდილები რომ ვიყოთ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის უმრავლესობა – ანუ ერთიანად გერმანელი მწვანე და წითელი მემარცხენეები – ნებისმიერი სახის საომარ კამპანიებთან დაკავშირებით იკავებდნენ, „არ ემთხვეოდა ანალოგიური პარტიების მიდგომებს სხვა ქვეყნებში, მაგალითად, როგორებიცაა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი“.[69] ამგვარმა მიდგომამ ეჭვებით აღსავსე და მხოლოდ დროებითი მოდიფიკაცია განიცადა 1995 წელს სერბეთის არმიის მიერ სრებრენიცაში 8 000 მუსლიმი ვაჟის და მამაკაცის სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის – მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში უმძიმესი გენოციდური აქტის შედეგად. საკუთარ პარტიულ პროგრამაში პაციფიზმის ცალსახა მხარდაჭერის მიუხედავად, ბუნდესტაგში მწვანეთა პარტიის დეპუტატთა ნახევარმა გერმანიის სამხედრო ჩარევას ბოსნიაში მხარი დაუჭირა.[70] სინამდვილეში, თვით მემარცხენე პარტიაც კი უიმედოდ უყურებდა ბოსნიის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას: „შიდაპარტიული დისკუსიების ამსახველი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ პარტია აღიარებდა, რომ არ ჰქონდა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სერბების შეჩერება და სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა“.[71]

ამ შიდაპარტიული დაპირისპირების პროცესში იოშკა ფიშერმა, წითელ-მწვანეების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და მრავალი წლის განმავლობაში პარტიის მთავარმა ორატორმა, მწვანეთა რიგებში ხსენებულ კონფლიქტთან დაკავშირებით თორმეტგვერდიანი ღია წერილი გამოაქვეყნა (დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს წერილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიის პოლიტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჯარო დოკუმენტია). ფიშერის ხედვით, გარკვეული, შესაძლოა ერთეული ისტორიული გარემოებების პირობებში, რომლებიც, მისი აზრით, სრულად მიესადაგებოდა გენოციდის სიტუაციას ბოსნიაში, აუცილებელია, მშვიდობის წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი აღიარება დროებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას უფრო უზენაესი ფასეულობის, კერძოდ, ათასი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუნდაც სამხედრო ინტერვენციის საშუალებით. თუკი გერმანიის ისტორიის შემ-

ზარავი ეპიზოდები ახალგაზრდა გერმანელებისთვის თვალსაჩინო მაგალითი იყო იმისთვის, რომ მათ ომზე უარი ეთქვათ და ნებისმიერ გარემოებებში მშვიდობა უზენაეს ღირებულებად ეღიარებინათ, მაშინ ომის იგივე საშინელებები მათ უდანაშაულო სამოქალაქო პირების გენოციდის ზიზღსაც ასწავლიდა და დაანახებდა, რომ ყველა შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული ამის თავიდან ასაცილებლად.[72]

ფიშერის წერილმა დიდი დებატები ააგორა, რომლებიც მნიშვნელოვნად გასცდა მწვანეთა პარტიის საზღვრებს და მწვანე წრეებს და გერმანიის ინტელექტუალური და პოლიტიკური ცხოვრების დიდი ნაწილი მოიცვა. და, თავისთავად ცხადია, ფიშერის გამონათქვამები მწვანე თანამეგობრობის რიგებშიც არ დარჩენილა დაპირისპირების გარეშე. მწვანეთა პარტიის ასევე გამოჩენილი მმართველი პირებისგან – კერსტინ მიულერი, კლაუდია როტი, ლუდგერ ფოლმერი და იურგენ ტრიტინი – შემდგარმა კვარტეტმა ფიშერს ანალოგიურად გრძელი წერილით უპასუხა, სადაც ავტორები ასაბუთებდნენ, თუ რატომაა, მათი აზრით, სამხედრო ძალადობაზე კატეგორიული უარის თქმის პრინციპის შემდგომში გატარებაც არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით გონივრული, არამედ – რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – როგორც მწვანეებისთვის, ისე ყველა გერმანელისთვის და მთლიანად გერმანიისთვის, ერთადერთი მორალურად გამართლებული და მისაღები მიდგომა. ხსენებული წერილი მრავლისმთქმელი ფრაზით იყო დასათაურებული: „სადამდე მიგვიყვანს გენოციდის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო ჩარევის მოთხოვნა?“[73] წერილში ჩამოყალიბებული არგუმენტაცია ძირითადად „ზვავის ეფექტზე“ იყო აგებული: ამგვარი მიდგომით, შესაძლებელია, შეუქცევადად მოხდეს საკუთარ თავზე ვალდებულების აღება, რომ გერმანია ყველა იმ კონფლიქტში ჩაერევა, რომელსაც გაერო გენოციდის კვალიფიკაციას მისცემს; ამასთან, წერილის ავტორები ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ ხსენებული კონფლიქტების ტიპოლოგია ხშირად ძნელად თუ იძლევა მათი სამოქალაქო ომებისგან ან სხვა სახის რეგიონული კონფლიქტებისგან განსხვავების საშუალებას.[74] წერილის ავტორები უაღრესად სკეპტიკურად უყურებდნენ გერმანიის ჯარების მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში წარგზავნის იდეას და ემუდარებოდნენ ყველას, რომ არასოდეს დაეშვათ პრეცედენტული სიტუაციის შექმნა, რომელიც ქვეყანას მომავალში ამ ტიპის სამხედრო მოქმედებებში რეგულარულ მონაწილეობამდე მიიყვანდა.

1999 წლის გაზაფხულზე ნატოს ომი სერბეთის წინააღმდეგ კოსოვოს კონფლიქტის გამო, მწვანეთა პაციფისტური პრინციპებისთვის კიდევ ერთ დარტყმად იქცა. ბოლოს და ბოლოს, მწვანეთა პარტია ამ პერიოდში სამთავრობო კოალიციის წევრი, იოშკა ფიშერი კი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და, ამავდროულად, ვიცეკანცლერი იყო. მოულოდნელად, უშუალობის და გადაუდებლობის კონტექსტში მოექცა ალტერნატივები: პაციფიზმი თუ ჰუმანიზმი, მშვიდობა თუ სამხედრო ინტერვენცია – ის, რაც მწვანეებს 1983 წლის მარტის ბედნიერ დღეს, როდესაც ისინი პირველად შევიდნენ ბუნდესტაგში, ალბათ აზრადაც არ მოუვიდოდათ. თუმცა საკუთარმა პოლიტიკურმა წარმატებამ ისინი გერმანიის და მთელი ევროპის ძალაუფლების ცენტრში გადატყორცნა. ალტერნატიული, შეიძლება ითქვას, ჰიპური გარემოცვის ბედნიერი ეპოქა, როდესაც ადვილი იყო ლაპარაკიც და მოქმედებაც, სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა. Hic Rhodos, hic salta! და მართლაც, წითელ-მწვანე[75] მთავრობამ, სოციალ-დემოკრატების და მწვანეების ხელმძღვანელობით, 1999 წელს მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: გერმანიას, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას, მონაწილეობა მიეღო ქვეყნის – იუგოსლავიის და ქალაქის – ბელგრადის წინააღმდეგ „დაბომბვით ბრძოლაში“. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, რომელზეც 1941 წელს ნაცისტური გერმანიის ლუფტვაფემ[76] მიიტანა საჰაერო იერიში.

მისიები, რომლებიც ამ საომარი კამპანიის დროს გერმანულმა საბრძოლო თვითმფრინავებმა განახორციელეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის შეიარაღებული ძალების პირველი აქტიური მონაწილეობა იყო სამხედრო კონფლიქტში.[77]

მოცემული ესეს ფორმატი არანაირად არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დეტალურად გავაანალიზოთ მწვანეთა შიდაპარტიული დებატები, ერთი მხრივ, 1999 წლის გაზაფხულზე სერბეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მორალური ვალდებულების და, მეორე მხრივ, იმავეს გაკეთებისგან ნებისმიერ გარემოებებში თავის შეკავების ასევე კატეგორიული მორალური ვალდებულების ირგვლივ. საკმარისი იქნება იმის თქმაც, რომ ომის შემდგომი ევროპის ისტორიაში იშვიათად თუ იყო შესაძლებელი ისეთი შიდაპარტიული დებატების თვალყურის დევნება, რომელიც ესოდენ ღრმა რწმენით, რიტორიკული ბრწყინვალეებით, საოცარი ემოციურობით – საუბედუროდ, დროდადრო, ასევე შეუფერებელი სიმწვავით და შეურაცხყოფებით მიმდინარეობდა, როგორიც გერმანიის მწვანეთა პარტიის რიგებში იმ გაზაფხულზე მიდიოდა. ძალიან ბევრი გერმანელისგან გაიგონებდით დღეს უკვე შაბლონად ქცეულ „აღარასოდეს ომი!“ ან „აღარასოდეს აუშვიცი!“. იმ დროს ნებისმიერი ყურადღებიანი დამკვირვებლისთვის ცხადი იყო, რომ მწვანეები ორივე კრედოს უჭერდნენ მხარს და რომ (ყოველი შემთხვევისთვის, დროებით) წარმოშობილი შეუსაბამობა პარტიული იდენტობის განმსაზღვრელ ამ ორ პრინციპულ მრწამსს შორის, ბევრისთვის საკუთარ სინდისთან ბრძოლის და შინაგანი ტანჯვის მიზეზს წარმოადგენდა.

მრავალრიცხოვანი შემთხვევის მიუხედავად, როდესაც ფედერალური მთავრობა გერმანელ ჯარისკაცებს უცხოეთში გზავნიდა, ეს გადაწყვეტილება არასოდეს იყო მარტივი, მას მუდმივად სდევდა თან უკიდურესი დაპირისპირება და ძლიერი წინააღმდეგობა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მშვიდობის იდეის აბსოლუტურ ცენტრალურ ადგილს გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც მნიშვნელოვნად სცდება მწვანეთა პარტიის ფარგლებს. ჯერ კიდევ 2012 წელს, როდესაც ნატოს ინტერვენცია ლიბიის კონფლიქტში უკვე თითქმის კარსმომდგარ რეალობას წარმოადგენდა, ქდკ/ქსკ-ის და თდპ-ის კოალიციურმა ფედერალურმა მთავრობამ ცალსახად გამოავლინა მშვიდობის პრაქტიკულად ნებისმიერ ფასად შენარჩუნების ნება: ამოწურა რა ყველა არაძალისმიერი პერსპექტივა, ბოლოს, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მიერ ლიბიაში სამხედრო მოქმედებების ავტორიზაციის რეზოლუციისთვის ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.[78] ამგვარად, გერმანიის კონსერვატორების მიერ მართული მთავრობაც კი – ან, შესაძლოა, სწორედ ეს მთავრობა – სარისკო ქმედებას ჩადის, უშვებს რა იმის შესაძლებლობას, რომ განარისხოს პარტნიორები ნატოსა და ევროკავშირში (როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, საფრანგეთი) იმით, რომ უარს ამბობს მათი სამხედრო კამპანიების საჯარო სანქციონირებაზე, რომ არაფერი ვთქვათ მათში მონაწილეობის მიღებაზე; რადგანაც იცის, რომ ამგვარი უარყოფითი მიდგომით გერმანიის მოსახლეობის დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს.

გიდო ვესტერველე, შავ-ყვითელი ფედერალური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტს შემდეგნაირად აღწერს: „გერმანიის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის პოლიტიკაა“.[79]

ეს ყველაფერი კარგი, გარდა ერთისა: ამგვარ მიდგომაში ახალი არაფერია და მოწმობს გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირეულ პრინციპს, რომელსაც პოლიტიკური ფერების და იდეოლოგიების მიუხედავად, მთავრობები სტაბილური და მშვიდი უწყვეტობით იზიარებენ. უფრო რომ დავკონკრეტდეთ: საგარეო საქმეთა მინისტრი ამ სიტყვებს დაესესხა სოციალ-დემოკრატების და მწვანეების 1998 წლის კოალიციური შეთანხმების პირველივე წინადადებას ამ დოკუმენტის საგარეო პოლიტიკის ნაწილში.[80] ჩვენ არ გვინდა, მინისტრი

პლაგიატში დავადანაშაულოთ. ეს სიტყვები მხოლოდ ერთ რამეს ცხადყოფს: თუ რამდენად ზეპარტიული ფენომენია გერმანულ პოლიტიკაში მშვიდობის მხარდაჭერა, რომელშიც მწვანეები დღეს უკვე აღარ წარმოადგენენ რაიმე სახის განსაკუთრებულ მოვლენას, რაზეც ნამდვილად არ იტყოდნენ უარს; მწვანეები სადღეისოდ ჩვეულებრივ ნორმად და უინტერესო ცენტრის წარმომადგენლებად გვევლინებიან.

იმავე ინტერვიუში, რომელშიც ვესტერველე ზემოთ ციტირებულ ფრაზას ახმოვანებს, ის ასევე აცხადებს, რომ „გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლტიკის ხაზი ნებისმიერ სამხედრო ჩარევას მხოლოდ უკიდურეს საშუალებად განიხილავს“.[81]

მაშინაც კი, როდესაც მწვანეები სამხედრო ინტერვენციებს ჰუმანიტარული მიზნებით მოთმინებით მოეკიდებიან ან სრულიადაც მხარს დაუჭერენ მათ, ისინი უპირობოდ იტყვიან უარს ნებისმიერი შეიარაღებული კონფლიქტის მხარდაჭერაზე, რომელსაც თვითნებურად ან ოპორტუნისტულად მიიჩნევენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მწვანეებმა მყისიერი და კატეგორიული უარი განაცხადეს გერმანიის მონაწილეობაზე ამერიკის ბოლო ომში ერაყის წინააღმდეგ,[82] გარდა ამისა, სკეპტიკურად უყურებენ გერმანიის ჩართულობას ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ავღანეთში წარმოებულ ომში და ეწინააღმდეგებოდნენ ნატოს მიერ ლიბიაში წარმართულ საბრძოლო კამპანიას.

აღსანიშნავია ასევე გერმანიაში საერთო სამხედრო ვალდებულების გაუქმება. ამ გადაწყვეტილებაში მწვანეთა დამსახურება და წვლილი ძნელია სათანადოდ შეაფასო. მათთვის ამ კანონის მიღება ძალადობაზე უარის თქმის და მშვიდობის ოცდაათწლიანი კამპანიის კულმინაციას წარმოადგენს, რომლისთვისაც გერმანია მეტად ხელსაყრელი ნიადაგი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომაა, რომ მწვანეთა განცხადება ამ მოვლენასთან დაკავშირებით შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „ხუთშაბათს ბუნდესტაგმა, 2011 წლის სამხედრო კანონმდებლობაში ცვლილების შესახებ კანონის მიღებით, მხარი დაუჭირა 2011 წლის 1-ლი ივნისიდან საერთო სამხედრო ვალდებულების გაუქმებას. სამხედრო ვალდებულების გაუქმება გერმანიაში არის ისტორიული, დიდი ხნის წინ მომწიფებული ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ერთმნიშვნელოვნად მივესალმებით“.[83]

გამოკითხვების შედეგები ცხადყოფს, რომ მშვიდობის თემას გერმანიაში უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ზოგადად ევროპაში. „ევრობარომეტრის“ 2008 წლის ნოემბერში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მთელი ევროპის მასშტაბით მშვიდობას უმნიშვნელოვანეს ფასეულობად გამოკითხულთა 48 პროცენტი მიიჩნევს.[84] გერმანიაში 2009 წლის ნოემბერში ჩატარებულმა გამოკითხვამ იმავე საკითხის შესახებ, აჩვენა, რომ მშვიდობა გერმანელთა 61 პროცენტისთვისაა უზენაესი ფასეულობა.

მართალია, ბუნდესვერი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე სამხედრო კამპანიებში იღებს მონაწილეობას, მაგალითისთვის, და პირველ რიგში, ავღანეთში, მაგრამ ამ ოპერაციების მოცულობა გერმანიის მთავრობის მიერ მნიშვნელოვნად იზღუდება და მცირდება, კერძოდ კი, იმდენად, რომ მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი და ცალსახად ნაკლები მასშტაბების იყოს, ვიდრე ბრიტანული, ფრანგული ან ნატოს წევრი სხვა ქვეყნების ჯარების ჩართულობა, აღარაფერს ვამბობთ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებზე.

მოკლედ რომ ვთქვათ: სამხედრო კამპანიები გერმანიის საზოგადოებაში ადრეც და დღესაც უაღრესად არაპოპულარულია და არ არსებობს არანაირი ნიშნები იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა ახლო მომავალში შეიცვლება.

ის ფაქტი, რომ მეტ-ნაკლებად ორთოდოქსალური პაციფისტური დოქტრინის მხარდაჭერა მწვანეთა იდეოლოგიის და იმიჯის ნაწილს უკვე აღარ წარმოადგენს,

შეიძლება იმით აიხსნას, რომ ის წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებებთან, რომელთა დაცვაც მწვანეებს ასევე საკუთარ ვალდებულებად მიაჩნიათ. მწვანეები მომავალშიც გამოვლენ პრევენციული ომების, თვითნებური ომებისა და ნაციონალური ინტერესების რეალიზაციაზე მიმართული ომების წინააღმდეგ – იმის ღრმა რწმენით, რომ ამგვარი ომები არაეფექტურ პოლიტიკურ სტრატეგიას წარმოადგენს და ადამიანურობის საწინააღმდეგო ქმედებაა, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, მწვანეთა რადიკალური პაციფიზმი ზედმეტად იქცა, რადგანაც გერმანიაში მყარად ფეხმოკიდებულმა ზიზღმა ომის მიმართ, უკვე დიდი ხანია განაპირობა საზოგადოების და კულტურის მიერ პაციფისტური იდეების გათავისება. ისევე, როგორც არაფერი „მწვანე“ აღარაა ბუნების მიმართ სიყვარულში, ანალოგიურად მცირეა მწვანე წილი საზოგადოებრივ ღირებულებებში კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის კუთხით. პაციფიზმი გერმანულ დემოკრატიაში დავის საგანს აღარ წარმოადგენს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ნაციზმის პერიოდის შემდგომ სწორედ ესაა გერმანიის უდიდესი წვლილი ევროპის კულტურასა და ცივილიზაციაში. თუმცა, სამწუხაროდ, სწორედ ამ მაღალ ღირებულებებს იყენებენ გერმანელები მორალურ ტრიბუნად, რომლიდანაც ისინი სხვა ქვეყნებს – ყველაზე მეტად, ამერიკელებსა და ებრაელებს, თუმცა ასევე სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც ომებს აწარმოებენ – ნაკლებად კეთილშობილური ღირებულებების მხარდაჭერისთვის ქედმაღლურად და ამპარტავნულად განიკითხავენ. ისტორიულადაა განპირობებული, რომ გერმანული სულისთვის განსაკუთრებული მალამოა იმის შეგრძნება, რომ ის მორალური თვალსაზრისით ამერიკელებზე და ებრაელებზე უფრო მაღლა დგას. აქედან გამომდინარე, ის შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ ეს ფაქტი მთელ მსოფლიოს – და, უპირველესად, საკუთარ თავს – კიდევ ერთხელ შეახსენოს.[85] ამის დამალვაც არ შეიძლება.

საბაზისო დემოკრატია

არსებობის ადრეულ წლებში მწვანეთა პარტია საკუთარ თავს ახალი სოციალური მოძრაობების და, ამავე დროს, ახალი მემარცხენეების გარემოცვის საპარლამენტო წარმომადგენლობად და პოლიტიკურ გაგრძელებად მოიაზრებდა. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მწვანეთა ამგვარი თვითშეფასების და თვითიდენტიფიკაციის მიუხედავად, მათ გერმანიის საზოგადოებაც ასეთად აღიქვამდა. გვიან 1960-იანებში პრაქტიკულად ყველა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების პოლიტიკურ სცენაზე ახლადმოვლენილი მოძრაობის განუყოფელი ატრიბუტი იყო კრედო, რომლის მიხედვითაც, „ახალი“ პოლიტიკა არა მარტო რადიკალურად ახალი შინაარსის შემოტანას გულისხმობს, არამედ ეს პოლიტიკა შინაარსისგან დაცარიელებული და უაზრო იქნებოდა, თუკი ამავდროულად არ მოხდებოდა მისი ფორმის ანალოგიურად რადიკალური ტრანსფორმაცია. პრინციპში, ლაპარაკი იყო თანამონაწილეობით დემოკრატიაზე, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი პოლიტიკა თანასწორუფლებიანი პირების კოლექტივის მიერ უნდა ხორციელდებოდეს და, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და თითოეულის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, უნდა გამოირიცხოს ძალაუფლების ერთი რომელიმე ქედმაღალი სუბიექტის მიერ მისი უზურპირების ყველა შესაძლებლობა. რადიკალური დემოკრატიის ეს მრწამსი სოციალიზმზე უფრო მეტად ანარქიზმის სხვადასხვა მიმდინარეობების კომბინაციას წარმოადგენდა.

მწვანეებს თავი მოჰქონდათ, რომ ამ ფორმის თანამონაწილეობით დემოკრატიას განასახიერებდნენ, რადგანაც ისინი „მასების დემოკრატიის“, ან, როგორც თვითონ უწოდებდნენ, „საბაზისო დემოკრატიის“ პროპაგანდას ეწეოდნენ; ხსენებულ იდეას მწვანეები ისეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ეკოლოგიას, ქალთა უფლებებსა და პაციფიზმს. და მართლაც – სიტყვა „საბაზისო დემოკრატია“ რეალურად იქცა მწვანე იდე-

ოლოგიის და მწვანე იდენტობის ნამდვილ „ჯადოსნურ სიტყვად“.[86]

აქედან გამომდინარე, მწვანეები ყველაფერს აკეთებდნენ ნებისმიერი სახის შიდაპარტიული იერარქიის თავიდან ასარიდებლად. ამ მიზნით პარტიამ რამდენიმე წესი დაამტკიცა, რომელთაგანაც თითოეულის მიზანი ბაზისური დემოკრატიის გაძლიერება და დომინანტური ელიტის ჩამოყალიბების და გაძლიერების პრევენცია უნდა ყოფილიყო. ასე მაგალითად, პარტიის ხელმძღვანელი პოზიციებისთვის თავდაპირველად არანაირი ანაზღაურება არ იყო გათვალისწინებული, ეს თანამდებობები საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის პრინციპს ეფუძნებოდა, რადგან „ნებისმიერი ადამიანი უნდა არსებობდეს პოლიტიკისთვის, მაგრამ პოლიტიკა არ უნდა იყოს ვინმეს არსებობის წყარო“.[87]

იმის მიუხედავადაც, რომ ამგვარი მიდგომა იმანენტურად არსებული ელიტიზმის მიმართ სრულიად სამართლიანი და ღრმად ფესვგამჯდარი უნდობლობიდან და პროფესიული პოლიტიკის არადემოკრატიული ბუნების იდეიდან იღებდა სათავეს, მან ცალსახად იმგვარი შედეგები გამოიღო, რომლებიც თვითონვე იყო ელიტარული და არადემოკრატიული. გამომდინარე იქიდან, რომ ხელმძღვანელი პოზიციები პარტიაში არ წარმოადგენდა ანაზღაურებად თანამდებობებს,[88] პრაქტიკულად, გამოვიდა ისე, რომ პარტიამ თვითონვე იზრუნა ამ პოზიციებზე იმ ადამიანების დანიშვნის გამორიცხვაზე, რომლებსაც ხელფასისთვის უწევდათ მუშაობა, რითიც შეიქმნა გარკვეული დაბრკოლება ჭეშმარიტად დემოკრატიული წყობისთვის.[89] ამ პერიოდისთვის პარტიული შეკრებები ძალზე მოსაწყენი და უინტერესო იყო, რადგანაც ნებისმიერს შეეძლო იმდენი ხანი ელაპარაკა, რამდენიც მოესურვებოდა. დემოკრატია მისი წმინდა და, შესაბამისად, არარეპრეზენტანტული ფორმით არა მარტო მძიმე და რთული აღმოჩნდა, არამედ დროის თვალსაზრისით საოცრად ხარჯიანიც. ბუნებრივია, ზოგიერთმა ამ პრაქტიკებიდან ინსტიტუციონალური ჩარჩოების და საჭიროებების გამო მალევე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. თუმცა, თავდაპირველად ესოდენ რადიკალური მიდგომები არაფერს შეუზღუდავს ისე, როგორც პარლამენტს მისი მკაცრი წესებით, პროცედურებით, დებულებებით და დაუწერელი შეთანხმებებით.

ნებისმიერი მასობრივი დემოკრატიის და, ცალსახად, მწვანეთა რადიკალური საბაზისო დემოკრატიის უფრო დიდი კომპლექსის ერთი ნაწილი იმთავითვე გულისხმობს ძალაუფლების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. ეს ანტიპათია ემყარება შიშს და ეჭვს, რომ ძალაუფლება საზოგადოების ჩართულობისთვის და ხალხის ნებისთვის იმანენტურ საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად, რადიკალური დემოკრატები უარყოფდნენ ნებისმიერი სახის ძალაუფლებას, უპირველესად კი ტრადიციული ფორმის პოლიტიკურ ძალაუფლებას, მისთვის დამახასიათებელი ელიტიზმის, ექსკლუზიურობისა და ოდიოზურობისკენ მიდრეკილებებისთვის და, ბუნებრივია, ნარკოტიკული დამოკიდებულების მსგავსი ძალაუფლებისკენ ლტოლვისათვის – რადგანაც ძალაუფლება დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტ ძალაუფლებას ითხოვს. სწორედ ამიტომ იყო, რომ პირველი საარჩევნო წარმატებების შემდეგ, მწვანეები თავს კომფორტულად ნამდვილად არ გრძნობდნენ. შესაძლოა, გარკვეული წინათგრძნობის გამოც, რომ ეს წარმატებები შეიცავდა რეალურ ძალაუფლებასთან მათი დაახლოების საფრთხეს და ეს ყოველივე გარდაუვლად იქონიებდა გამრყვნელ და კორუფციულ ზეგავლენას მწვანეების, როგორც პარტიის და მოძრაობის, არსებობის ფორმასა და მისიაზე, და ეს მაშინ, როდესაც მათ უნდოდათ, ყოფილიყვნენ სტატუსკვოს და არსებული ისტებლიშმენტის ალტერნატიული ძალა.

პეტრა კელიმ ეს შიში მრავლისმთქმელი ფორმით აღწერა მწვანეთა პირველივე საარჩევნო წარმატებებისთანავე: „ზოგჯერ ვშიშობ, რომ მწვანეები არჩევნებში ხმების 13 პროცენტს მოიპოვებენ და ძალაუფლებასმოწყურებულ პარტიად გადაიქცევიან. ჩვენთვის უკეთესი

იქნებოდა, რომ 6-7 პროცენტის ფარგლებში დავრჩენილიყავით და არ დაგვჭირვებოდა ჩვენს ძირითად მოთხოვნებთან კომპრომისებზე წასვლა. მწვანე მინისტრის არსებობას ასეთი მდგომარეობა სჯობს".[90]

წამყვანი პოლიტიკოსის მხრიდან ამგვარ გამონათქვამებს იშვიათად თუ შეხვდებით გერმანიის რომელიმე სხვა პარტიის და, საერთოდ, ნებისმიერი სხვა ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნის რომელიმე პარტიის მხრიდან (და, თავისთავად ცხადია, იგივე ეხება დღევანდელ მწვანეთა პარტიასაც). სინამდვილეში, პარტიული ელიტა ეიფორიაში ვარდება, როდესაც ამომრჩეველი მას მოსალოდნელზე მეტი ხმებით აჯილდოებს და, როგორც წესი, გამოთქვამს იმედს, რომ შემდეგ არჩევნებზე კიდევ უფრო უკეთეს შედეგს მიაღწევს. დღევანდელ რეალობაში არავინ გამოთქვამს შიშს ან სკეპტიციზმს იმ შესაძლო პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე მიღწეული საარჩევნო წარმატებებისათვის თავის გართმევას უკავშირდება. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მწვანეები 1980-იანი წლების დასაწყისში და შუა პერიოდში არ იყო ჩვეულებრივი პარტია. პარტიისთვის, რომელიც სათავეს ისეთ გარემოში იღებდა, სადაც მცირე სჯობდა დიდს – შეიძლება გავიხსენოთ სლოგანი „small is beautiful" („მცირე მშვენიერია"), რაც იმ ეპოქის და კონტექსტის ძირითად მახასიათებლად იქცა, რომელსაც მწვანეები თავიდან წარმოადგენდნენ – შესაძლებლობა, გამხდარიყავი დიდი და ჩვეულებრივი პარტია, მართლაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა იდენტობისათვის, რომელიც იმდროინდელი მწვანეების თვისობრიობას განაპირობებდა.

გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, რომელთა განხილვაც ამ ესეს ფარგლებს გასცდებოდა, იმდროინდელი პარტიის მრავალი წევრის სკეპტიციზმის მიუხედავად, მწვანეებმა გადაწყვიტეს, განეგრძოთ საპარლამენტო გზით სიარული.[91] თუმცა, ტრანსფორმაციას თავდაპირველი ანტიპარტიული პარტიიდან, ანუ პროტესტის და ანტიმეინსტრიმის პარტიიდან, პარტიამდე, რომელიც მზად იყო, ძლიერებთან ერთად კოალიციები შეექმნა და სამთავრობო საქმიანობა განეხორციელებინა (და ამით იქცა იმად, რასაც გერმანელები „კოალიციისუნარიანს" უწოდებენ), ბევრად უფრო მეტი დასჭირდა, ვიდრე მხოლოდ შიდაპარტიული ბრძოლა იმ ადამიანებს შორის, ვინც, ერთი მხრივ, პარლამენტზე და, შესაბამისად, პარტიის გაძლიერებაზე ორიენტირებულ გზას ანიჭებდნენ უპირატესობას და, მეორე მხრივ, ვინც გამოთქვამდნენ შიშს, რომ ეს გზა მწვანე სულის ეშმაკისთვის მიყიდვას ნიშნავდა და, შესაბამისად, პარტიის როლს იმ მოძრაობასთან უშუალო ბმაში ხედავდნენ, რომლის თვითმყოფადობის ბირთვიც პარლამენტის და მთავრობების მსგავსი ფეხმოკიდებული ინსტიტუტების მიღმა მოიაზრებოდა.

ცალსახა და გადამწყვეტი პროგრამული გამარჯვების პარალელურად, ნებისმიერი მეტნაკლებად ნორმალური საპარლამენტო პოლიტიკის გასატარებლად, აუცილებელი იყო ძველი შიდაპარტიული რეგულაციების და სტრუქტურების ძირეული გადახედვა-მოდერნიზაცია; მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს მწვანეებმა, რეალურად გამხდარიყვნენ ისტებლიშმენტის ნაწილი.

თავდაპირველად, როგორც პარტიის რიგითი წევრები, ისე მისი ხელმძღვანელი პირები მთავრობაში ნებისმიერი ფორმით მონაწილეობას ცალსახად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს იდეოლოგიური მაქსიმალიზმი „სისტემასთან" ნებისმიერ კომპრომისს არასასურველ მოვლენად განიხილავდა, იმის მიუხედავადაც კი, თუ რა კონკრეტულ უპირატესობებს მოუტანდა ამგვარი კომპრომისი პარტიას. მას შემდეგ, რაც მწვანეთა იდეოლოგია და შიდაპარტიული პრაქტიკა დაშორდა ამგვარ მაქსიმალისტურ ტენდენციებს, იდეოლოგიურმა პურისტებმა, ეგრეთ წოდებულმა ფუნდამენტალისტებმა, კატეგორიული ბრძოლა გამოუცხადეს პარტიის ახალ პრაგმატიზმს და მის მიერ ინიცირებულ მრავალ რეფორმას: „არგუმენტაციის მეტად ხისტი ფორმებით, ფუნდამენტალისტები ცდილობდნენ, ჩაეგდოთ მწვანეთა თითქმის ყველა წინადადება

და მცდელობა, რომელიც პარტიის გავლენის გაზრდას ისახავდა მიზნად, იქნებოდა ეს სამთავრობო კოალიციის წევრობა, პარტიის პროფესიონალიზაცია, ელექტორატის ბაზის გაფართოება თუ მრავალი სხვა საკითხი".[92]

დღემდე არსებული ქალთა კვოტის გარდა, დასავლეთგერმანელი მწვანეების ნეტარი წლების თითქმის ყველა შიდაპარტიული რეგულაცია და პრაქტიკა, რომელთა მიზანსაც შიდაპარტიული დემოკრატიის გამყარება და ელიტიზმის და ხელისუფლებასთან შეხებაში მოსვლის თავიდან აცილება წარმოადგენდა, ან მთლიანად გაუქმებულია, ან განეიტრალებულია. ამ ტიპის რეგულაციებს და პრაქტიკებს მიეკუთვნებოდა *„თანამდებობის და მანდატის გამიჯვნის პრინციპი";* სავალდებულო თანხვედრა პარტიულ გადაწყვეტილებებსა და პარლამენტში კენჭისყრისას დასაფიქსირებელ პოზიციას შორის, ანუ ეგრეთ წოდებული *იმპერატიული მანდატი;* და *„როტაციის პრინციპი",* მკაცრი შეზღუდვა ვადებში, რომლის თანახმადაც, დეპუტატს მწვანეთა პარტიიდან, მაქსიმუმ ორი წლის შემდეგ, სავალდებული სახით უარი უნდა ეთქვა სადეპუტატო მანდატზე და ადგილი დაეთმო მომლოდინეთა სიაში მდგომი თანაპარტიელისთვის.[93]

პარტიული ფუნქციის და პარლამენტის წევრობის გამიჯვნა, ანუ „თანამდებობის და მანდატის გამიჯვნა" წარმოადგენს პირველ და უმთავრეს პრინციპს, რომელსაც მწვანეთა პარტიამ მიმართა, რათა თავიდან აეცილებინა მთელი ევროპის საპარლამენტო სისტემისთვის დამახასიათებელი, სტრუქტურულად არადემოკრატიული, თუმცა ფართოდ გავრცელებული თანამდებობრივი შეუსაბამობის პრაქტიკა. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის სამთავრობო კაბინეტის პრაქტიკულად ყველა წევრი არა მარტო მნიშვნელოვანი ფიგურაა საკუთარ პარტიაში, იკავებს რა იქ მაღალ თანამდებობას, არამედ, ამავდროულად, ითავსებს მთელ რიგ რეგიონულ თანამდებობებს – როგორიცაა, მაგალითად, ქალაქის მერი და ა. შ. სინამდვილეში, არ არის საღ აზრს მოკლებული თეზისი, რომ ორივეს კავშირი ლიბერალური დემოკრატიის პირობებში ტრადიციული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელს, როგორც წესი, პარტიის ხელმძღვანელი აღჭურავს საპარლამენტო სავარძლების უმრავლესობით. შესაბამისად, შეიძლება უკეთესიც იყოს, რომ ამ ორ პოზიციას ერთი ადამიანი ითავსებდეს. თუმცა, ასეთი მიდგომის შედეგად, წარმოიშობა იმგვარი თანამდებობრივი კოლიზია, რომელსაც საპარლამენტო დემოკრატია პრობლემურ ნიშნულამდე მიჰყავს.

მწვანეებმა ამ ტრადიციის დანგრევა შიდა რეგულაციით სცადეს, რომლის მიხედვითაც, პარტიის არცერთ წევრს არ ჰქონდა ერთ თანამდებობაზე მეტის დაკავების უფლება. ეს წესი მწვანე პარლამენტარებს პირველ რიგში უკრძალავდა პარტიული თანამდებობების შეთავსებას, მაგალითად, დეპუტატს პარალელურად არ შეეძლო ყოფილიყო პარტიის ფედერალური საბჭოს ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე ორგანოს წევრი.[94] ამ ნაბიჯის მიზანი იყო ქვედაპარტიული ფენებისთვის მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან უშუალო წვდომის უზრუნველყოფა, პარტიის შიგნით ცალკეულ ხელმძღვანელ პირთა ძალაუფლების მართვა როგორც პარლამენტის შიგნით, ისე პარლამენტის გარეთ, რამდენიმე თანამდებობის შეთავსების/თანამდებობრივი შეუთავსებლობის და ამით ელიტის ჩამოყალიბების თავიდან აცილება და მწვანეთა რიგებში ეგრეთ წოდებული პროფესიული პოლიტიკოსების კასტის შექმნისთვის ყველა წინაპირობის მოსპობა. სწორედ ამიტომ მოჰყვა 1998 წელს უკიდურესად მწვავე დაპირისპირება საკითხს, ჰქონდათ თუ არა ფედერალური მთავრობის ახლადგამომცხვარ მწვანე მინისტრებს უფლება, ამავდროულად, შეენარჩუნებინათ ბუნდესტაგის სავარძლებიც ისე, როგორც ეს მათი სოციალ-დემოკრატი კოლეგების შემთხვევაში სრულიად ბუნებრივად ხდებოდა.[95]

შიდაპარტიული დებატები ამ საკითხის გარშემო იმდენად უკომპრომისოდ მიმდინა-

რეობდა, რომ 2003 წელს მისი გადაწყვეტა „საყოველთაო კენჭისყრის“ საშუალებით გადაწყვიტეს და, შესაბამისად, პარტიის წევრებს გადაულოცეს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის საერთო კენჭისყრის აუცილებლობა მწვანეთა ისტორიაში მხოლოდ მეორედ დადგა.[96] კენჭისყრის შედეგად, რომელშიც პარტიის დაახლოებით 25 000-მა წევრმა მიიღო მონაწილეობა, თანამდებობის და მანდატის აქამდე მოქმედი მკაცრი გამიჯვნა გაუქმდა.[97] ახალი რეგულაციით დადგინდა, რომ პარტიის ფედერალური საბჭოს ორიდან ექვს წევრამდე უნდა ჰქონდეს გერმანიის პარლამენტში საკუთარი ადგილის შენარჩუნების და, ამავდროულად, პარტიის მართვაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება.[98] მას შემდეგ, რაც მწვანეებმა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის მკაცრი სტრუქტურული მარწუხების პირობებში უმძიმესი სამთავრობო საქმიანობის განხორციელების სირთულეები იწვნიეს, აღიარეს, რომ აუცილებელი იყო ძველი მიდგომების გადახედვა, რომლებიც სათავეს მართალია რადიკალური, მაგრამ არალიბერალური დემოკრატიიდან იღებდა. თუმცა, ხსენებული რეფორმების გატარება აუცილებელი გახდა, მათ შორის, სხვა უფრო გადაუდებელი და ნაკლებად ამაღლებული მიზეზების გამო: კერძოდ, მწვანეებმა აბსოლუტურად მართებული დასკვნა გააკეთეს, რომ მმართველობის ნიჭი არა მარტო იშვიათი და ძვირფასი რესურსია, არამედ ისიც, რომ პარტიამ, რომელიც პოლიტიკის კომუნიკაციურ კონტექსტშია ჩართული, ეს ნიჭი შეძლებისდაგვარად ფართოდ და ამომწურავად უნდა გამოიყენოს.

მწვანეებს მოუწიათ იმის აღიარებაც, რომ მმართველობის ნიჭი – და ეს შესაძლოა, არც სამართლიანობის და არც დემოკრატიის პრინციპებს არ შეესაბამოდეს (მით უმეტეს, თუ მწვანეთა ძველი სტანდარტებით ვიხელმძღვანელებთ) – არის ვალუტა, რომელიც პარტიამ გონივრულად უნდა დახარჯოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაფლანგოს.

ეგრეთ წოდებული *იმპერატიული მანდატის* მიზანს პარლამენტის მწვანე დეპუტატებისგან თანაპარტიელების მიმართ ზოგადი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ეს წესი ეფუძნებოდა იდეას, რომ საერთო მმართველობა და ერთობლივი საქმიანობა მორალურად ყოველთვის უფრო მაღლა დგას და ყოველთვის უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ცალკეული ლიბერალის და ბურჟუაზიული ინდივიდის ქმედება; ამგვარი მიდგომა პრინციპულად უარყოფდა გადაწყვეტილების თავისუფლებას, რომელიც საკუთარი ხმის განკარგვის თვალსაზრისით, ნებისმიერ პარლამენტის წევრს უნდა ჰქონდეს. ამის ნაცვლად მოქმედებდა წესი, რომელიც მწვანე დეპუტატებისგან ითხოვდა, უარი ეთქვათ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებაზე და ნებისმიერი კენჭისყრის დროს ხმა მიეცათ ისე, რომ მათ მიერ დაკავებული პოზიცია თანხვედრაში ყოფილიყო პარტიულ გადაწყვეტილებებთან. „ამგვარად, დეპუტატები – მეტაფორულად რომ ვთქვათ – იყვნენ პარლამენტში მწვანეთა პარტიული ბაზის ინტელექტუალურად შებოჭილი წარმომადგენლები“.[99]

უშუალოდ საკუთარი დეპუტატების ხარჯზე მწვანეთა პარტიის წევრების და ამომრჩევლის ძალაუფლების და გავლენის გაძლიერების ეს მცდელობა – ტექნოლოგია, რომელიც ცალსახად მოწმობს, ერთი მხრივ, საბაზისო დემოკრატიის და ხალხის ნების მნიშვნელობას პარტიაში და, მეორე მხრივ, ასევე ცხადყოფს უნდობლობას ხელმძღვანელი პირების მიმართ და ელიტის ჩამოყალიბების შიშს – საკმარისად წინააღმდეგობრივი იყო, რათა მასშტაბური დებატები გამოეწვია ამ ტექნოლოგიის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით: გერმანიის ძირითადი კანონის მიხედვით, „გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე და არ ემორჩილებიან არავის მითითებებს“.[100] სხვანაირად რომ ვთქვათ, ცალსახა მოთხოვნის სახით განსაზღვრული და პარტიის მიერ დეპუტატებისთვის თავსმოხვეული ხმის მიცემის დისციპლინა, რომელიც ხელყოფს მათ თავისუფლებას, დააფიქსირონ პოზიცია საკუთარი მოსაზრების და გადაწყ-

ვეტილების შესაბამისად, სხვა არაფერია, თუ არა ანტიკონსტიტუციური (ისევე, როგორც ყველა სხვა ლიბერალური დემოკრატიის პირობებში). თუმცა, საპარლამენტო საქმიანობის ყოველდღიურ პრაქტიკაში ამ საკითხს არ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა, რომელსაც იგი ინტელექტუალური დებატების კონტექსტში იძენს. რადგანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სხვა საპარლამენტო დემოკრატიების მსგავსად, გერმანიაშიც საკმარისი ფორმით არსებობს პარტიული დისციპლინის ცნება, რომლის მიხედვითაც, დეპუტატები კენჭისყრის დროს მყარად მისდევენ პარტიულ/ფრაქციულ ხაზს. თუმცა, ამავე დროს, მრავლადაა მაგალითები, როდესაც ამა თუ იმ დეპუტატის სინდისი წინააღმდეგობაში მოდის საკუთარი ფრაქციის მოსაზრებებთან, რაც, შედეგად, კენჭისყრისას განსხვავებული პრეფერენციების მიზეზი ხდება. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი უთანხმოებები საკმაოდ იშვიათად ხდება და საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში მოქმედ ნებისმიერ პარტიაში, როგორც წესი, მხოლოდ განსაზღვრული, ძალზე სპეციფიკური საკითხებით შემოიფარგლება; საპრეზიდენტო დემოკრატიის შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია, რადგანაც იქ პარტიული დისციპლინა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების მკაცრი გამიჯვნის გამო ასეთ დიდ როლს არ თამაშობს. ამიტომ საზღვრები ანტიკონსტიტუციურ იმპერატიულ მანდატსა და კონსტიტუციურ პარტიულ დისციპლინას შორის, პრაქტიკაში ყოველთვის ბუნდოვანია.

იმპერატიული მანდატის კონსტიტუციასთან შეუთავსებლობის მიუხედავად, ეგრეთ წოდებული პარტიული *როტაციის პრინციპი* პრაქტიკაში ბევრად უფრო მძიმე პრობლემად იქცა. ამ პრინციპის თავდაპირველ მიზანს მწვანეთა პარტიის პროფესიული პოლიტიკოსებისგან დაცვა წარმოადგენდა. შესაბამისად, როტაციის პრინციპი მოითხოვდა, რომ მწვანე პარლამენტარს მანდატი ორი წლის შემდეგ[101] მომლოდინეთა სიაში პირველ ნომრად დაფიქსირებული თანაპარტიელისთვის დაეთმო.[102] პარტია ნებისმიერი ასეთი „მოკლევადიანი დეპუტატისგან“ მოელოდა, რომ ეს უკანასკნელი, საკუთარი ორწლიანი საპარლამენტო მუშაობის პარალელურად, აქტიურად ითანამშრომლებდა შემცვლელ პირთან, რათა ჩანაცვლების პროცესს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაევლო.[103] პარტიის წესდებით განსაზღვრული თანამშრომლობის ეს ღონისძიება ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს უნდა მისცემოდა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

თუმცა, აქაც შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავინახოთ – მწვანეთა ბევრი სხვა რეგულაციის მსგავსად – თუ რა დონის კოლიზიაში მოდიან დემოკრატიული იმპულსები და პარტიციპატორული იდეები კომპლექსური ინსტიტუციონალური პოლიტიკური საქმიანობის მკაცრ ჩარჩოებთან. მაშინ, როდესაც როტაციის პრინციპი უდავოდ ასახავდა პარტიაში საბაზისო დემოკრატიის ღირებულებას, იგივე პრინციპი ხელს უშლიდა მწვანეთა პარტიის პარლამენტარებს ბუნდესტაგში, მათი, როგორც დეპუტატის ეფექტიანობის მაქსიმიზაციაში.

ამგვარი კატეგორიული პარტიული შეზღუდვები აბრკოლებდა ბუნდესტაგში წარმოდგენილ სხვა პარტიების დეპუტატებთან პროფესიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, მწვანე პარლამენტარები ხშირად სხვა დეპუტატებისგან იზოლირებული რჩებოდნენ და თავიანთივე კოლეგების მხრიდან ნდობის ნაკლებობას განიცდიდნენ.[104]

შეჯამებისთვის: ძალიან დიდი დროა საჭირო, რათა ჩასწვდე ისეთი კომპლექსური ორგანიზაციის შიდა და გარე საქმიანობის სპეციფიკას, როგორიცაა პარლამენტი. ყველაზე დიდი ხანი, ბუნებრივია, არაფორმალური კოდექსის – დაუწერელი წესების, ყოველდღიური ნიუანსების – შესწავლას მიაქვს, მოკლედ რომ ვთქვათ: ორგანიზაციულ კულტურას, რომელიც ყველა კომპლექსურ ორგანიზაციას ახასიათებს. თუმცა მეტაკომუნიკაციის ამ უხი-

ლავი მედიუმის დაუფლება არა მარტო დიდ დროს მოითხოვს, არამედ გარდაუვლად აყალიბებს მცოდნეებს და უცოდინრებს, ინსაიდერებს და აუტსაიდერებს, სხვანაირად რომ ვთქვათ: ეს იყო სამყარო, რომელსაც მწვანეები მათი საბაზისო დემოკრატიული პრინციპების პრიზმიდან უნდობლობით უყურებდნენ და მიუღებლად მიიჩნევდნენ.

1991 წელს ნოიმიუნსტერში გამართულმა მწვანეთა პარტის დელეგატთა ფედერალურმა კონფერენციამ (მწვანეები ერიდებიან ცნებას „პარტიის ყრილობა“) შემდგომი განვითარების მიმართულება განსაზღვრა, რომლის პროცესშიც მწვანეები პოლიტიკური ისტებლიშმენტის (თითქმის) ჩვეულებრივ ნაწილად იქცნენ.[105] ხსენებული კონფერენცია გაიმართა კვლავ გაერთიანებულ გერმანიაში ჩატარებული პირველი არჩევნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, რომლის შედეგადაც მწვანეები ბუნდესტაგში ვეღარ მოხვდნენ. ეს საარჩევნო მარცხი მწვანეთა პრაგმატული ტრანსფორმაციის კატალიზატორად იქცა, ისევე, როგორც ეს ნებისმიერი სხვა, არჩევნებში წარმატების მოპოვებაზე ორიენტირებული პარტიის შემთხვევაში მოხდებოდა. ნოიმიუნსტერში ჩატარებულმა დელეგატთა ფედერალურმა კონფერენციამ მწვანეებს მათი შიდა რეგულაციების დახვეწისაკენ უბიძგა. ეს რეფორმები პარტიის ვებგვერდზე შემდეგნაირადაა შეჯერებული: „პარტიის სპიკერთა რაოდენობა სამიდან ორამდე შემცირდა... გარდა ამისა, პოლიტიკური და ორგანიზაციული მენეჯმენტი ორ მხარეზე გადანაწილდა, როტაციის პრინციპი გაუქმდა და სამხარეო საბჭო „პარტიის მცირე საბჭოს“ სახით იქნა სტრუქტურირებული“.[106]

პარტიის მმართველი რგოლის, ანუ პარტიის „სპიკერების“ რაოდენობის სამიდან ორამდე შემცირების მიუხედავად – მიაქციეთ ყურადღება ზედმიწევნით ზუსტად შერჩეულ ნომენკლატურას, რომელიც ერიდება ისეთი არასასურველი ცნებების გამოყენებას, როგორებიცაა „თავმჯდომარე“ ან „პრეზიდენტი“; იგივე ეხება ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც ხელმძღვანელ პოზიციებთან ასოცირდება – მწვანეები მაინც ერთადერთ პარტიად რჩებიან ბუნდესტაგში, სადაც პარტიის ხელმძღვანელობა კონცენტრირებულია არა ერთი ადამიანის ხელში, არამედ ნაწილდება რამდენიმე პირზე.[107]

სერიოზული სოციალური რეფორმების (რომლებიც, შესაძლოა, უკვე აღარ იმსახურებენ ზედმეტსახელს „რადიკალური“, რაც მათ მნიშვნელობას არანაირად არ აკნინებს) განხორციელების ურყევ ნებაზე, ჩვენი აზრით, მიანიშნებს სავალდებულო რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, მწვანეთა პარტიის ორი სპიკერიდან ერთ-ერთი მაინც უნდა იყოს ქალი.

ყველა ეს ცვლილება აახლოებდა მწვანეებს პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნორმებთან, იმის მიუხედავადაც კი, რომ მათ მიერ საკუთარ თავზე აღებული ტრადიციული პარტიული სტრუქტურების გაძლიერებული დემოკრატიზაციის ვალდებულება უცვლელი დარჩა. ნოიმიუნსტერში დელეგატთა ფედერალურ კონფერენციაზე მწვანეებმა საკუთარი თავი ამიერიდან განსაზღვრეს, როგორც „ეკოლოგიური რეფორმატორული პარტია“, ეპითეტი „ანტიპარტიული პარტია“ კი პროგრამიდან ამოიღეს.[108]

ხსენებულმა რეფორმებმა გერმანელი მწვანეები პოტენციურ კოალიციურ პარტნიორად და პოლიტიკური სცენის პროგნოზირებად მოთამაშედ აქციეს. მაშინაც კი, თუკი ამ რეფორმებმა ბევრ სახელოვან წევრს, რომელთა წვლილიც პარტიის ჩამოყალიბების ათწლეულში, შესაძლოა, საკამათო იყოს, პარტიის დატოვებისკენ უბიძგა, მათ დამსახურებებს ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს.[109]

03

მწვანე იმიჯის ტრანსფორმაცია: ადაპტაციის ნიშანი?

პროგრამული და კონცეპტუალური ცვლილებების პარალელურად, პარტიამ და მისმა წარმომადგენლებმა სტილის და იმიჯის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განახორციელეს, რომელიც იმსახურებს იმას, რომ ცალკე იქნას გაანალიზებული, რადგანაც ახლებული იმიჯი გარკვეულ ადაპტაციაზე მიანიშნებს, თუმცა კი ისე, რომ მწვანე პრინციპები ხელშეუხებელი რჩება. მკაცრი კოსტიუმის და მოდური ჰალსტუხის ტარება არავითარ შემთხვევაში არ არის იმის ნიშანი, რომ პარტია ისტებლიშმენტს მიეყიდა და პროგრესული პოლიტიკის გატარების ენთუზიაზმი დაკარგა. მწვანეთა პარტიის დეპუტატები, რომლებმაც 1983 წლის გაზაფხულზე გერმანიის ბუნდესტაგის სავარძლები დაიკავეს, როგორც პოლიტიკური იდეალებით, ისე საკუთარი გარეგნული იერით საკმაოდ განსხვავდებოდნენ უკვე დამკვიდრებული პოლიტიკური პარტიების წევრებისგან. იმდროინდელ მწვანეთა პარტიას არსებული ბურჟუაზიული ადათ-ჩვევების და მყარი ინსტიტუტების წინააღმდეგ მიმართული მასშტაბური პროვოკაციის განსახიერება სურდა. ეს განწყობა აისახებოდა როგორც პარტიის წარმომადგენლების პოლიტიკურ პრეფერენციებში, ისე მათ ვარცხნილობასა და ტანისამოსში.

სანამ მწვანეთა ფრაქციის წევრები ბუნდესტაგში შევიდოდნენ, ისინი საათობით კამათობდნენ იმაზე, ყველა მწვანე დეპუტატს ხელში ყვავილების თაიგული უნდა სჭეროდა, თუ თითოეულ მათგანს უნდა ჰქონოდა მწვანე აქსესუარების შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. მწვანეთა შესვლა ბუნდესტაგში ჟურნალმა „Der Spiegel"-მა თავის 1983 წლის 4 აპრილის ნომერში შემდეგნაირად აღწერა: „სამშაბათს, როდესაც უკვე ყველაფერი მზად იყო, დელეგაციის თითოეული წევრი სხვადასხვა მოთხოვნას განასახიერებდა: ერთ-ერთი დეპუტატი გამხმარი ნაძვის ხის უკან იდგა, კლაუს ჰეკერი თვალისმომჭრელ სალათისფერ ჰალსტუხზე დატანილი სტიკერით მოსახლეობის გადათვლას აპროტესტებდა. გაბრიელე გორვალდს, ბუნდესტაგის ყველაზე ახალგაზრდა, 27 წლის დეპუტატს მკერდს უმშვენებდა წარწერა „მხარდაჭერას ვუცხადებთ ნიკარაგუას და თავისუფალ ადამიანებს!". მხოლოდ ფრაქციის სპიკერი, ოტო შილი იყო ხელცარიელი: „მე საკუთარი თავი მოვიყვანე", აღნიშნა მან".[110]

სტატია ასევე აღწერდა ინდივიდუალური თავისუფლების და დემოკრატიული დებატების კულტურის მნიშვნელობას, რაც ბუნდესტაგში ამ ორიგინალური კოლექტივის შთამბეჭდავ შემობიჯებას ახლდა თან.[111]

მწვანეებმა პირველ ლიგაში გადაინაცვლეს და იქ საკუთარი წესებით თამაშს აპირებდნენ. თავისთავად, მთლიანად ეს მოვლენა, წინააღმდეგობასთან, პროტესტთან და ალტერნატიული პოლიტიკის და გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ ხედვასთან დაკავშირებული ღირებულებებისა და პრაქტიკების კუთხით, სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ლაპარაკია იმ ხედვაზე, რომლის მონახაზიც მწვანეებს ეკუთვნის და რომელიც, ბუნებრივია, სრულად შეესაბამებოდა მათი ცხოვრების წესს მთლიანად 1970-იან და ადრეულ 1980-იან წლებში. ბუნდესტაგის ტრადიციული, ანუ არამწვანე პარტიების დეპუტაციის ჩაცმის სტილი ადრეულ 1980-იანებში ყველაზე უკეთ შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „საქმიანი" და ეს ძირითადი მოდელი მეტ-ნაკლებად დღემდე არ კარგავს აქტუალობას: პიჯაკი შესაფერისი შარვლით ან კოსტიუმი პერანგით და ჰალსტუხით მამაკაცებისთვის; კონსერვატიული კაბა – რომლის უფრო დეტალური აღწერაც შეუძლებელია, ან კოსტიუმი ქალებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადრეულ 1980-იან წლებში ბუნდესტაგში მწვანეების შემოსვლასთან ერთად აქტუალური გახდა დრესკოდის გამარტივებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, გერმანიის პარლამენტის ნათელ დარბაზებში გამოჩნდა სამოსი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში „business casual"-ს უწოდებენ: ანუ პიჯაკები, თუმცა ჰალსტუხის გარეშე, ან, მამაკაცების შემთხვევაში, კარდიგანი ან სვიტერი პიჯაკის ნაცვლად.[112]

1983 წელს მწვანეთა პარტიის დეპუტატების სხვა პარტიებისგან განსხვავება მხოლოდ მათი გარეგნული იერითაც უმარტივესად შეიძლებო-

და. მაგალითად, 1983 წლის 29 მარტს დიტერ დრაბინიოკს და გერტ იანსენს, სახეზე, სავარაუდოდ, უფრო მეტი წვერი ჰქონდათ, ვიდრე ბუნდესტაგის ყველა დანარჩენი ფრაქციის წევრს ერთად აღებულს, თუმცა საინტერესოა, რომ ასევე უფრო მეტი, ვიდრე მთელ მწვანეთა ფრაქციას 2009 წლისთვის. თუკი 1980-იანი წლების ფოტოსურათებს დახედავთ, დაინახავთ, რომ მწვანე პარლამენტარებს ხშირად ხელით ნაქსოვი პულოვერები ეცვათ და უპირატესობას ანიჭებდნენ ჩაცმის სტილს, რომელსაც „სოფლის სტილი“ შეიძლება ვუწოდოთ და რომელიც უფრო მეტად მსოფლმხედველურ პოზიციაზე მიუთითებდა – კერძოდ, თანამედროვე, ურბანული ინდუსტრიული საზოგადოების მიუღებლობაზე – ვიდრე ამ ადამიანების წარმომავლობაზე ან სოციალურ სიტუაციაზე. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მწვანე პარლამენტართა ადგილებს ხშირად ყვავილები ამშვენებდა. იმიჯის და გამოხატვის ფორმების ტრანსფორმაციის პროცესს თვალი ყველაზე უკეთესად შეიძლება გავადევნოთ, თუკი დავუკვირდებით იმ ცვლილებებს, რომლებიც ოცი წლის განმავლობაში იოშკა ფიშერის ჩაცმულობამ განიცადა: მწვანეთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის უაღრესად შთამბეჭდავი საჯარო კარიერის ორი ათწლეულისას გერმანიის, ევროპის და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს პოლიტიკაში.

ფიშერმა გამოიწვია ქარიშხალი ჭიქაში, როდესაც ვისბადენში, ჰესენის სამხარეო პარლამენტში ფიცის მიცემის ცერემონიალზე, რომლის შემდეგაც იგი ოფიციალურად ხდებოდა პირველი მწვანე მინისტრი, მსუბუქად ჩაცმული გამოცხადდა: ნაიკის თეთრი სპორტული ფეხსაცმელი, ჯინსი და მონაცრისფრო პიჯაკი, არანაირი ჰალსტუხი ან ბაფთა. ფიშერი ცალსახად არ ჯდებოდა ზოგად ვიზუალურ კონტექსტში და მკვეთრად გამოირჩეოდა უნიფორმების სტილში, მხოლოდ მუქ კოსტიუმებში, ჰალსტუხებსა და შავ ფეხსაცმელში გამოწყობილი (თითქმის მხოლოდ მამრობითი სექსის) დეპუტატების ფონზე, რომელთაგანაც არავინ იყო ჰოლგერ ბიორნერზე – ჰესენის ფედერალური მხარის სოციალ-დემოკრატ პრემიერმინისტრზე და მთავრობის კაბინეტში ფიშერის უშუალო ხელმძღვანელზე – უფრო კონსერვატიულად ჩაცმული. ფიშერის მოდური ამბოხი იქცა იმის საბაბად, რომ მას „ბოტასებიანი მინისტრი“ უწოდეს. თუმცა, როდესაც 1998 წელს ფიშერი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, მისი მიდგომები მოდის მიმართ უკვე მკვეთრად იყო შეცვლილი. ამ დროისთვის მას ბევრად უფრო მოკლედ შეჭრილი თმა და მოდური ვარცხნილობა ჰქონდა და ე.წ. ჯინს-პლუს-პიჯაკი-სტილს ტრადიციულ, თუმცა უაღრესად დახვეწილ მუქ კოსტიუმს და მოდურ ჰალსტუხს ამჯობინებდა. ფიშერმა გაუგო გემო ძვირადღირებულ საათებს და არსებობს ფოტოსურათები, რომლებზეც მას როლექსის და გლასჰიუტეს – ძვირფასი საათების შვეიცარიელი და გერმანელი მწარმოებლების[113] – ექსკლუზიური მოდელები უმშვენებს მაჯას.[114] როდესაც ფიშერს დაუსვეს კითხვა, თუ როგორ ახერხებდა ამგვარი ძვირადღირებული გემოვნური მიდრეკილებების დაკმაყოფილებას, მინისტრმა უპასუხა, რომ ამ ძვირფასი საათების საყიდლად ის „ფულს დიდი ხნის განმავლობაში ზოგავდა“.[115]

როდესაც პაპმა ბენედიქტ XII-მ, 2011 წელს გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში, ბუნდესტაგში გამოსვლისას მწვანეები და ეკოლოგიური მოძრაობა ქების სიტყვებით მოიხსენია, „Der Spiegel“-მა დაწერა: „პაპის ამ სერტიფიკატს მწვანეები ცალსახად იმგვარი პარტიის დონემდე აჰყავს, რომელსაც უბრალოდ არ შესწევს ვინმეს დაშინების ან პროვოცირების უნარი. პროტესტის პარტიის დრო დასრულდა“.[116] ჩვენთვის რთულია დარწმუნებით იმის თქმა, ასეა თუ არა საქმე გერმანიის პოლიტიკის ყველა მიმართულებით. თუმცა, არანაირი ეჭვი არ არსებობს, რომ 1983 წელს გარეგნული იერით გამოწვეული შიშის და შოკის დღეები, უკვე დიდი ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა.

გასული ოცდაათი წლის განმავლობაში მწვანეთა წინასაარჩევნო პლაკატებმაც მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა. 1983 წელს პლაკატებზე გამოსახული იყო ყვავილები – მათ შორის ყველაზე ცნობილია სიმბოლური დატვირთვის მქონე ულამაზესი მზესუმზირა – როგორც მინიშნება მოახლოებულ „პოლიტიკურ გაზაფხულ-

ზე“ და სტილიზებული იმპერიული არწივი, რომელიც ძალიან ჰგავდა ბუნდესტაგის პლენარულ დარბაზში გამოფენილ რკინის არწივს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურ სიმბოლოს. ბოლოს და ბოლოს, არწივები ხომ უბადლო მონადირეები არიან, რომლებსაც ზეცაში კონკურენტები არ ჰყავთ. არწივი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია სახელმწიფო ავტორიტეტის სიმბოლო. ეს ფრინველი, რომელიც სიამაყეს, ძლიერებას, დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს განასახიერებს, ადამიანებში პატივისცემის გრძნობას უნდა აღვიძებდეს. 1980-იანი წლების მწვანეთა არწივის შემთხვევაში სიტუაცია კარდინალურად განსხვავებულია. ეს არის კეთილგანწყობილი, ჩასუქებული, ძალიან სიმპათიური, შესაძლოა ოდნავ გაღიმებული და მოცეკვავე არწივი, რომელიც მულტფილმის ფიგურას უფრო ჰგავს და რომელსაც არანაირად არ შესწევს არც ვინმეს შეშინების და არც ძალაუფლების განსახიერების უნარი.[117]

კონვენციებზე სრულად უარის თქმამ გამოიწვია ის, რომ მწვანეთა ვერცერთ პლაკატზე ვერ ნახავდით ადამიანების გამოსახულებებს. არსად იყო არც მწვანე კანდიდატების ფოტოები და არც პორტრეტები, რაც, თავის მხრივ, ყველა სხვა გერმანული თუ ევროპული პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს. საარჩევნო პლაკატებზე საკუთარი კანდიდატების სახეების ილუსტრაციაზე უარის თქმა უკავშირდებოდა პროფესიული პოლიტიკოსების მიმართ მიუღებლობას და მწვანეებისთვის იმ კატეგორიულად მიუღებელ დისტანციას, რომელსაც ამ ტიპის პლაკატები ქმნიან მათთვის დამახასიათებელი ჰაგიოგრაფიული მიდრეკილებით, ადამიანთა ერთი ჯგუფი მეორეზე მაღლა დააყენონ, ანუ დიქოტომიით მმართველსა და მართულს, ელიტასა და მასას შორის.[118] და მართლაც, პლაკატები რომელიმე მწვანე პოლიტიკოსის გამოსახულებით 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე ტაბუდადებული იყო.[119] თუმცა, ოდნავ მოგვიანებით სიტუაცია ამ მხრივაც ძალზე სწრაფად შეიცვალა. მაგალითისთვის, 1994 წლის პლაკატებზე ხშირად შეხვდებოდით იოშკა ფიშერის სურათს, რომელზეც მას თეთრ პერანგზე ზოლიანი ჰალსტუხი ეკეთა და ხელში მხარზე დაუდევრად გადაკიდებული სპორტული ქურთუკი ეჭირა.[120] 1998 და 2002 წლების პლაკატები სრულად ასახავდნენ იმ ცვლილებებს, რომლებიც უკვე 1994 წელს იყო შესამჩნევი – პლაკატებზე ისევ ფიშერი იყო გამოსახული, თუმცა უკვე კლაუდია როტის და რენატე კიუნასტის გვერდიგვერდ.[121] ამგვარი პლაკატები მწვანეთა საარჩევნო კამპანიას უკვე დამკვიდრებული პარტიების ტრადიციულ კამპანიურ ტაქტიკებთან ერთ რიგში აყენებდა.

მწვანეთა საარჩევნო პლაკატების მსგავსად, მათმა ფედერალური ფრაქციის ლოგომაც შესამჩნევი განვითარება განიცადა. 1980-იანი წლების როგორც ლოგოები, ისე პლაკატები ბევრად უფრო „მულტიპლიკაციური“ და ჭრელია, ვიდრე 1990-იანი წლების და უფრო გვიანდელი პლაკატები და ლოგოები. საპარლამენტო ფრაქციის თანამედროვე ლოგოზე გამოსახულია მზესუმზირა, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს, როგორც წესი, მწვანეებთან ასოცირდება და უკვე უცვლელ სამარკო ნიშნად იქცა, თუმცა, ძველი ლოგოების ჭრელი ცისარტყელა და პეპლები გამქრალია და მათ ადგილს მწვანე მართკუთხედი იკავებს, რომელზეც კონტრასტული თეთრი შრიფტით წერია „კავშირი 90/მწვანეები. საპარლამენტო ფრაქცია“.

გამომდინარე იქიდან, რომ მწვანეთა ჰაბიტუსი თავდაპირველი პროტესტის განსახიერებიდან თითქმის ბურჟუაზიულ მიდგომამდე ტრანსფორმირდა, პარტიამ ძველ ნიშაში ვაკუუმი დატოვა. 2011 წლის ბერლინის ლანდტაგის არჩევნების შემდეგ სცენაზე გამოჩნდა „მეკობრეთა პარტია“, რომელიც ცდილობს ყოფილი „ანტიპარტიული პარტიის“ მიერ დატოვებული სიცარიელის შევსებას. ნუთუ შესაძლებელია, რომ ახალი მწვანეების დაბადების მოწმეები გავხდეთ? ან რამდენად დიდია ალბათობა, რომ 2013 წლის არჩევნების შედეგად, ბერლინის რაიხსტაგის შენობაში ახალი, არატრადიციული პარტია შემოვა, რომელიც ფორმით და შინაარსით ძალიან ემგვანება ოცდაათი წლის წინ მწვანეთა შემობიჯვებას მაშინდელ ბონის ბუნდესტაგში?

ბოლოსიტყვაობა

2012 წლის ივნისში, პრაღიდან ვენისკენ მიმავალ მატარებელში საუკეთესო მეგობართან ერთად ანდრეი მარკოვიცი ზის. მეგობარი მწვანეთა მოძრაობის აქტივისტი მისი აღმოცენების პირველივე წუთებიდან, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თანამშრომელი, გერმანიის, ევროპის და მსოფლიო პოლიტიკის მეტად გამჭრიახი დამკვირვებელია, რომლის შეფასებებსაც მარკოვიცი მათი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე უაღრესად დიდი პატივისცემით ეკიდება. ერთ-ერთ გაჩერებაზე მარკოვიცი მეგობარს გერმანიის პოლიტიკაში მეკობრეების პარტიის როლის შეფასებას სთხოვს. პასუხი მომენტალური და კატეგორიულია: ცუდად ორგანიზებული, მოუმწიფებელი, ბუნდოვანი მიზნები, ქაოტური, პრიმიტიული ხედვები, უხეში თეორიები, ძალზე შორეულ მიზნებზე ორიენტაცია. როდესაც მარკოვიცი პასუხობს, რომ მეკობრეთა ეს დახასიათება სიტყვასიტყვით ემთხვევა იმ შეფასებებს, რომლებსაც ოცდაათი წლის წინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფკავშირების ცალკეული წევრები მწვანეებთან მიმართებით აკეთებდნენ, მისი მეგობარი სიცილს ვეღარ იკავებს და პასუხობს: „ათიანში! აბსოლუტურად მართალი ხარ!“

მწვანეთა რეაქციები ამ პოლიტიკურ ახალბედებზე ნაწილობრივ მართლაც ძალიან წააგავს იმას, რასაც ისტებლიშმენტი პრეტენდენტზე, ინსაიდერი აუტსაიდერზე და უფროსი უმცროსთან ლაპარაკისას ამბობს. რამდენად შესაძლებელია, რომ მეკობრეთა პარტიის ახალი და ჯერ კიდევ ძალზე სიცოცხლისუუნარო წარმატებები, მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ მწვანეთა სტაბილური და უკვე გამყარებული წარმატების თანამდევ პროდუქტად იქცეს? შესაძლებელია, რომ ამ უკანასკნელის გერმანიის პოლიტიკის Enfant terrible-დან „ეკოლოგიური რეფორმების პარტიად“ ტრანსფორმაციამ არსებული კონიუნქტურის წინააღმდეგ მებრძოლ ახალ მეამბოხეს მოქმედების სივრცე გაუჩინოს და საშუალება მისცეს, ოდესმე თვითონაც გახდეს წარმატებული და, ამასთანავე, მყარად მოიკიდოს ფეხი? ნუთუ ჩვენ, დიდი ავსტრიელი დრამატურგის, არტურ შნიცლერის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლები ვართ, რომლებიც დიდ პოლიტიკაში რონდოს, პოლიტიკურ „ფერხულს“ გარედან ადევნებენ თვალს? ვინ იცის? თუმცა რაღაცები დანამდვილებით ვიცით: *პირველი:* ის, რომ „თაობის“ ფაქტორი, ამ ცნების ფართო და ყოვლისმომცველი გაგებით, პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს. წმინდა ბიოლოგიური თვალსაზრისით, ახალგაზრდობა – მოდი, ასე ვთქვათ: ადამიანი 35 წლამდე (ესაა ზღვარი, რომელიც თავის დროზე სოციალ-დემოკრატებმა ძალზე გონივრულად გაავლეს პარტიის „მოხუც“ და „ახალგაზრდა“ წევრებს შორის) მზადაა, წავიდეს ნებისმიერ ექსპერიმენტზე როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე პოლიტიკაში; იგი იმ მდგომარეობაშია, რომელშიც ექსტრემალური ქმედებები, ნორმებიდან გადახვევა და გამოწვევები ბევრად უფრო თავისთავადად და ჩვეულებრივად აღიქმება, ვიდრე საშუალო ან ხანდაზმულ ასაკში. ეს, უბრალოდ, ემპირიული რეალობაა – ყოველგვარი ცნებითი ან თეორიული იმპერატიულობის გარეშე – რომ ახალგაზრდა ადამიანები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარებულ დემოკრატიულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებში უფრო მეტად პოლიტიკური სპექტრის მარცხენა ფრთისკენ იხრებოდნენ, ვიდრე მარჯვენასკენ. ადამიანები იხსენებდნენ, რომ სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის დროს რადიკალურად განსხვავებული იყო, როდესაც ფაშიზმმა მილიონი ახალგაზრდა მიიზიდა და აშკარად იქნა სტილიზებული, როგორც ახალგაზრდობის რევოლუცია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ამ ქვეყნებში ახალგაზრდებს მემარჯვენე პოლიტიკის მიმართ სრული იმუნიტეტი ჰქონდათ: საკმარისია გავიხსენოთ ხულიგნობა ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის, ახალგაზრდების მიდრეკილება – შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებს ეხება – სხვადასხვა ნეონაცისტური ჯგუფების და მემარჯვენე ექსტრემისტული მოძრაობების და ორგანიზაციების მიმართ, როგორც გერმანიაში, ისე ევროპის სხვა

ქვეყნებშიც. თუმცა, აბსოლუტურად გამართლებული იქნებოდა, რომ დომინანტური ეთიკური ღირებულებები და პოლიტიკური ორიენტირები, რომლებიც ომის შემდგომი ევროპული, ჩრდილოეთამერიკული და სხვა ანალოგიური საზოგადოებების 18-დან 35 წლამდე ასაკის წევრებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა, დავახასიათოთ როგორც „ცენტრიდან მარცხნივ გადანაცვლებული“. ახალგაზრდების ამგვარმა მემარცხენე ორიენტაციამ განათლების მოცულობის და ხარისხის ზრდასთან ერთად აშკარად იმძლავრა. ამგვარად, ის უნივერსიტეტები, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, შეიძლება ითქვას, ადრეულ 1960-იანებამდეც კი, უფრო თუ დავკონკრეტდებით – მწვანეების მიერ ინიცირებული ახალი ერის დაწყებამდე, ავსტრიაში მემარჯვენე რეაქციონიზმის და ფაშიზმის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, კაპიტალიზმის ორთოდოქსალური ღირებულებების, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიის და კომუნიზმის მიერ ტრადიციული მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის და გამოწვევების ადგილად იქცნენ. ბოლოს და ბოლოს, შემთხვევითი არაა, რომ მწვანეები გერმანიაში განსაკუთრებით საუნივერსიტეტო ქალაქებში გაძლიერდნენ და მათი ფუნქციური ანალოგები სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით წარმატებულად ზუსტად იმავე გარემოში ვითარდება.

ასე ხდება, მაგალითად, ენ არბორში, ჩვენს საკუთარ საუნივერსიტეტო ქალაქში. 1962 წლის 15 ივნისს ეს ქალაქი იქცა ცნობილი პორტ-ჰურონის დეკლარაციის დაბადების ადგილად, რომლის მთავარი ავტორიც ტომ ჰაიდენი იყო – ცნობილი „ჩიკაგოს შვიდეულის“ წევრი, მოგვიანებით კონგრესის დეპუტატი კალიფორნიის შტატიდან, თუმცა იმ დროს „Students for a Democratic Society (SDS)-ის წევრი, რომელიც „გერმანიის სტუდენტთა სოციალისტური კავშირის“ ანალოგიურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. პორტ-ჰურონის დეკლარაცია, რომელიც ახალი მემარცხენეების დამფუძნებელ დოკუმენტს წარმოადგენს, მიჩიგანის უნივერსიტეტში შეიქმნა – პატარა, მაგრამ პროგრესული ქალაქის უზარმაზარ და უაღრესად პრესტიჟულ უნივერსიტეტში. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ენ არბორმა გერმანიაში დამეგობრებულ ქალაქად თიუბინგენი არჩია. ორივე ქალაქს და ორივე უნივერსიტეტს ერთმანეთთან მრავალმხრივი, მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს, რომელთა გამყარებაზეც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აქტიურად და წარმატებით მუშაობენ.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემა კონტინენტურ-ევროპულის და, კერძოდ, გერმანულის მსგავსი რომ ყოფილიყო, საკმაოდ დიდი ალბათობით შევძლებდით იმის მტკიცებას, რომ მწვანეები ენ არბორის საკრებულოშიც 30 პროცენტით იქნებოდნენ წარმოდგენილები. სინამდვილეში, ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული პარტიის ბუნება, რომელიც საკუთარ თავში თითქმის ყველაფერ პროგრესულს აერთიანებს, გარდაუვალ აუცილებლობად აქცევს ფაქტს, რომ ამ პარტიის წიაღში გერმანელი მწვანეების ეკვივალენტი იყოს წარმოდგენილი. და უკვე ათწლეულების განმავლობაში, ენ არბორის ადგილობრივ პოლიტიკაში დემოკრატიული პარტიის სწორედ ეს ფრთა იკავებს ჰეგემონის პოზიციას.

მეორე: ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ასაკთან და სიძლიერესთან ერთად, რომლებიც ამა თუ იმ თაობას მისი სოციალური თუ პოლიტიკური გავლენის გამყარებაში ეხმარება, არანაკლებ და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანიცაა საერთო გამოცდილება. კარლ მანჰაიმის შესანიშნავმა ტექსტებმა ყველას ნათლად დაანახა, რომ ცალკეული მოვლენები, რომლებსაც ადამიანები ერთად და ერთდროულად განიცდიან, მათ მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე ერთ მუშტად კრავს. რაც უფრო მნიშვნელოვანია ეს მოვლენები, მით უფრო მჭიდროა კვანძი, რომელიც კონკრეტული თაობის კონკრეტული გამოცდილებით იკვრება. და ცოტა

გამოცდილებას თუ შეუქმნია იმაზე დიდი სოლიდარობა თაობაში, ვიდრე ეს გვიანი 1960-იანების მოვლენებმა შეძლო. საკმარისია გავიხსენოთ ფაქტი, რომ ამ ეპოქამ მინიმუმ სამ ენაში – შესაძლოა, ბევრად უფრო მეტშიც – მისცა სახელი მთელ თაობას: „Achtundsechziger“, „Soixanthuitards“, „Sixtyeighter“ („სამოცდარვიანები“)! და სწორედ ამ გამოცდილებამ შექმნა იმ პოლიტიკური ფორმაციის საფუძველი, რომელსაც „მწვანეები“ ეწოდება.

მესამე: როგორც ჩანს, მორის დიუვერჟეს თეზისი „მემარცხენეთა მიერ ინფიცირების“ შესახებ ზუსტი აღმოჩნდა, თუკი მხედველობაში მივიღებთ გასული სამი ათწლეულის განმავლობაში მწვანეთა უდიდეს გავლენას გერმანულ საზოგადოებასა და კულტურაზე. მართალია, მეცნიერი სრულიად სხვა ეპოქაზე წერდა – კერძოდ, 1950-იან და ადრეულ 1960-იან წლებზე – და არგუმენტაციაში მხოლოდ განვითარებულ დემოკრატიულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული ფორმითა და სტრუქტურით შემოიფარგლებოდა. დიუვერჟეს აზრით, სწორედ ამგვარ საზოგადოებებში ხდებოდა თანამედროვე პარტიების, პირველ რიგში, მემარცხენეების აღზევება. ცენტრისტული და მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები იძულებული გახდნენ, მოეხდინათ რეაგირება ამ ტენდენციებზე, რათა პოლიტიკურ ბაზარზე კონკურენტუნარიანები დარჩენილიყვნენ; მათ ამას მიაღწიეს იმის წყალობით, რომ საკუთარი პარტიული სტრუქტურები მემარცხენე პარტიების ანალოგიურად ააწყვეს. თუმცა, ამგვარ ინფიცირებას დიუვერჟე სხვა მიმართულებებითაც ხედავდა, რადგანაც მემარცხენეებმა პოლიტიკურ დღის წესრიგში შემოიტანეს საკითხები, რომლებმაც აიძულა სხვა პარტიები, გაეკეთებინათ ის, რაც გერმანელებმა ასე ზუსტად „თემატურ ჯიბგირობად“ მონათლეს (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიბაძვა ამ შემთხვევაშიც კომპლიმენტის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს).

ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკური დღის წესრიგის კუთხით მწვანეთა ინფიცირება ბოლო ოცდაათი წლის გერმანული პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა წახნაგს შეეხო. მწვანებმა მთელი თემატური სფეროების წარმოშობას დაუდეს სათავე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს ყოველივე სხვაგან არსად იყო ასე თვალსაჩინოდ გამოკვეთილი, როგორც იმ ოთხი თემატური სფეროს შემთხვევაში, რომლებიც მწვანე იდენტობის ღერძს წარმოადგენენ: ეკოლოგია, ქალები, მშვიდობა, საბაზისო დემოკრატია. სინამდვილეში, არ იქნებოდა გადაჭარბება, თუ ვიტყოდით, რომ ეს თემები დღეს იმ ყველაფრის ცენტრში დგანან, რასაც „მემარცხენე“ ეწოდება. სწორედ ამ ღერძის გარშემო ხდება „მემარცხენეობის“ შესახებ კამათი, კონსტრუირება და ცხოვრებაში გატარება. ამიტომ იყო ანდრეი მარკოვიცი, ერთი მხრივ, ძალიან ბედნიერი, რომ მისი წიგნი *„The German Left: Red, Green and Beyond“* („გერმანელი მემარცხენეები: წითელი, მწვანე და სხვა“) გერმანულად ითარგმნა, მეორე მხრივ კი, არც ისე ბედნიერი, რადგანაც გერმანულენოვანი გამოცემა დასათაურებული იყო, როგორც *„Grün schlägt Rot“* („მწვანე ამარცხებს წითელს“), რადგანაც ბევრმა შეიძლება ეს არჩევნებს დაუკავშიროს, რაც არ იქნებოდა სწორი, ადგილობრივ დონეზე ღირსშესანიშნავი წარმატებების და ბადენ-ვიურტემბერგის ფედერალურ მხარეში ზემოთ უკვე ნახსენები წინსვლის მიუხედავადაც კი. მეორე მხრივ, ანდრეი მარკოვიცი ძალიან ბედნიერი იყო, რადგანაც გერმანულენოვანი სათაური მისი ძირითადი თეზისის არსს და იდეას უაღრესად ზუსტად ასახავდა: როდესაც ლაპარაკია ცენტრალურ თემებზე და იდენტობის საკვანძო საკითხებზე, ასევე, როდესაც საქმე ეხება ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში „მემარცხენეობის“ არსის დეფინიციის მნიშვნელობას როგორც გერმანიაში, ისე სხვა ანალოგიურ საზოგადოებებში, შეიძლება ითქვას, რომ მწვანეები აშკარად უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე წითლები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ წითლების ცენტრალურმა თემებმა მნიშვნელობა დაკარგეს, ან ის პრობლემატიკა, რაც სოციალ-დემოკრატებმა წინა პლანზე წამოწიეს, უკვე მოგვარებულია – პირი-

ქით. ეს ნიშნავს მხოლოდ შემდეგს: მუდმივი აქტუალურობის, განსაკუთრებული ფორმის და ინოვაციური ხასიათის გამო, მწვანეთა საკვანძო თემებმა უფრო მეტად მიიპყრეს ყურადღება და უფრო მნიშვნელოვნად იქნენ ჩათვლილი, ვიდრე სხვა ტრადიციული, ძველი მემარცხენე პარტიების თემების შემთხვევაში მოხდა.

მიაღწიეს თუ არა მწვანეებმა უმნიშვნელოვანეს მიზნებს? არანაირად! აქვთ თუ არა მათ ამ მიმართულებით ცალკეული წარმატებების გამო ზეიმის უფლება? ცალსახად! ბოლოს და ბოლოს, მწვანეების, როგორც თემების განმსაზღვრელების წარმატებები არანაირ ეჭვს არ იწვევს. ზემოთ მრავალჯერ ნახსენებმა ოთხივე ცნებამ გერმანიის პოლიტიკურ ლექსიკონში მყარად დაიმკვიდრა ადგილი.

დაბოლოს: პოლიტიკურ კულტურაში, სადაც ფერებს მყარი პოლიტიკური მნიშვნელობები აქვთ, რის ანალოგსაც არცერთ სხვა მსგავს ქვეყანაში არ ვხვდებით (გამონაკლისია ავსტრია, რომელიც გერმანულენოვანი პოლიტიკური ტრადიციის ნაწილს წარმოადგენს); ქვეყანაში, სადაც ფერებმა პოლიტიკურ დისკურსში უნიკალური იკონოგრაფიული თვისებები შეიძინა, რომლებსაც ყველა ცნობს და იცნობს – გავიხსენოთ შავები, წითლები, ყვითლები, ყავისფრები – მწვანეები ერთადერთები არიან, რომელთა ფერიც დღევანდელ გლობალურ დისკურსში ისეთი ცნობადობით ხასიათდება, რომელთანაც ვერცერთი სხვა პოლიტიკური მოთამაშე ახლოსაც კი ვერ მივა. სხვანაირად რომ ვთქვათ: როდესაც მარკოვიცი გერმანული პოლიტიკის შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით კითხულობს ლექციებს, მათ შორის, ახალგაზრდა სტუდენტებთან, რომლებიც პირველად ესწრებიან მიჩიგანის უნივერსიტეტში შეთავაზებულ კურსს ევროპის პოლიტიკის შესახებ, ის ცალსახად დაკარგავს კონტაქტს აუდიტორიასთან, თუკი გერმანული პარტიების, იდეოლოგიების, პოლიტიკური ხედვებისა და ღირებულებების თავისებურებების წარმოსაჩენად დაიწყებს შავებზე, ყავისფრებზე, ყვითლებზე ან, თუნდაც, წითლებზე ლაპარაკს. მიზეზი მარტივია: ვერავინ მიხვდება, თუ რა სიმბოლური დატვირთვა, ან რა მნიშვნელობა აქვს ამ ფერებს. მწვანეების შემთხვევაში მდგომარეობა სხვაგვარადაა. პირველი სემესტრის სტუდენტებმა ან მარკოვიცის სხვა მსმენელებმა ამერიკაში ან ამერიკის საზღვრებს მიღმა, სავარაუდოდ, არაფერი იციან მწვანე „ფუნდამენტალისტების“ ან „ზომიერი რეალისტების“ შესახებ. ასევე დიდი ალბათობით, ისინი ვერ შეძლებდნენ ვერცერთი მწვანე პოლიტიკოსის, მათ შორის, იოშკა ფიშერის, გვარის ან ბუნდესტაგში მწვანე მანდატების რაოდენობის დასახელებას. თუმცა, ყველამ იცის მწვანე ფერის მნიშვნელობა, რომელიც არსებითად სცდება როგორც გერმანელ მწვანეებს, ისე მთლიანად გერმანიას; მათ იციან, რომ მწვანე ფერი მდგრადობის, გარემოს დაცვის, ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის, დედამიწის გადარჩენის, ცხოველებთან ადამიანური დამოკიდებულების და ჰუმანურობის სიმბოლოა.

და სწორედ ამაშია არსი: იმის მიუხედავად, რომ გერმანიის მწვანეთა პარტია და მწვანე მოძრაობის ისტორია მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ სპეციალისტებისთვისაა ცნობილი და, აქედან გამომდინარე, მისი მნიშვნელობაც შეზღუდულია, მწვანე ფერი გერმანიის ყველა პოლიტიკურ ფერს შორის ერთადერთია, რომელსაც ჭეშმარიტად საერთაშორისო შეიძლება ეწოდოს, ანუ ის გერმანიის ფარგლებს გარეთ ყველასთვისაა ცნობილი. მწვანე ფერმა დღეს საერთაშორისო ადგილი და ცნობადობა დაიმკვიდრა. ჯერ კიდევ გვიან 1960-იანებამდე წითელი ფერი იყო ანალოგიურად ცნობადი, თუმცა გასული ათწლეულების განმავლობაში მისი ეს უპირატესობა დაიკარგა. მისგან განსხვავებით, მწვანე ფერი პროგრესულობის სიმბოლოს წარმოადგენს, ანუ იმის ცოდნას და შეგრძნებას, რომ ჩვენს მომავალთან დაკავშირებული იდეების და დებატების მწვერვალზე იმყოფები. უფრო მეტიც: მწვანე ფერი მსოფლიოს უმეტეს წერტილებში პოზიტიურ კონოტაციებთან

და ასოციაციებთანაა დაკავშირებული, რაც წითლის შემთხვევაში არასოდეს ხდებოდა. მწვანე უბრალოდ მაგარია! ღირებულებები, რომლებსაც ეს ფერი განასახიერებს, მნიშვნელოვნად სცდება პოლიტიკის საზღვრებს და თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ეკონომიკაში, კულტურაში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მილიონობით ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ მსოფლიო ფენომენში კი ცენტრალური ადგილი სწორედ გერმანელ მწვანეებს ეკუთვნით. მათ შეუძლიათ იამაყონ, რომ ამ ისტორიულ პროცესში პირველნი არიან თანასწორთა შორის.

ეჭვგარეშეა, რომ გასული ოცდაათი წლის მანძილზე მწვანე მოძრაობის წმინდა სახით არსებობამ უზარმაზარი გავლენა იქონია გერმანიის სოციალურ ცნობიერებაში განხორციელებულ გასაოცარ ტრანსფორმაციებზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გერმანელი მწვანეები იქცნენ ერთგვარ სიმბოლოდ, რომლის უკანაც უზარმაზარი რეალობა დგას. არ აქვს მნიშვნელობა, მსოფლიოს რომელ კუთხეში იქნებით – როდესაც ადამიანი რომელიმე მწვანე თემაზე იწყებს ფიქრს, რაღაც მომენტში გარდაუვლად გერმანელი მწვანეები გაახსენდება (ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატია შვედეთთან, ხოლო კონსერვატიზმი დიდ ბრიტანეთთან ასოცირდება).

რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი მტკიცებულება და ქება სამარკო ნიშნის გრანდიოზული წარმატებისთვის?

ანდრეი ს. მარკოვიცი დაიბადა 1948 წელს ტიმიშოარაში (რუმინეთი), უნგრულენოვანი ებრაელების ოჯახში. და-ძმა არ ჰყოლია. გაიზარდა ვენასა და ნიუ-იორკში. სწავლობდა პოლიტოლოგიას და სოციოლოგიას მიჩიგანის ენ არბორის (აშშ) უნივერსიტეტში, სადაც სადღეისოდ ორმაგ პროფესორობას ითავსებს. მისი მრავალრიცხოვანი, პროფკავშირების, სოციალ-დემოკრატიის, ახალი სოციალური მოძრაობების, ანტისემიტიზმის, ანტიამერიკანიზმის, გერმანია-ისრაელის ურთიერთობების, მწვანეების, შედარებითი ფიზიკური კულტურის და ა.შ. მიმართულებებით შესრულებული შრომები გადათარგმნილია 15, მათ შორის, გერმანულ, ენაზე. მარკოვიცი მოწვეული დოცენტის სტატუსით კითხულობდა ლექციებს ბევრ გერმანულ უნივერსიტეტში, რომელთაგანაც ლიუნებურგის ლეუფანას უნივერსიტეტმა 2007 წელს მას საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა. 2012 წელს, აკადემიური დამსახურებებისთვის მარკოვიცი დაჯილდოვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიცრის ჯვრით.

იოზეფ კლავერმა 2012 წელს მოიპოვა მიჩიგანის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი. მისი ორი თემატური კონცენტრაციაა პოლიტოლოგია და გერმანიკული კვლევები, რომლებშიც ესწრებოდა ანდრეი ს. მარკოვიცის სემინარებს.

წინასიტყვაობა

1. ფედერალურ დონეზე წარმოდგენილი გერმანიის პოლიტიკური პარტიები: Sozialdemokratische Partei Deutschlands (SPD) – სოციალ-დემოკრატიული პარტია (სდპ); Christlich Demokratische Union Deutschlands (CDU) – ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (ქდკ); Christlich-Soziale Union in Bayern (CSU) – ქრისტიან-სოციალური კავშირი (ქსკ); Freie Demokratische Partei (FDP) – თავისუფალი დემოკრატიული პარტია (თდპ); Die Linke – მემარცხენეები; Bündnis 90/Die Grünen – კავშირი 90/მწვანეები.

2. ბუნდესვერი (გერმ. Bundeswehr) – გერმანიის შეიარაღებული ძალები.

შესავალი

3. პუბლიკაცია „30 წელი ბუნდესტაგში“ თავდაპირველად ინგლისურ ენაზე გამოიცა, ხოლო 2013 წლის დასაწყისში მისი გერმანული ვერსია გამოქვეყნდა. წინამდებარე პუბლიკაცია გერმანული გამოცემიდან არის ნათარგმნი მოგვიანებით და, შესაბამისად, ის არ ასახავს 22.09.2013-ის შემდეგ პოლიტიკურ კონტექსტს.

4. შტადტჰალე (გერმ. Stadthalle) – მუნიციპალური დარბაზი.

5. მოცემულ ტექსტში ლაპარაკი იქნება „მწვანეებზე“ (თავდაპირველად მეტად ჭრელ გუნდზე, კონსერვატორებიდან დაწყებული კომუნისტებით დამთავრებული, რომელიც, ამის მიუხედავად, მაინც „ახალი მემარცხენეების“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ). მაშინაც კი, თუ ჩვენს ნაშრომში, უმეტეს შემთხვევაში, იგულისხმება პარტია, რომელსაც დღეს ოფიციალურად კავშირი 90/მწვანეები ჰქვია, ჩვენ მაინც მარტივ ცნებას „მწვანეები“ მივანიჭებთ უპირატესობას. ამავე ცნებას გამოვიყენებთ ყოველ ჯერზე, როდესაც ვილაპარაკებთ პარტიაზე „მწვანეები“, იგულისხმება პერიოდი 1993 წლამდე, როდესაც ის კავშირ 90-ში გაერთიანდა. იმედს ვიტოვებთ, რომ მკითხველს არ გაუჭირდება იმის ამოცნობა, თუ რას ვგულისხმობთ ყოველ ჯერზე, როდესაც „მწვანეებს“ ვახსენებთ. ამასთან, დარწმუნებულები ვართ, რომ ხსენებული ცნების ხშირი გამოყენება მკითხველს არ შეუშლის ხელს როგორც ცალკეული პასაჟების, ისე მთლიანი ტექსტის დიფერენცირებულ გაგებაში.

6. ანდრეი მარკოვიცი იმ დღეს, ბად გოდესბერგის შტადტჰალეში მწვანეებთან ერთად ზეიმობდა. ასევე, ოთხი წლის შემდეგაც, 1987 წელს იყო ბონის ბისკვიტჰალეში, რათა მწვანეებთან ერთად აღენიშნა მათი მეორედ შესვლა ბუნდესტაგში. იოზეფ კლავერი ამ ორი მნიშვნელოვანი მოვლენის მომენტში ჯერ არ იყო დაბადებული.

თავი პირველი: მწვანეები – რიცხვები

7. Markovits, Andrei S./Gorski, Philip S.: The German Left: Red, Green and Beyond. New York: Oxford University Press, 1993.

8. ეს უპრეცედენტო შედეგი განაპირობა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც, 1990 წლისთვის ერთჯერადად გაუქმდა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ხუთპროცენტიანი ბარიერი. ამის ნაცვლად, პარტიებს ქვეყნის ერთ-ერთ ნაწილში – ყოფილ დასავლეთ ან ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში, ხმების მინიმუმ 5 პროცენტი მაინც უნდა მოეგროვებინათ.

9. Markovits, Andrei S./Gorski, Philip S.: The German Left: Red, Green and Beyond. New York: Oxford University Press, 1993.

10. იგულისხმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მწვანეები.

11. Tiesenhausen, Friederike von: „Die Grünen sind keine Volkspartei“, Financial

Times Deutschland, http://www.ftd.de/politik/deutschland/erster-gruener-ministerpräsident-die-gruenen-sind-keine-volkspartei/60032311.html

12. იქვე.

13. Blühdorn, I./Krause, F./Scharf, T.: „The Green Agenda. Environmental Politics and Policy in Germany“, opus.hath.ac.uk (1995), გვ. 24 და შემდგომ.

14. Cohen, J. L./Arato, A.: „The German Green Party. A Movement between Fundamentalism and Modernism“, Dissent 31.3 (1984), გვ. 327-332.

15. გადაღებულია 1944 წელს. იმის მიუხედავად, რომ ფილმის შექმნა ნაციზმის პერიოდს ემთხვევა, იგი დღემდე პოპულარობით სარგებლობს. ამ ფილმს ტრადიციულად ზამთარში უყურებენ, ამასთან, კინოთეატრების სტუმრები გლინტვეინს და ცხელ პუნშს სვამენ.

16. კავშირი 90/მწვანეები, ვაშინგტონის ადგილობრივი გაერთიანება: „Über uns“, 27.07.2012, http://gruene-washington.de/ueber-uns/

17. იქვე.

18. აღიარების დროც დადგა: მარკოვიცი წლების განმავლობაში სარგებლობდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ხელგაშლილობით, რისთვისაც ფონდის უზომოდ მადლიერია.

19. Barzel, Dr. Rainer: „Bekanntmachung von Rechenschaftsberichten 1983 der politischen Parteien“, 10/2172 (1984), გვ. 10 და შემდგომ.

20. Deutscher Bundestag, „Bekanntmachung von Rechenschaftsberichten der politischen Parteien für das Kalenderjahr 1998 (1.Teil: Bundestagsparteien)“, 1999, გვ. 84 და შემდგომ.

21. Deutscher Bundestag, „Bekanntmachung von Rechenschaftsberichten politischer Parteien für das Kalenderjahr 2010 (1. Teil: Bundestagsparteien)“, 2012, გვ. 133 და შემდგომ.

22. Barzel, Dr. Rainer: „Bekanntmachung von Rechenschaftsberichten 1983 der politischen Parteien“, 10/2172 (1984), გვ. 10 და შემდგომ.

23. Deutscher Bundestag, „Bekanntmachung von Rechenschaftsberichten politischer Parteien für das Kalenderjahr 2010 (1. Teil: Bundestagsparteien)“, 2012, გვ. 133 და შემდგომ.

თავი მეორე: მწვანე იდენტობის ოთხი საყრდენი

24. Markovits, Andrei S./Gorski, Philip S.: The German Left: Red, Green and Beyond. New York: Oxford University Press, 1993.

25. იქვე.

26. Der Bundestag: „Vereinbarung zwischen der Bundesregierung und den Energieunternehmen vom 14. Juni 2000“, 27.07.2012-ში იძებნებოდა მისამართზე: http://www.bmu.de/files/pdfs/allgemein/application/pdf/atomkonsens.pdf

27. Bundestag.de: „Laufzeitverlängerung von Atomkraftwerken“, 2010, იძებნებოდა 27.07.2012-ში.

28. Deutschländer, Christian: „CSU bekommt Öko-Konzept“, merkur-online.de, 18.06.2010-ის ნომერი, იძებნებოდა 27.07.2012-ში.

29. იგულისხმება ქრისტიან-დემოკრატიული/ქრისტიან-სოციალური კავშირი და თავისუფალი დემოკრატიული პარტია

30. Dehmer, Dagmar: „CSU und FDP streiten über Genmais“, tagesspiegel.de, 08.10.2009-ის ნომერი, იძებნებოდა 27.07.2012-ში.

31. Spiegel-Online: „Grüne wehren sich gegen Themenklau“, spiegel.de, 12.08.2009-ის ნომერი, 27.07.2012-ში იძებნებოდა მისამართზე: http://www.spiegel.de/politik/deutschland/wahlkampf-gruene-wehren-sich-gegen-themenklau-a-641993.html

32. Fischer, Sebastian/Wittrock, Philipp: „Die neue Anti-AKW-Bewegung“, spiegel.de 15.03.2011-ის ნომერი, იძებნებოდა 27.07.2012-ში მისამართზე: http://www.spiegel.de/politik/deutschland/schwarzgelbe-atomwende-die-neue-anti-akw-bewegung-a-751078.html

33. იქვე.

34. König, Jens „Wie grün wird Deutschland noch?“, stern.de 06.04.2011-ის ნომერი, იძებნებოდა 08.05.2012-ში მისამართზე: unter http://stern.de/politik/deutschland/umfragehoch-fuer-trittin-co-wie-gruen-wird-deutschland-noch-1671492.html

35. Tiesenhausen, Friederike von: „Die Grünen sind keine Volkspartei“, Financial Times Deutschland, http://www.ftd.de/politik/deutschland/erster-gruener-ministerpräsident-die-gruenen-sind-keine-volkspartei/60032311.html

36. dw.de.: „Grüne feiern historischen Erfolg“, dw.de 28.03.2011-ის ნომერი, იძებნებოდა 27.07.2012-ში მისამართზე: http://www.dew.de/dw/article/=.14946766.00.html

37. იქვე.

38. იქვე.

39. klimaretter.info „Über uns“, იძებნებოდა 27.07.2012-ში მისამართზე: www.klima-luegendetektor.de/about

40. Bundesministerium für Familie, Senioren, Frauen und Jugend: „Mütter des Grundgesetzes“, 2011. იძებნებოდა 27.07.2012-ში მისამართზე: www.hs-wismar.de

41. იქვე.

42. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

43. Rothe-Beinlich, Astrid: „Meilensteine der Frauenbewegung“, 3. März 2011. იძებნებოდა 28.07.2012-ში მისამართზე: http://www.gruene.de/themen/frauenpolitik/meilensteine-der-frauenbewegung.html

44. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

45. Sopacua, Nathalie: „Liberale Frauen drängen jetzt auf parteiinterne Quote“, 20.02.2011, იძებნებოდა 28.07.2012-ში მისამართზე: http://www.frauenrat.de/deutsch/infopool/informationen/onformationdetail/jahres_archiv/<?3</auch-liberale-frauen-draengen-jetzt-auf-parteiinterne-quote/Parteien.html

46. Almstedt, Jan: „CSU entdeckt Frauenquote“, 05.10.2010, spd.de, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.spd.de/aktuelles/news/4280/20101005_csu_quote.html

47. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

48. Cornelißen, W.: „Gender-Datenreport“. Kommentierter Datenreport zur Gleichstellung von Frauen und Männern in der Bundesrepublik Deutschland. Erstellt im Auftrag des BMFSJ durch das Deutsche Jugendinstitut e.V.

in Zusammenarbeit mit dem Statistischen Bundesamt, DJI (2005), გვ. 370.

49. telekom.com. „Frauenquote: Mehr Frauen an die Spitze“, 2012, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.telekom.com/konzern/mitarbeiter/diversity-frauenquote/5186

50. lgr/AFP/Reuters: „Ver.di-Vorstand räumt Posten für eine Frau“, 01.03.2011 იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.spiegel.de/wirtschaft/unternehmen/frauenquote-im-management-ver-di-vorstand-rauemt-posten-fuereine-frau-a-748375-druck.html

51. ძალზე შორს წაგვიყვანდა იმის განხილვა, თუ როგორ და რატომ ხდებოდა, რომ ძველი მემარცხენეების ინსტიტუტები ბურჟუაზიულ კულტურას არა მარტო აღიარებდნენ, არამედ დიდ სიამოვნებასაც იღებდნენ მისი/მასში არსებობით (მისთვის დამახასიათებელი ჩაგვრის და შეზღუდვების განზომილებების ჩათვლით). საკმარისი იქნება იმის გახსენებაც, თუ როგორი გამოწყობილები დადიოდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ძველი კომუნისტური ქვეყნების მოქალაქეები ოპერასა და თეატრში და რამდენად მოწესრიგებულად, მეშჩანურად და ბიურგერულად გამოიყურებოდნენ ისინი თავიანთ მუქ კოსტიუმებსა და მონოტონურ ჰალსტუხებში დასავლეთის პუბლიკასთან შედარებით.

52. Korte, Karl-Rudolf: „Kandidatenaufstellung (Kreiswahlvorschlag und Landeslisten)“, 28.05.2009, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.bpb.de/politik/innenpolitik/bundestagswahlen/62551/kandidatenaufstellung

53. იქვე.

54. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

55. CDU-Bundesgeschäftsstelle: „Das Frauenproblem in der CDU“, 2001, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.cdu.de/doc/pdfc/?Q3?<<-broschuere-frauenquorum.pdf

56. იქვე.

57. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

58. იქვე.

59. dpa: „CSU beschließt Frauenquote“, 30.10.2010, zeit.de., იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.zeit.de./politik/deutschland/2010-10/csu-frauenquote-parteitag

60. Feldkamp, M. F./Sommer, C.: Parlaments- und Wahlstatistik des Deutschen Bundestages: 1949-2002/03 Dt. Bundestag, Referat Öffentlichkeitsarbeit, 2003, გვ. 16.

61. იქვე.

62. liberale-frauen-de: „Über uns: Wir mischen uns aktiv in die Politik ein!“, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.liberale-frauen.de/ueber-uns/index.html

63. Klassen, Oliver/Klein, Raimon: „Liberale Chauvis“, sueddeutsche.de, 12.01.2012-ის ნომერი, იძებნებოდა 30.07.2012-ში მისამართზე: http://www.sueddeutsche.de/politik/2.220/frauen-in-der-fdp-liberale-chauvis-1.1255996

64. იქვე.

65. Sopacua, Nathalie: „Liberale Frauen drängen jetzt auf parteiinterne Quote“, 20.02.2011, იძებნებოდა 28.07.2012-ში მისამართზე: http://www.frauenrat.de/deutsch/infopool/informationen/onformationdetail/jahres_

archiv/<?3</auch-liberale-frauen-draengen-jetzt-auf-parteiinterne-quote/Parteien.html

66. Cohen, Roger: „Post-War Pacifism Ends for Germany“, The New York Times, 26.03.1999-ის ნომერი.

67. Rathbun, B.C: „The Myth of German Pacifism“, German Policies and Society, 24.02.(2006), გვ. 73.

68. Cohen, Roger: „Post-War Pacifism Ends for Germany“, The New York Times, 26.03.1999-ის ნომერი.

69. Rathbun, B.C: „The Myth of German Pacifism“, German Policies and Society, 24.02.(2006), გვ. 73.

70. იქვე, გვ. 74.

71. იქვე, გვ. 75.

72. Fischer, Joschka: „Die Katastrophe in Bosnien und die Konsequenzen für unsere Partei Bündnis 90 / Die Grünen“, 30.07.1995, gruene.de.

73. Müller, Kerstin/Roth, Claudia/Trittin, Jürgen/Volmer, Ludger. „Wohin führt die Forderung nach einer militärischen Intervention gegen Völkermord?“, 31.10.1995, gruene.de.

74. იქვე.

75. იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული პარტია და მწვანეები

76. ლუფტვაფე (გერმ. Luftwaffe) – გერმანიის საჰაერო ძალები.

77. Cohen, Roger: „Post-War Pacifism Ends for Germany“, The New York Times, 26.03.1999-ის ნომერი, გვ. 344. რა თქმა უნდა, გერმანიის შეიარაღებული ძალები მანამდეც იღებდნენ გერმანიის ფარგლებს გარეთ მისიებში მონაწილეობას, თუმცა ყველა ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სამაშველო ოპერაციებს, დახმარებას სტიქიური უბედურებების შემდეგ და მომარაგებასთან დაკავშირებულ აქტივობებს. არცერთი ამ ოპერაციათაგან არ ყოფილა საბრძოლო მისია.

78. Brown, Stephen: „Germany: Abstained on Libya No-Fly Zone Due Risks“(sic), Reuters, 18.03.2011.

79. fdp.de: „Friedenspolitik ist die Maxime“, 29.08.2011, იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://www.fdp.de/Friedenspolitik-ist-die-Maxime/1660c12963ilp211/index.html

80. Boettcher, A.: Deutsche Außenpolitik ist Friedenspolitik, Jena 2007. გვ. 10.

81. fdp.de: „Friedenspolitik ist die Maxime“, 29.08.2011, იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://www.fdp.de/Friedenspolitik-ist-die-Maxime/1660c12963ilp211/index.html

82. იქვე.

83. gruene-bundestag.de.: „Bundestag beendet Wehrpflicht“, 25.03.2011, იძებნებოდა 04.09.2012-ში მისამართზე http://www.gruene-bundestag.de/themen/sicherheitspolitik/bundestag-beendet-wehrpflicht.html

84. Europäische Kommission: Eurobarometer 69.1. Values of Europeans, November 2008.

85. ამავე თემაზე იხილეთ ფილიპ მაინჰოლდის 15.12.2012 წელს tageszeitung-ში გამოქვეყნებული სტატია „Der ewige Israeli“ (http://www.taz.de/DieWahrheit/!107442/?utm_source=Koordinierungsrat+Aussendungen&utm_campaign=ac5b670a85-&utm_medium=email), რომელშიც ავტორი სრულიად მართებულად აღნიშნავს შემდეგს: „საერთოდ გაქვთ კი წარმოდგენა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის შესახებ, მასზე საკუთარ მოსაზრებებს რომ

გამოთქვამთ? გინდათ ვაჟკაცებად გამოჩნდეთ? ათი რჩევა მას, ვინც ისრაელის შესახებ კრიტიკული ტექსტის დაწერას დააპირებს: [...] 1. ბრალდების მთავარი მოწმე [:] მოიყვანეთ ისრაელის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ებრაელის ციტატა, რადგანაც ვინც ებრაელის ციტირებას ახდენს - ეს ობიექტური გარემოებებითაა განპირობებული - არ შეიძლება, რომ ებრაელები სძულდეს. ამისათვის, რათა გაიმარტივოთ ცხოვრება, უბრალოდ ისარგებლეთ „კრიტიკული ებრაელების“ ყველასთვის ნაცნობი მონაცემთა ბაზით [...]. 2. კონცენტრაცია [:] თქვენს სტატიაში არავითარ შემთხვევაში არ ახსენოთ ჰამასი - თუკი მაინც ახსენებთ, მაშინ ისე, სხვათა შორის, სხვა შემთხვევაში, მკითხველს ყურადღება გაეფანტება და ვერ შეძლებს წამოჭრილ თემაზე კონცენტრირებას - ბოლოს და ბოლოს, თქვენი სტატია ხომ ისრაელს ეხება! 3 თვალსაჩინოება [:] შეარჩიეთ თვალსაჩინო ანალოგიები, რათა ნაკლებად ჩახედულ მკითხველს მაშინვე მიეცეს საკუთარი სურათის ჩამოყალიბების საშუალება. ღაზის სექტორი ვარშავის გეტოს შეადარეთ, ისრაელის სახელმწიფო კი - აპარტეიდის რეჟიმს. [...] 4. ეჭვების შემთხვევაში, მარცხნივ [:] ყველასთვის გასაგები გახადეთ, რომ თქვენ მემარცხენე ბრძანდებით ან, უკიდურეს შემთხვევაში, მემარცხენე ფესვები გაქვთ. რადგანაც ცნობილია, რომ მემარცხენეები ნაცისტებს უპირისპირდებიან და ამიტომ აპრიორულად ვერაფერი ექნებათ ებრაელების საწინააღმდეგო. თუკი [...] თვითონ ებრაელები არ მოიქცევიან როგორც ნაცისტები. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ ყველას დაანახოთ, თუ რამდენად მიუღებელია თქვენთვის ჰოლოკოსტი, მეტი შთამბეჭდაობისთვის ის ებრაელთან დანაშაულთან გააიგივეთ. 5. მორალური მემკვიდრეობა [:] მუდმივად იმეორეთ, რომ თქვენ, როგორც გერმანელი და მემარცხენე, ვალდებული ხართ, ისრაელის მიმართ კრიტიკულად იყოთ განწყობილი, რადგანაც არ გაქვთ უფლება ახალ უსამართლობას მდუმარედ ადევნოთ თვალი. 6. განზოგადებულობა [:] ისრაელის მიმართ წაყენებული პრეტენზიები რაც შეიძლება ზოგადი ფორმით ჩამოაყალიბეთ, რადგანაც ფაქტთა სიმრავლე მკითხველისთვის დამაბნეველია. [...] 7. კრიტიკულად განწყობილი კეთილისმსურველი [:] აუცილებლად დაწერეთ, რომ თქვენ ისრაელისთვის მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო გინდათ [...] 8. წინასწარმეტყველური მინიშნებები [:] როდესაც რაიმე ისეთის დაწერას დააპირებთ, რისთვისაც მტკიცებულებები არ გაგაჩნიათ, მაგრამ მაინც გგონიათ, რომ ეს ყოველივე მართალია (ისრაელის ჭეშმარიტი ინტერესები, ებრაელთა სწრაფვა მსოფლიო ბატონობისკენ, მასმედიის და პოლიტიკის გლობალური კონტროლი ებრაელების მიერ), თქვენი მოსაზრება კითხვის ან მინიშნების ფორმით ჩამოაყალიბეთ! [...] 9. იმუნიზაცია [:] განაცხადეთ, რომ ვერავინ გააკრიტიკებს ისრაელს ისე, რომ შედეგად ანტისემიტის იარლიყი არ მიაკრან. ამით, ერთი მხრივ, საკუთარ გამბედაობას გაუსვამთ ხაზს, მეორე მხრივ კი, თქვენს ნაშრომს ხელშეუხებელს გახდით, რადგანაც მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი კრიტიკა ამ თეზისის დადასტურება იქნება. 10. თვითკონტროლი [:] როდესაც ყველაფერს მორჩებით, თქვენი სტატია კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაიკითხეთ. მიაქციეთ ყურადღება, რომ არცერთ პასაჟში არ იყოს გაპარული სიტყვა „იუდეველნი“; ამის ნაცვლად, ყოველთვის, მაშინაც კი, თუ ეს არ აღმოჩნდება მარტივი, გამოიყენეთ სიტყვა „ისრაელი“. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ გინდათ, რომ თქვენი გასიებული ანტირასისტული ტრაკით დაანგრიოთ ყველაფერი, რაც ასეთი გაჭირვებით ააწყვეთ“.

86. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 87.

87. იქვე, გვ. 88.

88. 1987 წელს, დუისბურგში, მწვანეებმა გადახედეს წესდებაში გაწერილ საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობის პრინციპს. პარტიის მეცხრე ფედერალური კრების შედეგად, პარტიაში ხელმძღვანელი თანამდებობები ანაზღაურებადი გახდა ისე, რომ მართვამ სოციოეკონომიკურად ჰეტეროგენური ფონი შეიძინა.

89. ბუნებრივია, ამ კუთხით პარტია დემოკრატიის თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი დილემის წინაშე აღმოჩნდა, რომლის განხილვასაც მაქს ვებერი ლეგენდარულ ესეში „პოლიტიკა, როგორც პროფესია“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. ვებერს მოჰყავს ყველა რელევანტური - როგორც დადებითი, ისე უარყოფითი - ფაქტორი, რომელიც პროფესიონალ პოლიტიკოსს, ანუ მას, ვინც პოლიტიკური საქმიანობისთვის გასამრჯელოს იღებს, უკავშირდება. მეცნიერი გვთავაზობს ერთგვარ შეპირისპირებით ანალიზს, განიხილავს რა, მეორე მხრივ, ალტერნატიულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც, მაღალ თანამდებობებს „შეძლებული მოყვარულები“ იკავებენ, რომლებსაც არ აწუხებთ თავის სარჩენად მუშაობის საჭიროება.

90. Markovits, Andrei S./Gorski, Philip S.: The German Left: Red, Green and Beyond. New York: Oxford University Press, 1993. გვ. 124.

91. იქვე.

92. იქვე.

93. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 90.

94. იქვე, გვ. 90 და შემდგომ.

95. იქვე, გვ. 97.

96. spiegel.de: „Grüne heben Trennung von Amt und Mandat auf“, 23.05.2003; იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://spiegel.de/politik/deutschland/urabstimmung-gruene-heben-trennung-von-amt-und-mandat-auf-a-249949.html

97. იქვე.

98. იქვე.

99. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 91.

100. იქვე, გვ. 92.

101. 1986 წელს როტაციის პრინციპი ორის ნაცვლად ოთხი წლით განისაზღვრა, 1991 წელს კი საბოლოოდ გაუქმდა.

102. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 93.

103. იქვე.

104. იქვე.

105. gruene.de: „30 grüne Jahre (14): Parteitag in Neumünster 1991“, 11.05.2010; იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://www.gruene.de/partei/30-gruene-jahre-30-gruene-geschichten/30-gruene-jahre-14-parteitag-in-neumuenster-1991.html.

106. იქვე.

107. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 89.

108. იქვე, გვ. 96.

109. gruene.de: „30 grüne Jahre (14): Parteitag in Neumünster 1991“, 11.05.2010; იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://www.gruene.de/partei/30-gruene-jahre-30-gruene-geschichten/30-gruene-jahre-14-parteitag-in-neumuenster-1991.html.

თავი მესამე: მწვანე იმიჯის ტრანსფორმაცია: ადაპტაციის ნიშანი?

110. Der Spiegel: „Das Vertrauen der Basis ist nicht da“, 04.04.1993 (გამოცემა 14/1983), იძებნებოდა 04.08.2012-ში მისამართზე: http://www.spiegel.de/spiegel/print/d-14023622.html

111. იქვე.

112. ბუნდესტაგის დრესკოდმა 2011 წელს კვლავ მიიპყრო პრესის ყურადღება. Süddeutsche Zeitung-მა 20.01.2011-ში ეს პრეცედენტი შემდეგნაირად დაახასიათა: „ზოგიერთებისთვის ამაზე უფრო უსარგებლო აქსესუარი მსოფლიოში არ არსებობს, სხვებისთვის კი ეს ლამისაა ბუნდესტაგის ღირსების ტოლფასია: ორ დეპუტატს არ აქვს უფლება, ფედერალური პრეზიდენტის გვერდით ისხდნენ და საქმეთმწარმოებლის ფუნქცია შეასრულონ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჰალსტუხები არ უკეთიათ“.

113. საინტერესოა, რომ ფიშერისგან საკმაოდ განსხვავებული ხედვების მქონე, თუმცა მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკოსებს შორის ძვირი საათების მიმართ ლტოლვას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ლეონიდ ბრეჟნევს, ერიხ ჰონეკერს, მაო ძედუნს, ფიდელ კასტროს და ჩე გევარას მინიმუმ თითო როლექსი მაინც ჰქონდათ.

114. Michels, R./Reker, S./Seim T./Uhl, G.: „Fischer: Washington wichtiger als Moskau“, 20.05.2005, RP-Online, იძებნებოდა 05.08.2012-ში მისამართზე: http://www.rp-online.de/politik/deutschland/fischer-washington-wichtiger-als-moskau-1.1601764

115. იქვე.

116. Kurbjuweit, D.: „Papst statt Protest“, Der Spiegel (39/2011).

117. Heinrich-Böll-Stiftung: „Grüne Anschläge. Fünfundzwanzig Jahre grüne Plakatkunst“, იძებნებოდა 02.08.2012-ში მისამართზე: http://www.boell.de/alt/de/13_archiv/4264,html

118. Klein, M./Falter, J. W.: Der lange Weg der Grünen, München 2003, გვ. 90.

119. იქვე.

120. Heinrich-Böll-Stiftung: „Grüne Anschläge. Fünfundzwanzig Jahre grüne Plakatkunst“, იძებნებოდა 02.08.2012-ში მისამართზე: http://www.boell.de/alt/de/13_archiv/4264,html

121. იქვე.

1983 წლის მარტში გერმანიის პარლამენტში პირველად შევიდა მწვანეთა ფრაქცია. დღეს, ამ ისტორიული მოვლენიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მწვანეები გერმანიის პოლიტიკაში სიძლიერით მესამე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. ამასთან, მათი გავლენა უკვე მნიშვნელოვნად სცდება გერმანიის ფარგლებს. „მწვანე“ გლობალურ სამარკო ნიშნად იქცა არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ეკონომიკაშიც. ის ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასთან, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებთან, პოლიტიკურ ჩართულობასთან და გენდერულ დემოკრატიასთან ასოცირდება.

ამერიკელმა პოლიტოლოგებმა ანდრეი მარკოვიცმა და იოზეფ კლავერმა შეისწავლეს მწვანეთა წარმატების ისტორია და გასაგებად და კომპეტენტურად აღწერენ ყველა იმ თემას, რომლებითაც მწვანეებმა პოლიტიკა და საზოგადოება დიდი ხნით შეცვალეს და რომლებმაც, ამავე დროც, მათ შეცვლასაც შეუწყვეს ხელი.

თარგმანი: ერეკლე ჩიგოგიძე
რედაქცია: ნინო ბექიშვილი
კორექტურა: ნინო საითიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
დაბეჭდილია შპს „სეზანში“